გაზეთი გამოდის 1999 წლიდან
ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru
E-mail: r.jalagania@mail.ru

№425 (484) 13-27 მარტი 2018 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ორგანო ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე



## სერგი საჯაია: არა, ეს ქართული მწერლობა არ არის!..

გვ.3

გვ.2

## ჰამლეტ ჭიპაშვილი: კარნეგიცენტრის დოკუმენტთან დაკავშირებით



## თენგიზ კუბლაშვილი: მოკვდინების პროცესი გრძელდება...

გვ.5

გვ.8

## მალხაზ გრიგოლია: ქართული ცეკვის დიდი სიყვარული





გვ.4

## ლავრენტი ბერია — საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

## კუკური ფიფია: რა ძალა აქვს ღვთის სიტყვას და რას მოგვცემს მისი შეცნობა?

გვ.7



## ანზორ დანელია: ღია წერილი საქართველოს თავდაცვის მინისტრს, მისტერ ლ. იზორიას!

გვ.7

## ლუარა სორდია: მერაბ კოსტავას პოეზია

გვ.6

## სტალინის პასუხი კოკა-კოლას და მიტროფანე ლაღიძე — ლიმონათების გენიოსი

გვ.8






## გაზეთი ილორი 77 წლის იუბილეს ულოცავს სახელოვან მამულიშვილს, ბატონ ნუგზარ შარიას!

გვ.10

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარნეგისცენტრის დოკუმენტთან დაკავშირებით

ამერიკელი ექსპერტის ლუკ კოფის „გეგმა“ საქართველოს ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით რომ განგაშის ზარების მსგავსი რამ იყო, გასაკვირი არ არის. სხვაგვარად როგორღა იქნებოდა 25-წლიანი დაპირებების შემდეგ – შეგიყვანთ, მაგრამ ნატოს წესდების მე-5 მუხლის (კოლექტიური თავდაცვა) ამოქმედების გარეშეო?!

თუმცა კაცმა რომ თქვას, დაპირება იქ შეყვანასთან დაკავშირებით ნატოს წევრი სახელმწიფოების მხრიდან რომ არ ყოფილა, ფაქტია. რაც იყო – მოთმინებას და დავალებების შესრულებას უკავშირდებოდა და კიდევ „ვნახოთ“-ს, ანუ გაურკვეველ პერსპექტივას.

იყო გამოკვეთილად ნათქვამი უარიც აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის ობამას მხრიდან და ასევე ხაზგასმულად განცხადებული პრეზიდენტობის კანდიდატის დონალდ ტრამპის – სიტყვები ნატოს მოძველებასთან და ამ ორგანიზაციის უპერსპექტივობასთან დაკავშირებით.

მართალია, პრეზიდენტობის კანდიდატის პოზიცია მკვეთრად შეიცვალა – პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, მაგრამ ნიშნები იმისა, რომ ტრამპი გულცივია ნატოს მიმართ, არცთუ უსაფუძვლოა, მის მიერ წარმოებული პოლიტიკიდან გამომდინარე.

ტრამპის მუქარა ნატოს წევრი ქვეყნების მიერ საკუთარი ეროვნული შემოსავლიდან 2%-ის ნატოს ბიუჯეტში შეტანის თაობაზე, ძალაშია და თუ ყველა მათგანი არ შეასრულებს მოთხოვნას, აშშ-ი უარს იტყვის ნატოს დაფინანსებაზე.

„გინდათ უსაფრთხო ცხოვრება? – კეთილი ინებეთ და გადაიხადეთ საკუთარი უსაფრთოებისთვის“ – ასეთია ტრამპის მოწოდება. მეორე მოწოდება კი – „გინდათ თავდაცვა? – შეიძინეთ ამერიკული იარაღი“.

და საქართველომაც, როგორც დამჯერმა და მუყაითმა მოწაფემ, უმალ შეისყიდა ტანკსაწინააღმდეგო „ჯაველინები“ – 75 მილიონ დოლარად.

ამერიკის ეკონომიკას უჭირს და დახმარება სჭირდებაო – ასეთია ტრამპის განმარტება, თორემ სტრატეგიულ პარტნიორს (როგორც ჩვენ გვგონია), თანაც გაღლეტილი ბიუჯეტის მქონეს, 75 მილიონ დოლარს რომ აახევ, რაღა პარტნიორობაა?!

რას ვიზამთ, ასეთია აშშ-ს დღევანდელი ადმინისტრაციის პოლიტიკა, რომელიც საგარეოს, საშინაოზე დაბლა აყენებს და მიიჩნევს, რომ ამ ქვეყანამ, უპირველესად, საკუთარ პრობლემებს უნდა მიხედოს – **„ჯერ თაოდათაოს და მერე ცოლოდაშვილოს“** მსგავსად.

საქართველოში ბევრს ჰგონია, რომ აშშ-ს პოლიტიკა არ შეიცვლება და ასეთად დარჩება მრავალი წლის განმავლობაში. შეიცვლება და მერე როგორ! შეიცვლება ისე, ჩვენ რომ ვერ ვიგრძნობთ, ვინაიდან ის, რაც აქამდე იყო, ამერიკელ ექსპერტთა შეფასებით მცდარს, მეტადრე ეიფორიულს უკავშირდებოდა და არა რეალურს. მხედველობაში მაქვს აშშ-ს პოლიტიკა კავკასიასთან მიმართებაში, რაც ასახულია აშშ-ს „კარნეგი ცენტრის“ ექსპერტების მიერ მომზადებულ ანალიტიკურ მასალაში, დაბეჭდილს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ა.წ. 22 თებერვლს სათაურით „როდემდე გავძლებთ ჰაერში გამოკიდებული?!“.

„კარნეგელი“ ექსპერტების დასკვნებთან შედარებით ლუკ კოფის „გეგმა“ ტკბილ სიზმრად მოგვეჩვენება, რამეთუ „კარნეგელთა“ ნამუშევარი ყოვლისმომცველია და აშშ-ს აწმყოსა და მომავლის სამოქმედო გეგმებს წარმოსახავს.

„თუ ვაშინგტონი კავკასიაში გეოპოლიტიკური მდგომარეობის შეცვლას შეეცდება, მას რუსეთის დომინირებად როლთან დაპირისპირება მოუწევს“ – ასე წერენ „კარნეგელები“ და იქვე აგრძელებენ: „აშშ-ს სამხრეთ კავკასიაში, რუსეთთან შედარებით, უფრო ნაკლები გეოპოლიტიკური პოზიციები აქვს. ვაშინგტონმა არ უნდა აღუთქვას რეგიონის ქვეყნებს ისეთი დახმარება მოსკოვის გავლენის საწინააღმდეგოდ, რასაც აშშ-ი რეალურად ვერ განახორციელებს, განსაკუთრებით ეს ეხება საქართველოს და მის სწრაფვას ნატოში გაწევრებისკენ“.

„კარნეგი ცენტრის“ მიერ მომზადებული დოკუმენტი კანონი არ არის, მაგრამ მასში ასახული ცნებები რომ გაზიარებულია აშშ-ს კანონმდებელთა უმრავლესობის მიერ, ფაქტია. „კარნეგი ცენტრი“ რესპექტაბელური ორგანიზაციაა და მის ნათქვამს ყურადღებით ეკიდებიან, მითუმეტეს ისეთ საკითხებში, როგორებიც აშშ-რუსეთის ურთიერთობებს ეხება და აქედან გამომდინარე რისკებს. „კარნეგი ცენტრის“ ანალიტიკური მასალა ამიერკავკასიაში აშშ-ს 25-წლიან მოღვაწეობას ასახავს და აქედან გამომდინარე სამომავლო გეგმებს, რაც მთლად დასამშვიდებელი არ უნდა იყოს ჩვენთვის.

„აშშ-ს სამხრეთ კავკასიაში სერიოზული ინტერესები აქვს, მაგრამ მათგან არც ერთი არ ითვლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად. ...აშშ-ის მცდელობებმა რეგიონში სერიოზული ცვლილებების ინიცირების მიზნით, მოლოდინები არ გაამართლა და საეჭვოა მომავალში ახალი მცდელობებიც წარმატებული იყოს. პრინციპი – „ნელა იარე და უფრო მეტს მიაღწევ“ – ოპტიმალური რჩება“.

აწყობს თუ არა საქართველოს ხელისუფალთ „ნელა სიარული“, კარგად ჩანს განცხადებებიდან – მოჭარბებულად ოპტიმისტურიდან, სინამდვილეს მოწყვეტილიდან. პოლიტიკურ სამზარეულოში გარკვეულთათვის კარგად არის ცნობილი ხელისუფალთა „ოპტიმიზმი“ ნატოსა და ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით, მაგრამ რიგითი მოქალაქისთვის, უდავოდ სარწმუნოა ის, რასაც ხელისუფლება ამბობს მრავალი წლის განმავლობაში.

დიახ! ნატოში შესვლა რომ ურუსეთოდ არ გადაწყდებოდა განა ცნობილი არ იყო?! ხელისუფლება და ნატოელი მოხელეები კი სრულიად საწინააღმდეგოს ქადაგებდნენ, თან იმასაც ამატებდნენ, რომ რუსეთი ნატოს წევრი არ არის და მის აზრს ნატო არ ითვალისწინებსო. არადა, როგორც ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერები, ისე აშშ-ს პოლიტიკოსები ნატოში საქართველოს შეყვანასთან დაკავშირებით, რუსეთის აზრს იზიარებენ, განსაკუთრებით მიუნჰენში რუსეთის პრეზიდენტის პუტინის კრიტიკული გამოსვლის და ცხინვალის 2008 წლის ომის შემდეგ.

2008 წლის გამოცდა რუსეთმა ფრიადზე ჩააბარა, ცხადია საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და აშშ-ს, კოლექტიურ დასავლეთს დაანახა, რომ ნატოს რუსეთის საზღვრებამდე გაფართოებას არ დაუშვებს. ამ ქვეყნის დღევანდელ ხელისუფლებას ვერაფრით მოუნელებია ბალტიისპირა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ნატოში შესვლა და ახლა საქართველო და უკრაინა?

„კარნეგი ცენტრის“ მიხედვით, 2008 წლის ომი გახდა აშშ-ს პოლიტიკის ევოლუციისა და მისი „შემობრუნების პუნქტი“ არა მხოლოდ საქართველოს მიმართ, არამედ მთელი სამხრეთ კავკასიის მიმართაც. კრემლის მიერ განხორციელებულმა სამხედრო აქციამ აჩვენა, რომ რუსეთი აღარ მოითმენს აშშ-სა და მისი მოკავშირეების გავლენის გაძლიერებას თავის საზღვრებთან და ამიერიდან რომელიმე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის ნატოში გაწევრებას რუსეთი აღარ დაუშვებს“.

ამ პოზიციაზე დგას რუსეთი დღესაც. მას ვერავინ, მათ შორის საქართველოს ხელისუფლებაც ვერ დააჯერებს, რომ ნატოს აქტიურობა უკრაინა, მოლდოვა, საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ არ არის მიმართული და რომ საქართველოში ნატოს სამხედრო-საწვრთნელი ცენტრის შექმნა მხოლოდ კეთილი სურვილებითაა განაპირობებული. რუსეთს აქვს ეჭვის საბაბი, რაც დასავლეთმა, კერძოდ აშშ-ს თანამედროვე პოლიტიკამ გაუჩინა.

აშშ-ს პრეზიდენტ კლინტონიდან დაწყებული, მის წინამორბედთა დამოკიდებულება ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებასთან დაკავშირებით კარდინალურად შეიცვალა ანუ ვაშინგტონმა გადააბიჯა რუსეთისადმი საკუთარ დაპირებას – რომ ყოფილ სოცქვეყნებს ნატოში არ შეიყვანდა. და ურცხვად დაიწყო იმის მტკიცება, რომ ასეთი შეთანხმება ან დაპირება საბჭოთა კავშირთან არ ყოფილა – „თუ იყო, აბა გვაჩვენეთ ხელმოწერილი დოკუმენტიო“.

ხელმოწერილი დოკუმენტი მართლაც არ არსებობს, მაგრამ არსებობს მოლაპარაკებების ჩანაწერი, რასაც თითქმის ისეთივე პოლიტიკური დატვირთვა აქვს, როგორც დოკუმენტს.

ის, რომ დოკუმენტი არ შეიქმნა საბჭოთა საგარეო უწყებას ბრალდება, ვინაიდან ის უნდა ყოფილიყო ინიციატორი ამგვარის შექმნაში. მაშინ, ეიფორიაში მყოფმა გორბაჩოვმა და შევარდნაძემ აღნიშნულს ჯეროვანი ყურადღება არ დაუთმეს და ბეიკერის, ბუშის, გენშერის, კოლის, მიტერანის, ტეტჩერის, მეიჯორის, სხვების სიტყვიერ დაპირებას მიენდნენ. სიტყვიერი კი უფრო გაფრენილი რამ არის, მაგრამ არა დიპლომატიაში, რაც მხედველობიდან გამორჩათ ზემოჩამოთვლილი პოლიტიკოსების მემკვიდრეებს. მათ, ახალი პოლიტიკიდან გამომდინარე, რუსეთის ნატოთი შემორკალვა დაიწყეს, ნაცვლად რუსეთისთვის მიცემული გარანტიებისა, რომ ასეთს არასდროს ექნებოდა ადგილი.

გასულ წელს გამოქვეყნდა აშშ-ს უსაფრთხოების არქივები, რომლებმაც ნათელი მოფინეს მაშინდელ ვითარებას, ცხადია რუსეთის სასარგებლოდ. დასტურად ამისა მოვიყვან ზოგიერთ ნათქვამს.

1990 წლის 9 თებერვალი. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ბეიკერმა საბჭოთა ლიდერ გორბაჩოვთან მოლაპარაკების დროს სამჯერ გაიმეორა შემდეგი: „არც ერთი დიუიმით აღმოსავლეთისკენ“. “არც პრეზიდენტი და არც მე არ ვგეგმავთ მივიღოთ ცალმხრივი სარგებელი იმ პროცესებიდან, რასაც აქვს ადგილი. ...ნატოს დღევანდელი სამხედრო იურისდიქცია ერთი დიუიმითაც ფეხს არ მოიცვლის აღმოსავლეთისკენ“.

1990 წლის 31 იანვარი. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის გენშერის სიტყვა ბავარიის კომუნა ტუტცინში, გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებით: „ცვლილებებმა აღმოსავლეთ ევროპაში, რომელიც მოჰყვება გერმანიის გაერთიანებას, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მიაყენოს ზარალი საბჭოეთის უსაფრთხოებას. ამიტომ ნატომ უნდა გამორიცხოს ნებისმიერი გაფართოება თავისი ტერიტორიის აღმოსავლეთის მიმართულებით, საბჭოეთის საზღვრებამდე“.

1991 წლის მარტი. სსრ კავშირში დიდი ბრიტანეთის ელჩის ჩანაწერიდან: „გორბაჩოვთან მოლაპარაკების დროს საბჭოეთის თავდაცვის მინისტრმა იაზოვმა პრემიერ-მინისტრ მეიჯორს დაუსვა კითხვა – თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერებს გაუჩნდებათ ნატოში გაწევრების სურვილი, გაუღებენ თუ არა მათ ნატოს კარს? მეიჯორმა უპასუხა – ეს არასდროს მოხდება“.

ზემომოყვანილი მაგალითები და მის შემდგომ განვითარებული მოვლენები – ერთობ მიუღებელი რუსეთისთვის, ამ უკანასკნელის სერიოზული გაღიზიანების საგანია, რასაც საქართველოს პოლიტიკა არ ითვალისწინებს და ბრმად მიჰყვება აშშ-ს გარკვეული წრეების ნებისმიერ დავალებას, მათ შორის ნატოს საწვრთნელი ცენტრის შექმნისა და „ჯაველინების“ შესყიდვასთან, ერთობლივი სამხედრო წვრთნების ჩატარებასთან ან სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით, შემდეგ კი შეშფოთებას გამოთქვამს რუსეთის სამხრეთით, სამხედრო ოლქის ახალი შენაერთებითა და უახლესი საბრძოლო ტექნიკით გაძლიერებაზე. დაგეგმილია 2 ახალი მოტომსროლელი დივიზიის ჩამოყალიბება და БМП-3 და Т-72Б3 – ტიპის ტანკებით აღჭურვა.

„კარნეგი ცენტრის“ მიერ შექმნილი ანალიტიკური დოკუმენტი თავისთავად მიგვანიშნებს მთავარზე – სტრატეგიული პარტნიორის მიერ რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებაზე. და თუ ის ითვალისწინებს, ჩვენ რას ვაკეთებთ?

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

# ღია წერილი საქართველოს თავდაცვის მინისტრს, მისტერ ლ. იზორიას!

ბატონო, უბედური (თქვენს ხელშჲ!) საქართველოს, ბედნიერო მინისტრო (სხვა მინისტრებთან ერთად!)!

წავიკითხე ქალბატონ ლეილა კუნჭულიას წერილი ა/წ 16 თებერვლის „საქართველოს რესპუბლიკა“-ში, „გაუმა-რჯოს სიკვდილშიაც არ/დანებებას“! „როგორ აპირებს პატარა საქართველო დიდი მტრის აგრესიასთან გამკლავებას?“, სადაც ქალბატონი ლეილა მოგვითხრობს „გულადი“ მინისტრის ბაქი-ბუქის შესახებ!

ეს ვაჟბატონი ისეთი რიხით ლაპარაკობს საქართველოს მიერ, აგრესორ-თავდამსხმელთან გამკლავების შესახებ, რომ კაცი იფქრებს, ისე გვქონია ჯარში საქმე აწყობილი, თავიანთი დაქალი ნატოს და სტრატეგიული „პარტნიორის“, აშშ-ს დახმარებით, რომ ვერავინ ბუზსაც ვერ აგვიფრენს. მინდა ვკითხო ამ უბედურ დღეზე გაჩენილებს, ვის გულისხმობენ აგრესორ-თავდამსხმელებში? თუ რუსეთი გყავთ მხედველობაში, მაშინ, ვაი თქვენს პატრონს! გაიღვიძეთ და გაახილეთ თვალები, ხომ არ გავიწყდებათ, რომ რუსეთი აღარ არის ელცინის დროინდელი რუსეთი, ეხლა ის მსოფლიოში სუპერზემძლავრი იარაღის მფლობელი სახელმწიფოა და მას უბატონოდ ხმას ვერავინ გასცემს! ხომ გითხრათ თქვენმა პატრონებმა, რომ ჩვენ რუსეთთან, არავის გამო, მით უმეტეს თქვენი გულისათვის ომს არ დავიწყებთო! მაგრამ თქვენ ამის გაგონება არც გინდათ და არც ძალგიძთ, ვინაიდან არ გაწყობთ!

აბა გაიხსენეთ, როგორ დაგეხმარათ თქვენი სტრატეგიული პარტნიორი 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს ჩასვრილ-ჩასველებულებს „პამპერსებით“ და სასმელი წყლით მოსასულიერებლად? ნახეთ რა ხდებოდა და რა ხდება დღეს სირიაში? თუ ასეთი გულადები „ბრძანდებით“, აზერბაიჯანი „დავით-გარეჯი“-ს კომპლექსს, რომ გართმევთ, ხმა რატომ გაქვთ ჩაწყვეტილები?

ეხლა, ნატოში შესაკვეხებლად ახალი სიმღერა დაიწყეთ, სხვა ხმაზე აჭიკჭიკდით, რომ შეიძლება მიგვიღონ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე?! მანამდე არ აგიდგათ გვერდები, შინაურსაც და გარეულსაც! თქვენ ეი, აზრზე მოდით და ჭკუას (თუ გაქვთ. თუ არ გაქვთ, ხალხი გასესხებთ!) მოუხმეთ! თქვენ ისიც გეყოთ, რომელიღაცა დეგენერატმა, დიახ დეგენერატმა, რომ წამოაყრანტალა, სამშვიდობო მისიებში ჩვენი ჯარისკაცების მონაწილეობით, ჩვენ საქართველოს უსაფრთხოებას(!?) ვიცავთო! გაუშვით თქვენი შვილები, თქვე არარაობებო იმ სასაკლაოზე და „ცინკის“ სასახლეებით რომ ჩამოგისვენებენ, მერე იძახეთ, საქართველოს უსაფრთხოებას ვიცავთო!

ვისაც არ გამოუცდია შვილის სიკვდილი, იმისათვის “სხვისი ჭირი ღობეს ჩხირია”, მე კი ცხრა თვეში ორჯერ გამოვცადე პირმშოს დაკარგვა და კარგად ვიცი ყოველივე ეს რა მწარეა!!!

ვინაიდან არ გასვენებთ გამჩენი, ამიტომ, ამ წერილით მოვუწოდებ საქართველოს ყველა ჭეშმარიტ მოქალაქეს, თუ ესენი მოკლე დროში გონს არ მოეგებიან და არ გაჩერდებიან, გამოვიდეთ ქუდზე კაცი, ეს უვარგისები გამოვყაროთ კაბინეტებიდან და გავყაროთ ქვეყნიდან, თუ, რა თქმა უნდა, მათ მიერვე შეკოწიწებულ სასამართლოს გადაურჩებიან! უკვე მეტის მოთმენა აღარ ეგების! ამათმა ყველა ზღვარს გადააბიჯეს! საქართველოს საბოლოოდ ვკარგავთ!!!

და ვიდრე სამშობლო არ დაგვიკარგავს, აღვსდგეთ და „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია!...

**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთში(?) მიმდინარე ძმათამკვლელი ბრძოლების მონაწილე, ორი დაღუპული მებრძოლის მამა,**

**ანზორი დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არა, ეს ქართული მწერლობა არ არის!..

ამ მხრივ, პირველ რიგში, საგულისხმოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ე.წ. უფლებადამცველთა („გირჩის“, „თეთრი ხმაურის“ და მისთანათა) სარჩელის საფუძველზე 2017 წლის ნოემბერში მიღებული კანონი მარიხუანას მოწევის დეკრიმინალიზაციის შესახებ და მეორეც, რომელიც აქედან გამომდინარეა: იმავე 2017 წლის 10 დეკემბერს – ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს, ჩვენი სატახტოს უწმინდეს და მთავარ გამზირზე, სადაც 1989 წლის 9 აპრილს ქართული სულის სალკლდეობა გამოიჭედა, ქართველების ერთმა ნაწილმა, უფრო სწორად მიზნობრივად ფაბრიცირებულმა ეთნოდივერსიულმა ახალმა, – ქართველ ერს ქართველის სახელით ჩასანაცვლებელმა ნაციამ გამომწვევი და მოჟღარუნე ლოზუნგით „ჩვენ გავიმარჯვეთ“, – იზეიმა ნარკომანიის ანუ ერის გადაშენების ლეგალიზებისაკენ გადადგმული ნაბიჯი. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველივე ამას დაემთხვა აშშ-ში გამართული „ქორწილი“, როცა ჩოხაში გამოწყობილმა სულსაჭურისმა ქართველმა ახალგაზრდამ ასევე ჩოხაში გამოწყობილი ასეთივე ქართველი ყმაწვილი შეირთო „ცოლად“, წვრთნაშეუსმენელი თაობის „გამარჯვება“ მართლა საგრძნობია (განცვიფრდები კაცი: დიდი ილიას ფხიზელ მზერას თითქოს საუკუნე ნახევრის წინ არ გამოპარვია ქართველთსპობითობის ერთ-ერთი ილეთი, რომელსაც სულნათელი „სიმზაკვრით სავსე სიხარულს“ ეძახდა (იხ. მისი წერილი „ზოგიერთი რამ“).

ასეთ დროს თავზარდამცემია სიცხადე: ე.წ. ქვეყნის პირველი პირი, ვითომ პრეზიდენტად რომ იწოდება, გინდ ყოფილა და გინდ არა, – უყურებ ამ კაცს და სივრცეში ასომთავრულით თავისთავად იწერება: სამ ღორღონჯსაც ვერ მომწყემსავსო ეს კაცი!..

იმ პირობებში, როდესაც საზოგადოებაში არა და არ გამოჩნდა დიდი ილიას დარი წინამძღოლი, ამასთან ნამესტნიკური ხელისუფლების მიერ გაცამტვერებულია ყველა ინსტიტუცია, რომელიც ქართველს შეახსენებს თავისი გონითი განფენის სივრცეს ანუ ღვთისმშობლის წილხვედრილობას, საეთნოდივერსიო სამსახურებმა მიზნობრივ ქმედუუნარობაში ჩაამწყვდიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, განგებ დაშალეს მისი მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, ე.წ. განათლებისა და კულტურის სამინისტროებს განაგებენ უვიცი, გაუნათლებელი, უკულტურო და ერის სულიერებასთან მიმდგომელი ბიჭუნები და გოგუნები, მწერალთა კავშირი ერის წყლულის დასტაქრობიდან ჩამოაქვეითეს უნიათო ფეხაწყობად და მის ადგილზე ხელოვნურად შექმნილი და ხალხში „უბორნიის მწერლობად“ წოდებული კრებითობა ერის სახელით ლაპარაკობს იმ ამბიონიდან, რომლიდანაც დიდი ილია მოკრძალებით ქადაგებდა - „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“-ო... და ბოლოს, რაც ყველაზე საგანგაშოა, საოკუპაციო ხელგამოღება დედა ეკლესიას გარსშემოეწყო ლოდსატყორცნებით, რომელთაც ქვეგამხედვარედ შეაშველეს ტალახით სავსე პეშვებით (და არა მხოლოდ ამით) ჩასაფრებული ავმოსურნეები, ქართველი ერს ყოფნა-არყოფნის დღეები გაუყოველდღიურდა და ეს უნდა იცოდეს ნებისმიერმა, ვისაც საქართველოს მარადიულყოფისთვის ძალისხმევა ჯერ კიდევ მიაჩნია თავის მოვალეობად.

3. „სიმზაკვრით სავსე სიხარული“, როგორც „უბორნიის მწერლობად“ წოდებულთა სულიერ-მსოფლმხედველობრივი ხართა (რეზერვაცია): თავის ღვთივწდომილ წერილში „ზოგიერთი რამ“ (1876 წ.) წმინდა ილია მართალი გათითოკაცებულ, გიჟვრაცუად დადგენილ და ძილქუშში მონებივრე საქართველოს ხმისჩახლეჩამდე უკიჟინებდა: „თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა მაგ თითეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის...“ ერის მოძღვარი აქვე, ლამის გულამოსკვნილი, ამაოდ განაგრძობს: „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველა თითო არ არის და თითოში ყველა, საცა თითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა – თითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათი!“

... და ესეც, ამასაც გადაავლეთ თვალი, მკითხველნო და გულწრფელად მითხარით, სადღეისოდ არაა თქმული?!. „ან გვინდაღა ქართული, როცა ჩვენ თვითონ ჩვენდა დასაღუპავად ქართველობაზედ ხელი ავიღეთ? გონებით რომ აღარ ვცხოვრობთ, ქართულს ენას აზრს როგორღა გამოათქმევინებთ“? (იხ. „ზოგიერთი რამ“).

დამეთანხმოთ უნდა, მხოლოდ ასეთი გურსაჭუო თანაგრძნობით მოჭირისუფლეს შეეძლო რუსიზმისა და მისი ადგილობრივი ხელისბიჭებისაგან დათოფილ თუ გათითოკაცებულ ქვეყანაში სრულიად საქართველოდ გაეერთსხეულებინა ქართველობა კახეთშიც, ჰერეთშიც, ცხუმ-აფხაზეთშიც, საბედიანოშიც, სამეგრელოშიც, ლაზეთშიც, აჭარაშიც, იმერხევშიც, სვანეთშიც, ლორე-ტაშირშიც და ა.შ.

როდესაც საუბარია საზოგადოების მიერ „უბორნიის მწერლობად“ გამოცხადებულ მეწიგნეობაზე (ლაშა ბუღაძე, პაატა შამუგია, ერეკლე დეისაძე, ზაზა ბურჭულაძე და სხვანი), უმთავრესი და პირველი, რაც უნდა ვიცოდეთ, ისაა, რომ მათთვის დებულება „ენა, მამული, სარწმუნოება“ მიჩნეულია დრომოჭმულ გადმონაშთად, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ე.წ. ღია საზოგადოებად თვითდამკვიდრებული ჯოგური სიმრავლე, ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიის ლოზუნგების აფრიალებით, დაუზავებლად, აღგვის წესითა და ძირფესვიანად ამომთხრელი ხელგამოღებით ებრძვის ქართველი ერის სახელმწიფო სუვერენიტეტს, საერთოდ ქართველობის, როგორც თვითმყობადი შინაარსის მარადიულყოფას. აქედან გამომდინარე, ეროვნული თვითშეგნების (ქართველთა გონითი განფენის სივრცის) ამ ცისქვეშეთიდან ამოშანთვა ე.წ. ლიბერასტული საზოგადოების, ასეთ მსოფლმხედველობაზე აღმოცენებული „მწერლობისა“ და ამნაირი იდეოლოგიით მოხელმძღვანელე საორგანიზაციო დასკვნებით მოსაქმიანე ნამესტნიკური ადმინისტრაციის (ვითომ ხელისუფლების) სახელმწიფო პოლიტიკაა, რომლის უსათუო განხორციელება მათი სამოღვაწეო ყოვლედღიურობა გახლავთ.

ყველა ამგვარი ვითომ არასამთავრობო ორგანიზაცია თანმიმდევრული ფინანსური სტაბილურობისათვის უხვად საჩუქრდება აგრესიული გლობალიზმის თანხებით. სხვათა შორის, ასეთი ე.წ. ღია საზოგადოება, რომელიც ვითომცდა „ადამიანის უფლებათა დაცვის“ სადარაჯოზე დგას და „დემოკრატიის შუქურას“ წარმოადგენს, სინამდვილეში ღია კი არა, სუკისეული (КГБ-ს) უსაფრთხოების წესებით, გასაიდუმლოებებითა და დახურული (რკინის ფარდის გარემო) მდგომარეობით მოსაქმიანე დიქტატურა ანუ საოკუპაციო რეჟიმია.

გასაგებია, რაღაც სასწაულით გადარჩენილი ჯერ კიდევ ქართული თვითშეგნებითა და შინერს-ვაშინერსის წესრიგში მოაზროვნე საზოგადოებისათვის სიტყვაკაზმული მწერლობა, სულიერების სხვა თანამოსანგრე მიმართულებების გასწვრივ, ეროვნული ვინაობის (იდენტობის) მარადიულმყოფი ძალისხმევა გახლავთ. ეს არის ამ მხრივ მრავალსაუკუნოვანი, გნებავთ, არაერთათასწლოვანი, ნაცადი, მსოფლმხედველობრივად ღვთივწვდომილი ცნობიერება, რომლის წიაღში აზროვნება და მოღვაწეობა განაპირობებს ქართველად (კახელად, მეგრელად, სვანად, აჭარელად, ჰერად, ლაზად, თუშად და ა.შ.) ყოფნას, აზუსტებს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრილობაში მისი გონითი განფენის სივრცეს, რაც მთავარია, ქართველს უპიროვნებს ქრისტესმხედრისა დ თუ გიორგიანელის მოვალეობას.

უნდა ვაღიაროთ, რომ იმ ცნობიერებამ, რომელსაც მრავალი ათასწლეულისა თუ საუკუნის მანძილზე დაუნდობლად, თანმიმდევრულად და სასტიკად ებრძოდა რომი, ბიზანტია, მონგოლი, არაბი, სპარსი, თურქი, რუსი და ა.შ. და ამის მიუხედავად, არათუ გადაირჩინა საკუთარი ვინაობა, ჩვენი წელთაღრიცხვის 21-ე საუკუნესაც ქართულ შინაარსად მიგვაგება, – აგრესიული გლობალიზმის არასრულმა ოცდახუთწლიანმა განუკითხაობამ კეთილმოსურნეობის ნიღბით, ე.წ. უფლებადაცვითი და ვითომ დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრებით, ღია საზოგადოებების (ე.წ. მესამე სექტორის) თარეშით უზრუნველყო ეროვნული ვინაობის გაწვირიანება და მშობლიური თვითშეგნების მოშლა. მეტიც, ეთნოფაბრიკაციული დივერსიის გზით ქართული ეთნონედლეულისაგან გამოინკუბატორდა ნაწილობრივ ქართულ ლექსიკოვანი, თუმცა ქართულად არ მოაზროვნე ახალი ოლიგოფობიური ნაცია, რომელიც ჩვენს მამულში ქართველ ერს (გიორგიანელობას) უნდა ჩაენაცვლოს.

როგორც ცნობილმა პედაგოგმა ჩხოროწყუდან და მართლა კარგი ლექსების ავტორმა, პატივმისაგებმა კაცმა – კოტე ნაჭყებიამ ამ წერილზე მუშაობისას მითხრა, გასულ წელს ე.წ. უბორნიის მწერლობის აქტივისტები სამეგრელოში არაერთ შემოქმედ ახალგაზრდას ესტუმრნენ, რათა რომელიმეს ცოტნე დადიანზე რომანი დაეწერა.

მათ განსაკუთრებით აინტერესებდათ ამ საქმისთვის ხელი მოეკიდა ერთ ხობელ იმედისმომცემ ახალგაზრდა მწერალს.

ამ აქტივისტების განმარტებით ცოტნე დადიანზე რომანის ავტორი დიდძალი ფულით, საყოფაცხოვრებო პირობებით, მანქანით, პრემიებით, სახელგანთქმით და ყველანაირი კეთილდღეობით დაჯილდოვდებოდა, თუ კი იგი წმინდანად შერაცხილ ცოტნეს არც თუ გმირად და მამულიშვილად, ცოტა პირუმტკიცედ და სქესობრივი უმცირესობისკენ მიდრეკილად გამოიყვანდა!..

საბედნიეროდ, იმხანად ვერავინ გადაიბირეს!

ეძლევა რა ე.წ. უბორნიის მწერლობისათვის სიტყვის თავისუფლებას გაუკუღმართებული განმარტება, იგი ქართულ სინამდვილეში იქცა უკულტურობის, უსამშობლობის, უარავინობის, უგემოვნობის, თავხედობის, უტიფრობის, სიძვის, სისხლაღრევისა და მისთანათა დასაბუთებად.

მათ შემოქმედებაში თავისუფლება დაცლილია ამ სიტყვის წმინდა წერილისეული გაგებისაგან (რითაც ის უხსოვარ დროში დამკვიდრდა კიდეც ქართულ სააზროვნო წესსა და ენაში). ამით იგი იქცა ისეთ უბოდიშო თვითნებობად, რომელიც ქვებუნაგური თავაწყვეტისკენაა წამბიძგველი. თავისუფლების ასეთი განმარტებით ანუ უფლების მოწყვეტით მოვალეობისა და პასუხისმგებლობისაგან (რაც სინამდვილეში სისხლამღრევი თავაწყვეტაა), ბუნებრივია, ე.წ. უბორნიის მწერლობა არათუ მოსწყდა ქართველი ერის ეროვნულ-სახალხო ნებას, მეტიც დაუპირისპირდა ქართული მწერლობის ღვთივწვდომილ ანუ მსოფლიო მნიშვნელობის ღირებულებებს, რის გამოც იგი მორგებულია ლიბერასტული გემოვნებისათვის და გამოხატავს მხოლოდ ასეთ ფეხაწყობათა ქვენა გრძნობებს.

აქ ერთიცაა: ვინაიდან უბორნიის მწერლობა შეიქმნა (იქმნება) არა ქართული სიტყვაკაზმულობის გამოცდილებათა წიაღში, არამედ შემოჩეჩებულ უზნეობათა ყამირის ათვისებით, წინამდებარე მჯღაბნელობა, როგორც უწარსულო, უსაშველოდ მიმბაძველია და მის „შემოქმედებას“ განაპირობებს აულაგმავი ხმაბაძვა და მონური ქედდადრეკილობა დასავლეთის ქუჩისფსკერულობისადმი.

მართალია, ისინი ყველგან და ყველაფერში ცდილობენ „გაევროპელდნენ“ (შედარეთ „ევროპის მოედანი“, პარტია „ევროპული საქართველო“), მაგრამ არც იციან და როცა იციან, გულდაგულ ჩქმალავენ იმას, რომ ბინადარი ცხოვრების წესი და შინერს-ვაშინერსის წესრიგი (სულის სრულყოფილება) სწორედ ქართველთა გონითი განფენის სივრცეში ჩამოყალიბდა და აქედან იჩუქა დასავლეთმა (იხ. კანტი, ჰეგელი და ა.შ...)

სინამდვილეში მათი ევროპელობა ვითომევროპელობაა, რადგან, როგორც გითხარით, ისინი დასავლეთის ლიბერასტობასა და ქუჩისფსკერულობას ემოწაფებიან, თორემ ქუდი რომ შეუგდო, არც შეიხედავენ იმ ჭერქვეშეთში, სადაც ჰომეროსის, სოფოკლეს, ევრიპიდეს, დანტეს, სერვანტესის, შექსპირის, ლესინგის, ბალზაკის, ჰიუგოს და ა.შ. სულიერი საუფლოა.

ამის მიხედვით ამ ლიბერასტული სიმრავლისათვის ყველა უბედურება, რაც ქვეყანას დაატყდა, არა აგრესიული გლობალიზმის საოკუპაციო რეჟიმის კონტინგენტმა მოგვახვია თავს, არამედ, ამას თვით ქართული შინაარსი განაპირობებს თურმე („ნუ, საქართველოა!“), ამიტომ, ლიბერასტების აზრით, გამოსავალი ქართველობიდან თავდაღწევა, თანაც, რაც შეიძლება მალე, ყოფილა!

სწორედ ამიტომ, მათი გაშმაგების სამიზნედ დღეს, როდესაც დღის წესრიგში დადგა ქართველთა დეეთნიზაცია, აქედან გამომდინარე, ქართველ მწერალთა შემოქმედებითი კავშირი, როგორც ინსტიტუციური ორგანიზაცია, გადმონაშთად მიიჩნევა. იგი (ქართველ მწერალთა შემოქმედებითი კავშირი), გამოძევებულია თავისივე საბრძანისიდან კი არა მარტო, უნუგეშოდაა დაშლილ-გათითოკაცებული. ასეთ დროს ლიბერასტული ლოდსატყორცნები გარშემოეწყვნენ მეთქი დედა ეკლესიას. ქვებუნაგური შთაგონებით ეიერიშებიან უფლის სახლს.

აღსანიშნავია, რომ ამ დარაზმულობაში ლევან ბერძენიშვილი და მისი სულიერი შვილები ზაზა ბურჭულაძე, ლაშა ბუღაძე, რატი ამაღლობელი, პაატა შამუგია და კომპანია, ხალხში „უბორნიის მწერლობად“ გამოჭენებულ-აღიარებული ხმაბოდვური კრებითობაა მხოლოდ, რომლის ძირითად მოვალეობად ძირგამომთხრელობა იქცა. იგი, როგორც ეთნოფაბრიკაციული დივერსიის გზით ქართული ეთნონედლეულისაგან გამოინკუბატორებული ახალი (ოლიგოფობიური) ნაციის სულის ხრწნილებაში გასაგნება, ადამიანის უფლების დაცვის ლოზუნგის ქვეშ დათარეშობს, თან თითისქნევის წესით ეურთიერთება ქართველ ერს (ეკომუნიკაციება, მათი „ქართულით“ რომ ვთქვა). აქედან გამომდინარე, თანამიმდევრულად ამზადებს ნიადაგს, რათა ქვეყნის ქართულ ვინაობაში ყველა საშუალებით ჩააშინაარსოს ახალი ლიბერასტული რაობა (ეთნოფაბრიკაციული ნაცია). დიახ, ე. წ. უბორნიის მწერლობა არათუ არ გამომდინარეობს არაერთათასწლოვანი საკაცობრიო მნიშვნელობის ქართული მწერლობიდან, პირიქით, იგი საველე-სასანგრო წესით ებრძვის მას და მასთან ერთად ქართველი ერის მარადიულყოფის სურვილს. თავის მხრივ, სახელმწიფო, რომელმაც იგუა ასეთი ე. წ. მწერლობა, არ შეიძლება, იყოს ქართველი ერის სახალხო ნების გამომხატველი და მისი მარადიულყოფის უზრუნველმყოფი.

მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებ, რომ ნებისმიერი დამპყრობი – არაბიც, თურქიც, მონღოლიც, ირანელიც, რომაელიც, ერთმორწმუნე ბიზანტიაცა და რუსეთიც, თვით შემოხიზნული არმენიც, ოსიც, ლეკიც, აფსუაც და ა. შ. ცდილობდა ქართველ ერს უარი ეთქვა თავის სარწმუნოებრივ და ეროვნულ ვინაობაზე.

ამისათვის თუ მაჰმადიანური სამყარო ჩვენგან რჯულის გამოცვლას მოითხოვდა, ერთმორწმუნე დამპყრობმა დედაეკლესიის ავტოკეფალია გაგვიუქმა და ეკლესია-მონასტრები გადაგვიღება. ყველა მათგანს ერთი და იგივე მიზანი ჰქონდა: მოეშალა ქართულ ვინაობაში ქართველთა აზროვნების წესი.

დღესაც იგივე ხდება: აგრესიული გლობალიზმი გაშმაგებით მოითხოვს, წიხლისკვრით ვაქციოთ ზურგი ეროვნულ შინაარსს და ერთბაშად მოვიხვიოთ თავს ლიბერასტული (ოლიგოფობიური) ღირებულებები, ანუ უარი ვთქვათ ქართველობაზე, მართლმადიდებლობაზე, ჭერქვეშულ სიწმინდეებზე, სისხლაღუღრეველ ურთიერთობაზე, ბინადარ ცხოვრებაზე, მწარმოებლობაზე და მას ჩავანაცვლოთ ჭაობური დემოკრატია თავისი უხამსობით, გარყვნილებით, პარაჟენცული დამოკიდებულებით სამშობლოსადმი...

საზოგადოების ერთი ნაწილი ისე გამოთაყვანდა, რომ მას არათუ უბედავენ პედარასტთა შემწყნარებლობას, მეტიც, თვითონ მისგან მოითხოვენ ასეთი ცხოვრების წესში მონაწილეობას.

**სერგი (გიორგი) საჯაია,**

**(გაგრძელება იქნება)**

# ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი



*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა მოგონებებიდან ირკვევა, რომ 1941 წლის ივნისში ბერია სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სახელით აწესრიგებდა სამხედრო გადაზიდვებს.

ამ მცირერიცხოვან დოკუმენტებსაც კი რომ ეცნობი, უკვე ნათელი ხდება, თუ რამ გამოიწვია სერიოზული ჩავარდნები საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში დიდი სამამულო ომის დაწყების პირველ დღეებში.

რა თქმა უნდა, აქ, ავტორთა ყველა დასკვნებს ნდობას ვერ გამოვუცხადებთ (მათ რიცხვში მილშტეინის მოხსენებითი ბარათი არ შედის), მაგრამ ერთი მდგომარეობა გვაიძულებს დავეთანხმოთ იმას, რომ ომის დაწყების პირველ დღეებში საქმეებს ხელმძღვანელობდნენ, რბილად რომ ვთქვათ, არც მთლად კომპეტენტური ადამიანები. მაგრამ მათი შემცვლელები არსად ჩანდნენ. ამიტომ, ტვირთის ზიდვა კვლავ ბებერ, საქმეში "გამოცდილ" ცხენებს უწევდათ.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 3 თებერვლის ბრძანებულებით სსრკ შინსახკომი ორ სახალხო კომისარიატად დაიშალა: სსრკ შინსახკომად და სსრკ უშიშროების სახალხო კომისარიატად. შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დაინიშნა ლ.პ. ბერია, სსრკ უშიშროების სახალხო კომისარად კი ვ.მ. მერკულოვი (ლ.პ. ბერიას რეკომენდაციით).

მაგრამ ამით სრულიადაც არ შემცირებულა ლავრენტი ბერიას მიერ საზიდი ტვირთი! პირიქით!

1941 წლის 3 თებერვალს ლავრენტი ბერია დაინიშნა სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, სადაც მას დაევალა შინსახკომის, უშიშროების სახალხო კომისარიატის, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის, ფერადი მრეწველობის სახალხო კომისარიატის, ნავთობწარმოების სახალხო კომისარიატის, სამდინარო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის, ასევე ქიმიური წარმოების დარგებისა და ელექტროსადგურების კურირება.

ოდნავ გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ დიდმა სამამულო ომმა წარმოადგინა შედარებით მკაცრი მოთხოვნები და ამას მოჰყვა ახალი ტვირთების სერია.

სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1942 წლის 4 თებერვლის დადგენილებით, რომელიც ეხებოდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილებას, ბერიას დაევალა კონტროლი კომიტეტის მიერ გაცემული დავალებების შესრულებაზე თვითმფრინავების, საავიაციო ძრავების, შეიარაღების, ნაღმტყორცნების წარმოების დარგში და ასევე წითელ არმიაში მიმდინარე ახალი პოლკების ჩამოყალიბების პროცესებზე და მათ დროულად გადასროლაზე ფრონტის ხაზზე.

სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1942 წლის 8 დეკემბრის დადგენილებით ბერია დაინიშნა სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ოპერატიული ბიუროს ხელმძღვანელად. ამავე დადგენილებით ბერიას დაევალა კონტროლი ქვანახშირის წარმოების სახალხო კომისარიატსა და გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატზე. 1944 წლის მაისში ბერია დაინიშნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ და ოპერატიული ბიუროს თავმჯდომარედ. ოპერატიული ბიუროს მოვალეობაში შედიოდა თავდაცვის დარგის ყველა სახის წარმოებებზე, სარკინიგზო და სამდინარო ტრანსპორტზე, შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოებზე, ქვანახშირის, ნავთობის, ქიმიური, რეზინის, ქაღალდ-ცელულიოზის, ელექტროტექნიკური მრეწველობის დარგებისა და ელექტროსადგურების საქმიანობაზე კონტროლი.

**ამით სტალინმა დოკუმენტურად დაადასტურა საბჭოთა ხელისუფლების ბევრი "წამყვანი ფიგურის" არაკომპეტენტურობა, მათ შორის მოლოტოვის, კაგანოვიჩის, ვოზნესენსკის...**

კარგი გადაწყვეტილებაა, მაგრამ იგი აშკარად დაგვიანებული გახლდათ, მინიმუმ – ხუთი წლით.

1938-1941 წლების განვითარების სტრატეგიას გააჩნდა გარკვეული თავისებურებები. უპირველესად, "ზემოთ" ცდილობდნენ გამოესწორებინათ სახიფათო გადახრა ქვეყნის საწარმოო ძალების განლაგებაში. მშენებლობათა წარმოების პროგრამა ძირითადად გათვლილი იყო აღმოსავლეთ რეგიონებზე, სადაც დაგეგმილი იყო "დუბლიორი" წარმოებების დიდი რაოდენობით ამოქმედება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სათბობ-ენერგეტიკული ბაზის განვითარებას – კუზნეცკის ქვანახშირის აუზის გაფართოებას, ვოლგასა და ურალს შორის, თათრეთისა და ბაშკირეთის ტერიტორიებზე ახალი ნავთობბაზის "მეორე ბაქოს" შექმნას. დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობდა მესამე მეტალურგიული გიგანტის – ნოვო-ტაგილის ქარხნის – მშენებლობა, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის უსხვილესი ქარხნის – ურალვაგონქარხნის, კრამატორსკის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის, შორეული აღმოსავლეთის ქარხანა "ამურფოლადის", კოლის ნახევარკუნძულზე მდებარე სამთომეტალურგიულ კომბინატ "ჩრდილოეთნიკელის" და სხვა მსხვილი ობიექტების ექსპლოატაციაში გაშვება. მაგრამ, დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ვერცერთი "დუბლიორი-წარმოების" მშენებლობის დასრულება ვერ მოხერხდა. რატომ? დაბრუნდით რამდენიმე გვერდით უკან და კიდევ ერთხელ წაიკითხეთ საბრძოლო მასალების წარმოების სახალხო კომისარიატის მუშაობის ანალიზი, რომელიც შინსახკომის რევიზორებმა შეადგინეს. მუშაობის დრო პრაქტიკულად არ რჩებოდა: **ხან თათბირები, ხან მიწერ-მოწერა...** და ასე, თითქმის ყველგან.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ცდილობდა ყველაფრის გაკეთებას.

ჯერ ერთი, 1939 წლიდან შემოღებული იქნა ერთიანი შრომის წიგნაკი, რომლის გარეშე სამუშაოზე მოწყობა შეუძლებელი იყო. მასში აღინიშნებოდა ყველა სამუშაოზე ყოფნის ჩანაწერი და ამ სამსახურიდან წამოსვლის მიზეზი. შრომის წიგნაკი ადმინისტრაციის განკარგულებაში გახლდათ.

მეორეც, 1939 წლიდან, სამსახურიდან საკუთარი ნებით განთავისუფლების მსურველ მუშა-მოსამსახურეებს ამის თაობაზე ერთი თვით ადრე უნდა ეცნობებინათ ადმინისტრაციისათვის. ერთ თვეში სამსახურში სამჯერ დაგვიანება 20 წუთით ითვლებოდა როგორც სამსახურის არასაპატიო მიზეზით გაცდენა და ისჯებოდა სამსახურიდან მოხსნით. ომის დროს ამ კატეგორიის ადამიანებს ასამართლებდნენ და შრომა-გასწორებით ბანაკებში ამწესებდნენ. სამსახურში დაგვიანებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ 1956 წელს იქნა გაუქმებული.

მესამეც, სსრკ პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს ინიციატივით გაუქმებული იქნა 1927 წელს ძალაში შესული დადგენილება 7-საათიანი სამუშაო დღისა და ექვსდღიანი სამუშაო კვირის შემოღების თაობაზე. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით (1940 წლის ივნისი) შემოღებული იქნა 8-საათიანი სამუშაო დღე, შვიდდღიანი სამუშაო კვირა და აიკრძალა მუშებისა და მოსამსახურეების მიერ სამუშაო ადგილების თვითნებურად მიტოვება.

მეოთხეც, 1940 წლის შემოდგომიდან, სსრკ სახალხო კომისარიატებს მიენიჭათ უფლება, რომ მუშები და მოსამსახურეები გადაეყვანათ ერთი საწარმოდან მეორე საწარმოში, მათი თანხმობის გარეშე. ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა ახალმშენებლობების საჭირო სამუშაო ძალით უზრუნველყოფას, განსაკუთრებით ეს ეხებოდა საბჭოთა კავშირის შორეულ რაიონებში მდებარე ახალმშენებლობებს. მოხალისეები და პატიმრები ცოტანი იყვნენ, ეკონომიკური და მატერიალური სტიმულირების ფონდი კი პრაქტიკულად არ არსებობდა. გარდა ამისა, მთავრობამ მიიღო დადგენილება სამუშაო ნორმატივების გაზრდისა და მასზე ანაზღაურების განაკვეთების შემცირების თაობაზე, რამაც გამოიწვია ხელფასების მნიშვნელოვნად შემცირება.

მაგრამ, საქმეს არც ეს შველოდა.

1941 წლის მარტში ბერია კრემლის კორიდორში ნიკიტა ხრუშჩოვს შეეჩეხა, რომელიც მაშინ უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ედგა სათავეში. მოგვიანებით, ამ შეხვედრასთან დაკავშირებით, ბერიამ შემდეგი შინაარსის ჩანაწერი გააკეთა დღიურში.

*"მიკიტა აგრძელებს მოსკოვში ჯდომას. ვერაფერი გამიგია. მას რა, უკრაინაში საქმე არა აქვს? იქ დღეს და ღამეს უნდა ასწორებდეს დიდი მეურნეობის მოვლა-პატრონობაში. იქ იატაკქვეშეთიც ძლიერია – ძალიან ბევრ რამეს უფუჭებენ საბჭოთა ქვეყანას. მე მას ვუთხარი, რომ უკრაინის განთავისუფლების ფრონტისაგან უამრავ სიურპრიზს უნდა ველოდოთ. მეხუთე კოლონისაგან უკრაინა გავწმინდეთ, მაგრამ მძლავრი იატაკქვეშეთი დარჩა. ბანდებიც დაუსჯელად ბოგინობენ. ის კი მოსკოვში მოყუჩებულა. მეტი წილი კობასთანაა.*

*იხვეწება, რომ სტუმრად მიიღონ. ვეუბნები: ძვირფასო ნიკიტა სერგის ძევ, ღამეები მიდის ისე, რომ ქალებს თვალით ვერ ვხედავ. სახალხო კომისარიატს ვყოფთ, ვყოფთ, მაგრამ ბოლომდე ვერ გაგვიყვია. მე ახლა სახალხო კომისარი კი არა, სახალხო კომისარნახევარი ვარ. ორი თვალით შინსახკომს შევცქერი, ცალი თვალით კი უშიშროების სახალხო კომისარიატს. სახკომსაბჭოსაც უნდა მივაქციო ყურადღება. მალე თვალებში შუქი ჩამიქრება.*

*იგი ამბობს – შენ ხომ ხალხი გყავს, კადრები კი ყველაფერს წყვეტენ. ვეუბნები – ისინი ყველაფერს მაშინ წყვეტენ, თუ უნარიანად ხელმძღვანელობ.*

*სარკაზმით ვეუბნები: "შენ, ძვირფასო მეგობარო, კადრებს გამოექეცი, მოსკოვში იგრილებ გაცხელებულ შუბლს". ხელი ჩაიქნია. ამბობს, რომ საქმეს თავს უმაგისოდაც გაართმევენ, მე კი ამხანაგ სტალინთან უმნიშვნელოვანესი საკითხები უნდა გადავწყვიტოო..."*

ომის წინა დღეებში, უკრაინაში, მართლაც უმნიშვნელოვანესი საკითხები იყო გადასაწყვეტი.

**უკრაინის სსრ უშიშროების სახალხო კომისარიატის №387 სამსახურეობრივი ბარათი უკრაინის კომპარტიის ცეკას პირველ მდივანს ამხ. ნ.ს. ხრუშჩოვს. (არა უადრეს 1941 წლის 15 აპრილისა)**

*"საზღვარგარეთის აგენტურის მიერ მოწოდებულ მასალებისა და საზღვრის დამრღვევთა საგამოძიებო კვლევების მიხედვით მიხედვით დგინდება, რომ გერმანელები გამალებით ემზადებიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომისათვის, რისთვისაც ჩვენს საზღვრებთან ახდენენ შეიარაღებული ძალების კონცენტრაციას, აშენებენ გზებს და სიმაგრეებს, ეზიდებიან საბრძოლო მასალებს."*

*საზღვარგარეთული აგენტურული წყაროების "ლვოველისა" და "ზიდვაჟნის" მიერ მოწოდებული ინფორმაციების თანახმად, რომელიც შემოვიდა საგენერალ-გუბერნატოროდან მიმდინარე წლის აპრილში, საგუბერნატოროს სასაზღვრო ხაზი მთლიანად მილიტარიზებულია: აკრძალულია სამოქალაქო პირებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა, გლეხებს ეკრძალებათ ხვნა-თესვის სამუშაოთა ჩატარება.*

*ეს მონაცემები ობიექტურად დასტურდება თვითმფრინავ "Ю-86"-ის მოქმედებებით, რომელმაც 15 აპრილს განახორციელა დაჯდომა როვნოს სიახლოვეს, ჩვენი ტერიტორიის საგულდაგულოდ დაზვერვის შემდეგ.*

*ცნობილია, რომ ომის წარმოებისას გერმანელები იყენებენ ვერაგულ ტაქტიკას – აფეთქებების სერიას მტრის ზურგში ("მეხუთე კოლონა" ესპანეთში, ხორვატების ღალატი იუგოსლავიაში).*

*აგენტურული საქმიანობით მოპოვებული მასალები, "უკრაინის განთავისუფლების ორგანიზაციის" საქმის გამოძიების შედეგები, მათ შორის არალეგალურად გავრცელებული პროკლამაციები და მოწოდებები მეტყველებდნენ იმაზე, რომ სსრკ-გერმანიის ომის დროს "მეხუთე კოლონის" როლში მოგვევლინებოდა "უკრაინის განთავისუფლების არმია".*

*ეს "მეხუთე კოლონა" საკმაოდ სერიოზული ძალა იქნებოდა, რადგან იგი კარგად იყო შეიარაღებული და მუდამ იღებდა იარაღს გერმანიიდან.*

*უკრაინის განმანთავისუფლებელი არმიის "რევოლუციური თანხლება", რომელსაც სტეპან ბანდერა ხელმძღვანელობდა, არც კი დალოდებია ომის დასაწყისს, ისე შეუდგა უკრაინის დასავლეთ რეგიონების მოსახლეობის ტერორიზებას და ანტისაბჭოთა ანტისამთავრობო მოძრაობის ორგანიზებას.*

*ამას მოწმობენ მკითხველისათვის ცნობილ რიგ ტერორისტულ აქტები, რომელსაც ბანდერელები აწყობდნენ საბჭოთა აქტივისტების, მილიციის მუშაკების და საბჭოთა ორგანოების მუშაკთა წინააღმდეგ.*

*უკრაინის განმანთავისუფლებელი არმიის ძირითად ძალას წარმოადგენდა არალეგალთა ბირთვი, რომელთა რიცხვი მხოლოდ უკრაინის დასავლეთ ნაწილში შეადგენს 1.000 კაცს.*

*დღისით არალეგალები იმალებიან ტყეებში, დაეხეტებიან გზებზე, ღამღამობით შედიან სოფლებში და თბილად მოკალათდებიან ხოლმე კულაკთა, რეპრესირებულთა და საკუთარ ოჯახებში.*

*ზოგიერთი სოფლის მოსახლეობა იმდენად დაშინებულია, რომ საბჭოთა წყობის მიმართ ლოიალურად განწყობილ ადამიანებსაც კი ეშინიათ არალეგალთა მხილება.*

*მაგალითად, ტერნოპოლის ოლქის ბერეჟანსკის რაიონის სოფელ ლაპშინის სოფლის საბჭოს თავმჯდომარის ვ.მ. კოვარის წინააღმდეგ ტერორისტული აქტი ორი ბანდიტის მიერ განხორციელდა მის საკუთარ სახლში, ექვსი მეზობლის თანდასწრებით. ამ მეზობლებმა არა თუ წინააღმდეგობა არ გაუწიეს ბანდიტებს, არამედ ეს ბანდიტებიც კი "ვერ ამოიცნეს".*

*ტერნოპოლის ოლქის იმავე რაიონის სოფელ კოზივკას სოფლსაბჭოს თავმჯდომარე გოროხოვსკიმ, რომელსაც ბანდიტები მოსდევდნენ, თავი შეაფარა თავისი ღვიძლი ძმის სახლს, სადაც მხეცურად იქნა მოკლული.*

*გოროხოვსკის ძმა იმდენად შეშინებული იყო, რომ ბანდიტები არ ამხილა.*

*აღნიშნული გვაყენებს იმის აუცილებლობის წინაშე, რომ არალეგალთა მხილებასთან ერთად უნდა მოხდეს უკრაინის განმანთავისუფლებელი არმიის ბირთვის, არალეგალების, კულაკების და რეპრესირებულთა ოჯახების ლიკვიდაცია.*

*უკრაინის სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარი მეშიკი".*

**თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი,**

**(გაგრძელება იქნება)**

# მოკვდინების პროცესი გრძელდება...

ის, ვინც გადაურჩა გლობალისტთა დაპატენტებულ ტვინის გამორეცხვის საშუალებებს და სპექტაკლის საზოგადოებაში ცხოვრების მომნუსხველ გავლენას, ხვდება, რომ სამშობლო საფრთხეშია!

რამდენიმე ათეული წლის შემდეგ აღარ იარსებებს არამც თუ ქართული კულტურა, ქართული ცხოვრების წესი და ტრადიციები, არამედ თვით ქართველი ერი აღმოჩნდება უმცირესობაში გარსმოჯარულ მტერ-მოყვარე ერებს შორის. ეს არის მწარე რეალობა. ის ხელისუფლება კი, რომელიც მეოთხე საუკუნის მანძილზე ისტორიულ მტრებს ისტორიულ მეგობრებს ეძახის და ძია სემის მითითებებს მონური მორჩილებით ასრულებს, ხელს უწყობს ერის აგონიის დასრულებას.

ვინ არის დამნაშავე?

ძველი გაზეთების თვალიერებისას შემთხვევით წავაწყდი ყოველკვირეულ გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ცნობილი ქართველი მწერლის საუბარს, რომლის სათაურია „განკურნების პროცესი დაიწყო...“

1992 წელია. ხარობენ და ზეიმობენ პუტჩისტები. შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა ინტელიგენციას იარაღის ხელში აღებისთვის.

მწერალს ესაუბრება გაზეთის კორესპოდენტი ფელიქს კოჟიაშვილი. ეს ის სურამელი ფელიქსაა, რომელიც თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ ბაგრატიონები ებრაელები არიანო. ებრაელებმა დააარსეს ქალაქი მცხეთა და ებრაელებს ქართველი ერის სულიერ განვითარებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით. იგი მონარქისტული პარტიის აქტიური წევრი იყო და მოითხოვდა ბაგრატიონთა ანუ ებრაელთა დინასტიის აღდგენას. დღეს მგონი ისრაელში ცხოვრობს.

მწერალი კოჟიაშვილის მისახვედრ კითხვებს პასუხობს. მწერლის გვარის დასახელება საჭირო არ არის, რადგან იგი ტიპიური წარმომადგენელია ე.წ. წითელი ინტელიგენციისა, ერთმანეთს წვეთი წყალივით რომ ჰგვანან და რომლებმაც იდეოლოგიურად მოამზადეს სახელმწიფო კრიმინალური გადატრიალება და იარაღით ხელში პრაქტიკულადაც შეასრულეს.

ამ დიდი ღალატის შედეგებს დღეს მწარედ ვიმკით, მაგრამ ამის შესახებ შევარდნაძის მიერ მადლობა გადახდილ-დაჯილდოებული ინტელიგენცია სამარისებურად დუმს.

ვფიქრობ, ერთ კაცს ვერ დააბრალებ ერის ცხოვრებაში რეგრესიული კატაკლიზმების წამოწყებას. დამნაშავეა ის კასტა, ის „ელიტა“, რომელიც თავს ხალხზე მაღლა აყენებს, სუნიანებს ეძახის და ანგარებიანი ინტერესებით ნაკარნახევ მიზეზთა გამო ცნობიერად თუ არაცნობიერად მის მოთხოვნებს უპირისპირდება.

მწერალს არ ჭირდება ფელიქსას „ნავოდიაშჩი“ კითხვები. თვითონაც კარგად იცის რა თქვეს და როდის თქვას.

მისი მწერლური აზრით ე.წ.ეროვნულმა ხელისუფლებამ ქართველ ერს ეროვნული ფსიქოზის საშიში სენი შეყარა. ახლა, ბრძანებს მწერალი, მადლობა ღმერთს ამ სენისაგან განკურნების პროცესი დაიწყო და მთავარი მკურნალი **დიიიდი** პოლიტიკოსი ედუარდ შევარდნაძეაო.

წითელი ინტელიგენციის წარმომადგენლები ერთმანეთს ეჯიბრებიან განსხვავებული დიაგნოზის დასმაში.

ერთის აზრით, „მრგვალებმა“ ერს მუქთა სმა-ჭამის პერსპექტივა დაანახეს და ხალხს სიხარულით გონება გადაეკეტაო...

მეორე ამბობს, რომ ქართველმა ერმა მიტინგებზე „გაუს“ ყვირილის მეტი არაფერი იცისო...

მესამე ლაპარაკობს ქართველი ერის გონებრივ სისუსტეზე, მსუბუქი დებილობის ფორმაზე...

მეოთხე ყურადღებას ამახვილებს ქართველი ერის მონურ ცნობიერებაზე...

სხვები კერპთაყვანისმცემლობაზე, ამპარტავნობაზე, ქართული სუფრის ჰომოსექსუალისტობაზე, ქართველი მამაკაცის პედარასტობისკენ მიდრეკილებაზე... პროვინციულ ფაშიზმზე... და ა.შ. და ა.შ.

მთავარია დიაგნოზის დასმა, ქართველი ერის ავადმყოფ ერად გამოცხადება. **დიიიიდი** პოლიტიკოსი ერს აუცილებლად განკურნავს. 1992 წლიდან დაიწყო ერის განკურნების პროცესი. – ასეთია მწერლის მრწამსი და შავარდნაძისადმი უდიდესი მადლიერების გრძნობა.

ყველაზე ეფექტური წამალი მკაცრი დიეტაა, რომელიც უნდა მიმდინარეობდეს ტოტალური უმუშევრობის, უწყლობის, უშუქობის, უგზაობის ფონზე.

მუქთა სმა-ჭამა კი არა, ერს საკუთარი ოფლით მოპოვებული პურიც რომ სანატრელი გაუხდება, აი, მაშინ იწყება ტვინის გამორეცხვა-სტერილიზაცია!

დღეს, ტერიტორიებდაკარგულ საქართველოს ასიათასობით თურქი, არაბი, ჩინელი თუ ხატაელი შემოესია... მილიონი ქართველი კი უცხოეთში გადაიხვეწა ლუკმა-პურის საშოვრად... სკოლებში ჩვენს შვილებს უცხოეთიდან მოწვეული ფალოსის მწუწნავი ფლეთჩერა მასწავლებლები მოძღვრავენ... ფულის გადაუხდელობის გამო ქართველ სტუდენტებს სასწავლებლიდან რიცხავენ, ნიგერიიდან და მოზამბიკიდან ჩამოსული შავტუხა ახალგაზრდებს კი უფასოდ ასწავლიან... ეროვნულ ბოზებს დიდი თანხით აჯილდოებენ და ამერიკაში აგზავნიან, მაშინ როცა მრავალშვილიან ქართულ ოჯახებში ჩვილები შიმშილით იხოცებიან...

პატივცემულო მწერალო! პრეზიდენტი გამსახურდია ახალი პიჯაკის ჩაცმისთვის და საქართველოსთვის ნაჩუქარი „მერსედესით“ მგზავრობისთვის ჯვარს აცვით! დღეს, ერის გენოციდის შემყურენი ხმას არ იღებთ! სამაგიეროდ, ასეულობით არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერების ხელმძღვანელობით იმართება ქუჩის ხმაურიანი მიტინგები მოთხოვნით ნარკომანიის ლეგალიზაციისთვის, მამათმავლებისა და ლესბოსელების დასაცავად, ერთნაირქსესიანთა ქორწინების კანონის მისაღებად!

ეს არის განკურნების პროცესის დაწყება?

საქართველო გადაიქცა საროსკიპოების, კაზინოების, ლომბარდების ყველაზე დაცულ არენად, სადაც ყვაჯების ქქქვით სერენადებს მღერიან! ახალი ჯიშის კონჩიტები კი მომხიბვლელად კეკლუცობენ!

მწერალი ზვიად გამსახურდიას ახასიათებს როგორც „ნერვებსუსტსა“ და „დიქტატორს“ (დიქტატორი და ნერვებსუსტი?), მაგრამ ამით არ კმაყოფილდება და აღნიშნავს მის კიდევ ერთ მიუტევებელ ნაკლს: იგი უსაშველოდ „პროვინციალი“ ყოფილა.

ეს ქუთაისური ხუმრობა არ გეგონოთ. სიტყვა-სიტყვით გავიმეორებ მწერლის ნათქვამს: „რაც შეეხება მისი ლექციების წიგნს „საქართველოს სულიერი მისია“ – ურაპატრიოტიზმისა და პროვინციალიზმის ნაზავია“.

სულით „პროვინციალი“ ზვიად გამსახურდია ცდილობდა მწერალთა კავშირის, როგორც ეროვნული ბუდის, მოშლას, გადაგვარებას. – წერს არისტოკრატი მწერალი და ასახელებს დიქტატორ პრეზიდენტის ნების უსიტყვოდ შემსრულებლებს მუხრან მაჭავარიანს, ხუტა ბერულავას, ენვერ ნიჟარაძეს, რომლებმაც თურმე მწერალთა კავშირს ბოქლომი დაადეს.

ეს საზიზღარი ცილისწამება მხოლოდ იმას სჯერა, ვისაც სურს დაიჯეროს!

მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა. ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, ხუტა ბერულავა, ენვერ ნიჟარაძე (სხვა მრავალი მამულიშვილი) ხელს აღარ გიშლიან, ცნობილო მწერალო, მაგრამ ვაგლახ, რომ მწერალთა კავშირი, როგორც ეროვნული ბუდე ეროვნულ ხელისუფლებასთან ერთად დაამხეთ და იგი ბუღაძეთა, ბურჭულაძეთა, შამუგიათა, დეისაძეთა... საპარპაშოდ იქცა!

მწერლის აზრით, ზვიად გამსახურდიას „მედიდური ყოყოჩობა“ ახასიათებს, შევარდნაძეს კი უზარმაზარ ავტორიტეტთან ერთად საოცარი თავმდაბლობა, სიბრძნე და ჰუმანურობა!

ამ ბრძენი პოლიტიკოსის წყალობით დავკარგეთ აფხაზეთი...

ამ თავმდაბალმა კაცმა, როცა ამერიკელმა მეგობრებმა ურჩიეს, ხელისუფლება სააკიანცის ბანდას გადააბარა, რომლებმაც ახალგაზრდული ენერგიით განაგრძეს შევარდნაძის დაწყებული საქმე...

ამ ჰუმანურმა ადამიანმა ორი დასახვრეტად განწირული ძმების მშობელს „დიდსულოვნად“ საშუალება მისცა დასახვრეტად ამოერჩია ერთ-ერთი!

ეს ჰუმანური **დიიიიდი** პოლიტიკოსი სამეგრელოს სისხლიან ეგზეკუციებს ამართლებს. აი, რა განაცხადა ტელევიზიით 1994 წლის 24 ივნისს: „სწორია, რომ შევედით სამეგრელოში. ეს ჩვენ ადრე უნდა გაგვეკეთებინა. ყველამ უნდა მიიღოს საკადრისი პასუხი, ჩვენ უნდა გავანადგუროთ პროვინციალური ფაშიზმი და განვახორციელეთ კიდეც. როდესაც ბოროტ ძალას ებრძვი, ზედმეტია წუწუნი გაუპატიურებაზე და მსხვერპლზე. მე მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ამ ოპერაციაში მონაწილეობა მიიღო“.

ვფიქრობ, ამ სიტყვებს კომენტარი არ ჭირდება!

სირცხვილი ჩვენს ინტელიგენციას, ვინც დღესაც შევარდნაძეს აღმერთებს!

90-იან წლებში საბჭოთა კავშირს მართავდნენ ფარული მასონები გორბაჩოვი-იაკოვლევი-შევარდნაძე, რომლებმაც შეძლეს სოციალისტური ბანაკის მოშლა, ბერლინის კედლის დანგრევა, საბჭოთა კავშირს დაშლა...

მსოფლიო მასონ-გლობალისტებს ეროვნული ხელისუფლება და ეროვნული სახელმწიფოები არც ერთ კონტინენტზე, არც ევროპის შუაგულში და არც აზია-აფრიკის ქვეყნებში არ უნდა.

საბედნიეროდ, რუსმა ხალხმა შესძლო ფაშიზმის დამარცხება და გლობალისტების შეტევას დღესაც წარმატებით იგერიებს. რუსეთი გახდა მსოფლიო მართლმადიდებლობის ბურჯი.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს სულმნათი ზვიადის სიტყვები, რომელიც სანკტ-პეტერბურგის გაზეთმა „ნოვაია პრავდამ“ 1992 წლის მიწურულს გამოაქვეყნა: „ჩემთვის უცხო არ არის პრორუსული განწყობა. მე მუდამ მივისწრაფვოდი მჭიდრო კავშირს რუსეთთან და ვცდილობდი, საქართველოს ჰყოლოდა ბუნებრივი მოკავშირე ამ თავისი დიდი მეზობლის სახით, მაგრამ ეს არ აძლევდა ხელს დასავლურ სამყაროს და მის მორჩილ რუსეთის ხელისუფლებას“.

ჩემი ასაკის ხალხს კარგად ახსოვს ოპოზიციის რუპორის ირაკლი წერეთლის მიტინგზე გახმაურებული მოთხოვნა: შემოვიდეს ნატოს ჯარები საქართველოში!

სამწუხაროდ, ეს მოთხოვნა სამთავრობო დონეზე დღესაც ძალაშია!

ამერიკა-ევროპა საქართველოს ეკონომიკას კლავს! მიმდინარეობს ტვინის გამორეცხვა, ზნეობრივი დეგრადაცია და გენოციდი!

მამული!

ენა!

სარწმუნოება!

მამული წაგვართვეს, ენას ჩვენ თავად ვრყვნით, სარწმუნოებას იეღოველები გვეცილებიან!

საქართველოს გადაარჩენს მხოლოდ მართლმადიდებლობის ბურჯისკენ მომავალი გზა!

**თენგიზ კუბლაშვილი**

## პოეზიის კუთხე

პარალელები თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენსა და დანარჩენზე

### მიზეზ-მიზეზ!

სამართალმა პურის ჭამა ინება  
და „ნაცებმა“ აუტეხეს გინება,  
მოსამართლე შეურაცხყვეს მუქარით,  
მიხოსათვის რომ არ გახსნა „დუქანი“.  
თვალზე ბინდი „ქაბატოსაც“ წაკვრია,  
„ნაცია“ და მათებურად წაკლია.  
სასამართლოს მისთვის დიდი ნაკლი  
აქვს:  
„მიზეზ-მიზეზ, დოშს მარილი აკლია!“  
აქ „ნაცები“, კიევში კი ის ხვნეშის,  
ვინც სამი წლით უნდა ჩაჯდეს ციხეში,  
რადგან აღარ წარმოადგენს დილემას  
„მატროსოვში“ მისი ექსტრადირება!  
...სამართალმა პურის ჭამა ინება  
და „ნაცისგან“ ნუღარ გვიკვირს გინება!

### ტიკინა

ოლიგარქების პატრონსა  
დედით, მამით და ბიძითა,  
პრეზიდენტ-გუბერნატორსა,  
ვისაც ლაყბობა იზიდავს,  
ვირეშმაკობის იმ ცდითა,  
ხელთათმნებად რომ იცვლიდა,  
რისხვა დაატყდა იმ ციდან,  
საიდანაც არ ელოდა...  
ჰო, სწორედ საქართველოდან!  
ვეღარ მოკიბავს, მიკიბავს,  
ქარს მიაქვს რაც იტლიკინა  
და ელის გრძელი ტიკინა  
პაჩანჩურს კრეშჩატიკიდან!

### მსჯავრი ამიერ-იმიერისა

*ღია წერილი ბატონ გიორგი მარგველაშვილს*

მოგმართავ მოქმედ პრეზიდენტს,  
ვინც, როგორც დამწვარ წუმწუმას,  
აბსურდულ „აზრებს“ ზედიზედ  
მოისვრი წამდაუწუმა.  
მარგველ! შეგვასწარ რა დროსა,  
სული ვინ ჩაგაკირვინა,  
რომ უღალატე სანდროსა  
და ენუქიძე ირინას?!  
რადგან გადაჰყევ სკამზე ჯავრს,  
არ გამაკვირვებს სრულებით,  
იმიერიც თუ დაგსდებს მსჯავრს  
შვილმკვდარ დედათა სულებით!

### ღია კართან გულღიად ნათქვამი

როცა ძველ ბატონს ვცვლით სხვა  
ბატონში  
და ის უაფხაზ-უცხინვალოდ გვტოვებს  
მარტოდ შინ,  
რაღა ჯანდაბა გვინდა „ნატოში“?

**ალექსანდრე შენგელია**

****************************

### ტერენტი გრანელს

მას ჰყვარებია თურმე თბილისი,  
პატარა სახლი საბურთალოზე,  
მას ჰყვარებია აქ ხეტიალი,  
დაუცხრომელი ფიქრი მაღლობზე.  
მას უნატრია ბევრჯერ სიკვდილი,  
და ზოგჯერ თითქოს შეუსხამს ფრთები.  
და შავ ღრუბლებშიც ვარსკვლავს  
ხედავდა,  
მე უფსკრულს ვხედავ, უფსკრულში  
ვრჩები.  
მას ჰყვარებია ძლიერ თბილისი,  
ხომ ერთადერთი მისთვის ნუგეში,  
მას ჰყვარებია ია და ვარდი,  
და როიალის ხმა უტურფესი.  
ის სიცოცხლეზე დარდობდა ხშირად,  
და აქ თბილისში ელოდა სიკვდილს.  
მისი ლექსები დღეს უკვდავია,  
მართლაც რომ შვენის ლეგენდა  
თბილისს.  
მე როგორც მკვდარი დავიარები,  
და დიდი კაცის ნაკვალევს ვამჩნევ,  
აქ ვაკე არის, იქ საბურთალო,  
მაგრამ მე არსად, არავინ მამჩნევს.

**მერაბ მიმინოშვილი,**  
აბაშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერაბ კოსტავას პოეზია

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

ადმავალ ერს მართებს საღვთო ცეცხლის, ღმერთების, კეთილი დემონების ხსოვნის ერთგულება, საღვთო ცეცხლის განახლება: „ჰოი ეგვიპტევ, სჯობს განიახლო ცეცხლი საღვთო ძველი დიდების, ხსოვნა ღმერთების, ხსოვნა კეთილ დაიმონისა“ (ბიბლიური რემინისცენციები) (18,101).

დემონ-ლუციფერთა შესახებ საუბარი ბუნებრივად უკავშირდება გალაკტიონ ტაბიძის სახელს, რადგან ამ თემაზე გალაკტიონს ძალიან ვრცელი ციკლი აქვს.

მერაბ კოსტავას მართებული აზრით, გალაკტიონი არის „შემმეცნებელი მეფისტოფელის“ ანუ ბოროტების" (გალაკტიონი) (18,158).

პოეტის განსაკუთრებული ყურადღება დაუმსახურებია გალაკტიონის ლექსს „შეუნდე!“, რომელშიაც ლუციფერის მიმართ წყევლა კი არ აღევლინება, არამედ შენდობა და ბოროტებას „უმანკო ნათელი,“ ანუ ღმერთი უპირისპირდება, ვინაიდან მხოლოდ ყოვლისშემძლე უზენაესის პრეროგატივაა მოსპობა, გარდაქმნა, გარდასახვა.

მერაბ კოსტავა ასე მიმართავს გალაკტიონს: „თუმც არ უმღერდი ლუციფერს ოდას, სიცისფრეს მისას ვარდად ათოვლი, და ვისაც ტატო განვედო! – სთხოვდა, მისთვის შენდობას გულწრფელად გვთხოვდი“ (გალაკტიონი) (12,151).

მერაბ კოსთავასთვის დემონი, გარდა ბოროტებისა, არის „შენდობის ღირსი“, „საანგელოზო“ (მართლაც, დემონი დაცემული ანგელოზია, რომელიც ამპარტავნობის გამო იქნა სამოთხიდან განდევნილი), სწორედ ასეთი დემონია გალაკტიონის სულში, როგორც გენიის სიმბოლო: „...რომელმაც სულში ჩასტირე დემონს, შენდობის ღირსს და საანგელოზოს“( გალაკტიონი).

„ორფიკულ საგალობლებში“ დემონი მოაზრებულია ორგვარი გაგებით, როგორც „უწმინდესი“ და ამასთან „სიავე“, „მოკვდავთა დემონი“, „დემონი ცათა და დედამიწის, ქვესკნელის“.

მერაბ კოსტავას ლექსში „ქვეგამხედვართა და მზაკვართა“ მტრები არიან წმინდა მამები (ღირს მამა-დავითს).

პოეტი გვირჩევს, ხორცს კი არა, სულს ვემსახუროთ: „...შესძელ ალაგმო შენში გურმანი, გაავებული, როგორც სატანა (შიმშილობა).

სოკრატეს, გოეთეს დემონის ბობოქრობას ხედავს მერაბ კოსტავა გალაკტიონის სულში: „ვით სოკრატეში, ვით გოეთეში, შენშიც მძლავრობდა ის დაიმონი“ (გალაკტიონი) (18,154).

ასე ძირისძირობამდე სწვდებოდა მერაბ კოსტავა წინამორბედთა ტრადიციებს, ამასთან, ჰქონდა განუმეორებელი მიგნებები და არასოდეს კარგავდა ორიგინალობას.

ღვთისმეტყველთა კვალობაზე, ქრისტეს უარმყოფელნი სახელდებიან მაცდუნებელ ეშმაკებად: „პოეტს ვერ დაცდის მაცდურის თვალი, თქვა ღვთისმეტყველმან, ნათლით ცხებულმან, ვინც სიქვეთა უწყოდა რიგი, ვინც ქრისტეს არ ცნობს განკაცებულად, ეშმაკისაგან არისო იგი“ (გალაკტიონი) (18,151).

სატანის დამმარცხებელი, პოეტის აზრით, მხოლოდ სიყვარულია: „...რომ თვით სატანას დავცემთ არულით, რადგან ვირწმუნეთ თვით უკვდავება, რომ არ არსებობს უსიყვარულოდ“ (გალაკტიონი) (18,147).

პავლე მოციქული გვაიმედებს:. „მშვიდობის ღმერთი მალე თქვენს ფერხთით შემუსრავს სატანას“ (რომაელთა, 13,33) (2,202).

„შეიმოსეთ ღვთის სრული საჭურველი, რათა შესძლოთ წინა აღუდგეთ ეშმაკის მზაკვრობას (ეფესელთა, 6,11).

„ბილწი მაცდური“, სატანა ყოველთვის „სისხლით ხელმოწერილს ითხოვს“ (როგორც გოეთე ბრძანებდა), მაგრამ თუ მწიგნობარი „ეშმას ნაზირი“ გახდა, ამაოდ დაშვრება, ვერ მიაღწევს „სულისა და სისხლის კავშირს“ (ბიბლიური რემინისცენციები (18,93).

„საჭესთან“ მყოფი „მაცდური“ მუდამ „მავნებლობას“ (ძმას ქრისტესმიერს)(ჟ18,14), მაგრამ პოეტი „მშვიდობის ღმერთის“ თანამგზავრია და, წმინდა წერილის კვალობაზე, „სიტყვის მახვილით“, „ღვთის საჭურველით“ ძლევდა უწმინდურს.

## მრავალთავიან ჰიდრასთან მებრძოლი

მეოცე საუკუნე გამოირჩა ათეიზმით, სიკეთის, სიმართლის იგნორირებით, რეპრესიებით, ლიტერატურის პარტიულობის პრინციპით, სოციალისტური რეალიზმის დოგმებით, რომელიც კრძალავდა სატანური სინამდვილის ობიექტურად ასახვას. რევოლუციამ, ბოლშევიზმმა ისევ დაჰკიდა დამოკლეს მახვილი ჩვენი სამშობლოს თავზე და კიდევ ერთხელ გახდა საჭირო, რომ მწერლობას მოესხა მებრძოლის, მოსამართლის, მოძღვრის მენტია და ეკისრა გადამრჩენის ურთულესი მისია.

ჭეშმარიტების ერთგულნი მაინც ეროვნული ტრიადის მსახურებას მიიჩნევდნენ მხატვრული სიტყვის უმთავრეს დანიშნულებად, ისინი ენიგმებს, სიმბოლო-ალეგორიებს მიმართავდნენ და ქვეტექსტებით ამხელდნენ ეპოქის უკუღმართობებს, რათა ხელიდან დასხლტომოდნენ „ქორმეძებრებიან ცენზურას“.

ამ მხრივ, ბიბლიური, აპოკალიფსური სახეები იძლეოდა დიდ შესაძლებლობას „ჯოჯოხეთური სამოთხის“ არსის გახსნისათვის.

მერაბ კოსტავა მეფისტოფელის საუკუნეს საქმითაც ერკინებოდა და სიტყვითაც, რათა გადაერჩინა უმაღლესი საქვეყნო იდეალები.

პოეტი მოგვევლინა შეურიგებელი მებრძოლის, ობიექტური მოსყიდველი მსაჯულის როლში, რაც მხოლოდ „გამბედაობის დიდი გენიით“ გამორჩეულთ ხელეწიფებათ, მაგრამ ასეთების ხვედრია რეპრესიები, დილეგი, ფიზიკური განადგურება.

მერაბ კოსტავამ ბოლომდე იწვნია აპოკალიფსური მხეცების სისასტიკე, მაგრამ მუხლჩაუხრელად ატარა თავისი ჯვარი და საუკუნის ურჩხულთან შერკინების რაინდული მაგალითები დაუტოვა შთამომავლობას, ბევრჯერ დააფრთხო და დაახევინა ბოროტებას, ამასთან, შეუმცდარად იწინასწარმეტყველა უკუთურთა გარდუვალი განკითხვა.

როგორც ცხოვრებაში, ისე პოეზიაში მერაბ კოსტავა დარჩა, როგორც უშიშარი გოლიათი, ერის უკომპრომისო სინდისი, მისი ნიჭის, სულიერი და ფიზიკური ძალების უდრეკი შემართების უებრო გამოვლინება.

გველის, იქედნეს, ღრიანკალის, ასპიტის, დრაკონის, გველეშაპის სახეთა გამოყენებით ააშკარავებდა პოეტი ეპოქის თავისი თანამედროვე ეპოქის. ჯოჯოხეთურ ხასიათს.

ეს პარადოგმები გასდევს მითოლოგიას, ბიბლიას, საერთოდ, მხატვრულ სიტყვას.

საყოველთაოდ ცნობილია ბიბლიის მაცდუნებელი გველი, რომელმაც უკვდავება დააკარგვინა სამოთხის პირველ ადამიანებს – ევას და ადამს (დაბადება, I,II, III, 7-9)(1,7-9).

კაცობრიობის ისტორიის მარადიული თანამდევია უზენაესისგან დაწყევლილი, ბოროტებად სახელდებული გველი და მისი ვარიაციები.

ესაია წინასწარმეტყველი ჭვრეტდა გველის ფესვიდან გამოსულ საშიშ, მფრინავ გველეშაპს: „გველის ფესვიდან გამოვა უნასი და მისი ნაშიერი მფრინავი გველეშაპი იქნება“ (ესაია წინასწარმეტყველი, 14,29) (2,841).

გველეშაპის კომპლექსებს ხედავდა იერემია წინასწარმეტყველი ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის არსებაში (იერემია, 51,34)(1,177).

ურჩ ებრაელებს გველებს აგესლინებდა უზენაესი (რიცხვთა, 21,6-9)(2,157).

წუთისოფლის მაცდუნებელ დიდ, წითელ გველეშაპს ციდან ჩამოაგდებენ მიქაელი და მისი ანგელოზები (იოანეს გამოცხადება, 12,9)(3,505).

მიწაზე გადმოგდებულ გველეშაპს თაყვანს სცემენ ზღვიდან ამომავალი მხეცი და მიწის მხეცი. გველეშაპი ღვთისმგმობელ ზღვის მხეცს მისცემს თავის ძალას, ტახტს და ხელმწიფებას (იოანეს გამოცხადება, 13,1,2,5,6)(3,506).

მიწიდან ამომავალი მხეცი სასწაულებით აცდუნებდა ხალხს, დედამიწის მკვიდრთ შთააგონებდა, რომ გაეკეთებინათ მხეცის ხატება (იოანეს გამოცხადებ, 14,11-18)(3,507).

თეოლოგები მეორე საუკუნიდან ეძებდნენ ბიბლიური ანტიქრისტეს პროტოტიპს, ასახელებდნენ ნერონს, დიოკლეტანეს, ნაპოლეონს, პატრიარქ ნიკონს და სხვა. (4,249).

ცნობილი მოსაზრებით, ზღვიდან ამომავალ მხეცში იგულისხმება ხალხის მასებიდან მოსული ლენინი, ხოლო მიწის მხეცში – იატაკქვეშელი სტალინი (აპოკალიფსი და დღევანდელობა)(5,441).

ღვთისმეტყველების მიხედვით, გველი, ვეშაპი... მაცდური დემონი და ეშმაკია, როგორც სულის, ისე ხორცის დამღუპველი (ათანასკ დიდი) (6,104).

წმინდა ეფრემ ასური საუბრობს „უსაძაგლეს ვეშაპზე“, გველის სასწაულებზე, ეშმაკთა ამაღლებაზე და სისასტიკე – ბოროტებაზე, ვეშაპის მიწის მეუფედ ქცევაზე, კაცთა დამონებაზე, სიკვდილის აჩრდილებზე (სიტყვა უფლის მოსვლისათვის, აღსასრულისა და ანტიქრისტეს გამოჩინებისათვის) (7,76,78).

წმინდა მამა აფრთხილებს არამტკიცე რწმენის ადამიანებს, რომ ქრისტიანული ჯვარი შეიცვლება მხეცის ბეჭდით და ამ სატანური დაღის მიმღებნი ჯოჯოხეთში მოექცევიან (7,82).

ასევე, „ურწმუნოთა „ბიწიერი სულები“ მორიელების და გველების მომაკვდინებელი შხამით დაიგესლებიან.

წმინდა ეპისკოფოსი ეგნატე გვირჩევს: „...რწმენის მახვილით მოჰკვეთე თავი ამ გვევლებს, როგორც კი თავისი ხვრელიდან გამოსრიალდებიან“ (5,263).

გარეული მხეცები, გველები ნართაულად გამოხატავენ სულიერ მდგომარეობას (ნეტარი ავგუსტინე)(8,294).

ეშმაკის, დემონის სახელია გველი, ვეშაპი (ათანასე დიდი) (6,104).

ოქროს საწმისზე არგონავტების თქმულებაში საწმისს დარაჯობს გველეშაპი. საწმისი სიმბოლოა სულიერი განძისა, ეს კი ნიშნავს, რომ ეს სიბრძნე ქვენა ძალების ხელშია (9,176).

ვეშაპის დამარცხების საშუალებაა უფლის მცნებათა დაცვა, მარხვა, სინანული, ლოცვა, ნათლისღება.

ზემოხსენებული სახეებისადმი დიდია ინტერესი სასულიერო მწერლობაში, მე-9 და მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.

ამ ასპექტით მერაბ კოსტავას წინამორბედები არიან კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, ოთარ ჩხეიძე, გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, პაოლო იაშვილი.

მერაბ კოსტავა ტრადიციებს შემოქმედებითად იყენებს. იგი ფსიქოლოგიურ ჭრილში გაიაზრებს პრობლემას. გველის სახეს პოეტი მკვლელის წაბილწული სულის გასაშიფრად მიმართავს. გისოსებში მოქცეულ ბოროტმოქმედს გველივით გესლავს თავისი კოშმარული ხსოვნა. საიქიოში იგი ვალებით წარდგება, მკვლელი სიკვდილის ცელს ვერ აიცილებს: „...გეკვრიან ლორწოვან გველებად კოშმარულ ხსოვნათა რვალები, ნაბდად აგისხია მკვლელობა, გუდათ – საიქიო ვალები. სახე მიტკლისებრ გაგხდომია, ნაგვემი ლეკვივით ტანჯული, ავი წინათგრძნობა აგხდომია, სიკვდილის ცელს ლესენ მსაჯულნი“ (განაჩენის მოლოდინში) (10,28-31).

შიშისგან დაბერებულ არაკაცს მოკლულთა თალხით შემოსილი დედების ხილვა არ ასვენებს. სიკვდილის აჩრდილთან შეხვედრაზე მძიმეა მოკლულთა სულებთან შეხვედრა, მკვლელის სიკვდილით შეძრწუნებული სული ზეცაში არ დაბინავდება, შეუბრალებლად გადაითიბება. ტანჯვას აძლიერებს უთვისტომობა, მკვლელს არავინ ეკარება შიშით, რადგან მრავალი ჩაუწვენია სამარეში ნაადრევად. ცხადში მედილეგეს ხედავს, ახლობლებს – მხოლოდ ძილში. ჩასაფრებული იქედნეს მოლოდინში გადის უმზეო ცაში გახიზნული „ცოფიანი ვეფხვის“ დრო და მისი ტანჯვის შემყურე პოეტი მზად არის საკუთარ თავზე აიღოს სასჯელი... ლექსში პოეტმა შესძლო გველის საშუალებით ეგრძნობინებინა მკითხველისთვის დანაშაულის ჩამდენი ადამიანის სულიერი ტრაგედია, ამასთან, იქედნე წარმოსახა, როგორც სიკვდილი.

პოეტს არ ასვენებდა ბიბლიურ იდეებში ედემში, ადამიანის სულის წამწყმედი ბოროტი გველი, კაცობრიობის მარადიული თანამდევი სატანა, რომელიც გადაგვარება-გადაშენებით ემუქრებოდა კაცთა მოდგმას და მარიამ ღვთისმშობელს ევედრებოდა ხსნას: „ადამის მოდგმა დაობლდა, თუ გველი გაწვა ცაზე და, ედემში ალვა ჰყვაოდა, აქ ნაცარს ვიყრი თავზედა. სოფლისა წარმავალობამ გამიასკეცა ჭრილობა, თუ მიხსნის, შენი წყალობა და შენი წილხვდომილობა“ (ღვთისმშობლისადმი) (10,34-36).

უსათაურო ლექსში „ქარვა გაუხუნდათ ალვებს“ (10,66-67) უბეში მოკალათებული გველი სასოწარკვეთილებში აგდებს ლირიკულ პერსონაჟს. ყოველივე ნათელს, კეთილს გესლით, ცოფით, სისინით ემუქრება გველი, სურს ზღვის ფსკერში ჩალალოს ადამიანები, მოცელოს ანძები, დაამსხვრიოს გემები, ემუქრება ცას, ღრუბლებს, არ ასვენებს „სიბრძნის უჩინარი ტახტი“.

„ცა“, მარიამ ღვთისმშობლის სახელია (11,90), ასევე ღრუბელი, „სულმცირე ღრუბელი“, ღრუბელი ნათლისა არის ჩვენი ზეციური დედის მეტაფორა(12,200).

უბეში დაბუდებული გველი გესლით, ცოფით იმუქრება, დაუნდობლად თელავს ამაგს, სიკეთეში დაეჭვებას იწვევს: „ფეხით მითელავენ ამაგს, სიკეთეს არვისგან ველი, შვილივით სუყველგან დამყავს, უბეში ჩაკრული ძველი... მაინც ვერ ისვენებს გველი, უბიდან ამოჰყრის კისერს, გესლი აქვს ნემსივით მწველი, ცოფიან სისინით მიმზერს“.

ქრისტეს პერანგით შემოსილ პოეტს არ სჯერა უკეთურის ყოვლისშემძლეობის, მას ეიმედება „სიბრძნის უჩინარი ტახტი (ღმერთი): „ო, ნურც ივაგლახოს გველმა, რომ რამეს დამკლებს ეულს, რა უნდა მოსწიოს კრულმა სამსალით გაჟღენთილ სხეულს“...

მხოლოდ განსაცდელს გადარჩენილი გემები და ანძები იმსახურებს პატივისცემას: „მხოლოდ გადარჩენილ გემებს, მხოლოდ გადაუმსხვრევ ანძებს, თრთოლვით დაუკოცნის ქიმებს, კრძალვით აარიდებს ხანძრებს“.

ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში „ზღვა, მწარეწყლიანი მარილისგან და მშვოთვარე ქარიშხალთაგან, სიმბოლოა ამა სოფლისა“ (13,519).

იოანეს სახარების ნეტარი ავგუსტინესეული განმარტებით, ამ „ზღვაზე გადასასვლელი გემი, ძელი, იგივე ჯვარი, ჯვარცმა“ (13,519).

ანძა, აფრა, იალქანი ძველბერძნული სიმბოლოა სულისა (გრიგოლ ღვთისმეტყველი, „სწავლანი“, ეფრემ მცირის თარგმანი (14,82).

პოეტის მიზანი იყო სულის, რწმენის, ეროვნული ფასეულობების გადარჩენა და მთელი მისი ცხოვრება სწორედ ამ გადარჩენის, მუხლჩაუხრელობას, ამპარტავნების ვეშაპთან, მუცლითმხოხავ იქედნეებთან დაპირისპირების ისტორია და გმირული სულის მატიანეა.

მერაბ კოსტავა ადიდებდა „მინდვრის კანჯარს“, წმინდა გიორგის რაინდს თურმანს, რომელიც გველ-ღრიანკალთა სამსალას, ცხრა დევის მუქარას უშიშრად ებრძოდა და ამარცხებდა: „... ტოლებში გამორჩეულო, რკინით გამკვეთო ძვალისა, ვერაფერს გაკლებს სამსალა გველის და ღრიანკალისა“ (თურმანო, მინდვრის კანჯარო) (10,62).

მორწმუნე პოეტს სწამდა ქრისტეს მსახურთა სასწაულებრივი ძალის, ეთაყვანებოდა ცამეტ ასურელ მამას რომელთაც რწმენით, სიკეთით დაამარცხეს ბილწი დრაკონი, უკვდავება დაიმკიდრეს და ჩვენი ზეციური დედის მადლი დაიმსახურეს: „...საქმეთა თქვენთა ასაპყარეს ბილწი დრაკონი და ბოროტება უმსახურეს სიკეთის წიაღს... უკვდავებასთან დადებული აღთქმა აღსრულდა და თბილისს ცაზე აღებეჭდა ღვთისმშობლის ღიმი“.

**ლუარა სორდია,**
**(გაგრძელება იქნება)**

# რა ძალა აქვს ღვთის სიტყვას და რას მოგვცემს მისი შეცნობა?

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

ის არგუმენტი, რომ მეგრულ ენაზე არ არის წერილობით ძეგლები შემონახული, არაა საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ ე.წ. მეგრული (ადამურ-იაფეტურ-იბერიული) ენა სამწერლო-სალიტერატურო ენა არ ყოფილა. ამის მოსპობა არ გაუჭირდებოდა იბერიული კვალის აღსაგველად მოწოდებულ „მოღვაწეთ“. ფალსიფიცირებული არგუმენტებიც არ არსებობს ქართულ ენაზე V საუკუნის წინარე ხანისა, მაგრამ ბევრი თანამედროვე მეცნიერი ჯიუტად ებღაუჭება ლეონტი მროველის ნახევრადცრუ „ქართლის ცხოვრებას“ და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ფარნავაზის დროიდან აღარ ირაცხებოდა (იბერიაში) „სხვა ენა თვითნიერ ქართულისა“, მაშინ, როცა უსირცხვილოდ უგულებელყოფენ უცხოურ ცნობებს იბერიული დამწერლობის პირველობის შესახებ. „ცნობილი გერმანელი მეცნიერი ს. კრაუსი, ჯერ კიდევ, 1899 წელს წერდა: „დიამერიზმების ანბანურ დამწერლობათა კატალოგებში იბერიული არსად არ აკლია და საყურადღებოა ისიც, რომ ბიბლიურ 70 თუ 72 რესპექტიულ ენათა 15 დამწერლობას შორის იბერიული ყოველთვის პირველ ადგილასაა ნახსენები... ჩვენ მიერ მიმოხილული წყაროები იმდენად სანდოა, რომ გაუმართლებელი ხდება ყოველგვარი ეჭვი იბერიელთა დამწერლობის ირგვლივ“ (მ. ქურდიანი, „ქართული ენა და დამწერლობა“. 2008, გვ. 19). ამასვე ამტკიცებს აკად. შ. ძიძიგური (იხ. შ. ძიძიგური, ბასკები და ქართველები, 1982).

გარდა ამისა, ჩვენი დამწერლობანი (მხედრული და ასომთავრული) თვითონ ამტკიცებდნენ იბერიულ წარმომავლობას და თავის პირველობას მსოფლიოს დამწერლობათა შორის (იხ. ჩვენი, კოჩა კოლხის ფსევდონიმით „ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი“); მეგრული (ადამურ-იაფეტურ-იბერიული) ენა, ჯერჯერობით, ერთადერთი ენაა მსოფლიოში, რომელიც დღემდე ინახავს სამეტყველო ბგერების წარმოშობის მექანიზმებს [იხ. ჩვენი მეგრულ (იბერიული) ენის ბგერათა წარმოშობისა და მნიშვნელობის ზოგიერთი საკითხი და რა ენაზე მეტყველებდნენ იბერები? (ჟ-ი „აია“, 2010, №2(14)], რასაც აკად. გ. ახვლედიანის სიტყვით, „შეუძლია გადამწყვეტი სიტყვა თქვას საერთოდ მეტყველების წარმოშობის საკითხში, რადგანაც არაფერი ენობრივი არაა ისეთი საერთო რამ ყველა ენისათვის, როგორც ფიზიკურ-ბიოლოგიური ბგერის გამოყენება სამეტყველო მასალად“ (გ. ავლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1999, გვ. 390); მეგრული (ადამურ-იაფეტურ-იბერიული) ენით ირკვევა ჩვენი სალიტერატურო ენის ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ძირისეული ფორმების ჩასახვისა და თანამედროვე ფორმებად ჩამოყალიბების ფაქტები [იხ. ჩვენი, რა ენაზე მეტყველებენ იბერები? ჟ-ლი აია, 2010, №2(14)]; ეს კი ნათელს ჰფენს იმ ჭეშმარიტებას, რომ ჩვენი საერთო სალიტერატურო ენა პირდაპირი მემკვიდრეა დასაბამიერი ადამურ-იაფეტურ-იბერიული ენისა.

ამიტომ ერთხელ კიდევ აღვნიშნავ, რომ ჩვენი საერთო სალიტერატურო ენა ქართული არის დასაბამიერი ადამურ-იაფეტურ-იბერიული ენის განშტოებების – სვანურისა და ქართლურის ამ ძირისეულ ენასთან ისევ კონსოლიდაციით მიღებული ენა, ოღონდ დღეისათვის უფრო გამარტივებული და დახვეწილი, სრულად გახმოვანებული და გრამატიზირებული ახალი კლასიკური ადამურ-იაფეტურ-იბერიული ენა, ხოლო ე.წ. მეგრული არის იგივე ადამურ-იაფეტურ-იბერიული, არქაული მონაცემების დღემდე მფლობელი, შეუდარებელი სიმდიდრისა და გამომსახველობითი უნარის მქონე ენა და ეს ორი, თითქოსდა, სხვადასხვა ენა, სხვადასხვა ერის ენა კი არ არის, როგორც მავანთ სურთ იყოს, არამედ ერთიდაიმავე ერის ერთიდაიგივე ენაა, ოღონდ სხვადასხვა ეპოქისა.

რა მიზანი აქვთ ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებას“ და მათ მიმდევარ „ქართველ“ მეცნიერებს?

მიუხედავად იმისა, ბერძნულ-რომაული წყაროები მხოლოდ იბერიას იცნობენ და კარის მეზობელი – არმენებიც ქართველებს ვრაცებს გვიწოდებენ დღემდე (ეთნიკური სახელწოდება ვრაც ქართველიდან კი არა, იბერიელიდან არის ნაწარმოები: იბერაც – ივერაც-ივრაც-ვრაც) და შემდგომ ინგლისელი ისტორიკოსი ჰენრი რაულინსონი და აკად. ექვ. თაყაიშვილი ძვ.წ. აღ-ის VI საუკუნიდან ახ. წ. აღ. VI საუკუნემდე ქართის ტომს განიხილავენ იბერიის შემადგენლობაში, ლეონტი მროველი და მისი მიმდევარნი ამ ისტორიულ ჭეშმარიტებას არაფრად აგდებენ, იბერიის არსებობას იგნორირებას უწევენ (ერთი სიტყვითაც არ მოიხსენიებენ იბერიას და იბერებს). ლეონტი მროველი: „აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხუნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართუელთაცა დაუტევეს ენა სომხური და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული.

და იპყრეს სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთასა. რამეთუ ცოლ-ქმრობისათუს არა უჩნდათ ნათესაობა: და ყოველსა სულიერსა ჭამდეს; საფლავი არ იყო, მკუდარს შესჭამდეს“ („ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I, 1955, გვ. 16). შემდეგ ლეონტი მროველი ანვითარებს აზრს, რომ სომხები და ქართველები ახლოს არიან ერთმანეთთან, ერთად ებრძვიან საერთო მტერს, ხოლო იბერები მისთვის არ არებობს. მივაქციოთ ყურადღება, ლეონტი მროველის ცნობით, ძვ.წ. აღ-ის VI საუკუნემდე ქართული ენა არ არსებობდა, მანამდე მათი ენა სომხური იყო, ხოლო „ამან (ფარნავაზმან, კ.ფ.) განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თუნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ („ქ-ცა“, ტ. I, 1955, გვ. 26). ამ დროისათვის ფარნავაზს, ლეონტი მროველის ცნობით, ეგრისი შემოერთებული აქვს და აღმოსავლეთ-დასავლეთი ქართლია. X საუკუნის სომეხი მკვლევარის უხტანესის მიხედვით ნაბუქოდონოსორმა ძვ.წ. აღ-ის VI ს-ში ვრაცები (იბერები) დაასახლა შავი ზღვის პირას. ე.ი. ქართლი, ანუ აღმოსავლეთ – სამხრეთ საქართველო სომხების კუთვნილება ყოფილა და ამიტომაც იმუქრებიან სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხები, თუ ნებით არ დაგვითმობთ ამ ტერიტორიას ძალით წაგართმევთო [(იხ. „მოგზაურობა ახალქალაქში...“, გ.-თი ასავალ-დასავალი, 2009, 17-23 აგვისტო, №33(778)]. „ქართველი“ მეცნიერებიც ლეონტი მროველის ზემოთ აღნიშნულ ცნობას იშველიებენ და თავიანთი შრომები მასზე დაყრდნობით შექმნეს; ყველა ისინი იმ აზრს ანვითარებენ, რომ ქართული ენა ფარნავაზის დროიდან სამწიგნობრო და სახელმწიფო ენაა, ხოლო იბერია იგივე ქართლია. რამდენად სანდო და სარწმუნოა ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, ეს სხვა საკითხია, მაგრამ როცა მას უტყუარ ისტორიულ წყაროდ ვიღებთ, ისიც ჭეშმარიტებად უნდა მივიღოთ, რომ ძვ.წ. აღ-ის VI საუკუნემდე ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, ხოლო კავკასიის ნახევარი, უმჯობესი მიწები სომეხთა კუთვნილება. აქ უკვე ცხადდება ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს და მის მიმდევარ „ქართველ“ მეცნიერთა მიზანი.

ახლა გავარკვიოთ რამდენად სანდო და სარწმუნოა ლეონტი მროველის ცნობა ფარნავაზის მიერ სახელმწიფო და სამწიგნობრო ენად ქართულის მიღების შესახებ და მათ მიმდევართა მიერ განვითარებული აზრი. ამისათვის შევადაროთ ერთმანეთს ბოლნისის სიონის ტაძრის კედელზე და იერუსალემის ლაზთა მონასტრის იატაკზე დატანებული წარწერები. შემდეგ „შუშანიკის წამების“, „ცხრა ძმა კოლაელთა“ ტექსტისა და XIII-XIV საუკუნის მღვდლის მაკარ მესხის თხრობისა და გაგებინების დონე ერთმანეთს:

1. V საუკუნის ბოლნისის სიონის ტაძრის წარწერა:

„სახელითა ღმრთისაჲთა, მამისა, ძისა და სულისა წმინდისაჲთა, მეოხებითა წმინდისა ღმრთისმშობლისაჲთა, წმიდისა გრიგოლისითა მე, გლახაკმან(!) ელია ბოლნელი მღვდელმოძღვრად ღირს ვიქმენ საყდარსა წმიდისა გრიგოლისსა და ამას საყდარსა ღამისთევაჲ არა დებულიყო კურასძალთა. მე დავდევ და ზედაშე ღამისმთეველთათუს საგალობელად ღმრთისა. ადიდენ ღმერთმან დავით მამფალი და შვილი მათნი და აბულ მამფალი და აწ, ვინ შემდგომად ჩემსა ეს ღამისთევაჲ და ზედაშჱ ამის ეკლესიისაგან ფიჩოსანთა შეუცვალოს შეჩუენებულმცა არს ღმრთისაგან და ამის საყდრისაგან. ვინ ეს აღჭოცოს კანონსა ქუეშემცა არს“.

2. V ს-ის იერუსალემის ლაზთა მონასტრის წარწერა: „შეწევნითა ქრისტესითა და მეოხებითა წმიდისა თეოდორესითა შეიწყალენ ანტონი აბაჲ და იოსია მომსხმელი ამის სეფისაჲ და მამა-დედა იოსიაჲსი ამენ“.

3. XIII-XIV ს-ის მღვდელ მაკარ მესხის თარგმანის ფრაგმენტი V საუკუნეში მოღვაწე ზაქარია ქართველის თხზულებიდან „პეტრე იბერიელის ცხოვრება და მოღვაწეობა“:

„ხოლო აწ უკვე ჯერ არს და სათანადო, რათა პირველად ვაუწყო ღმრთის მოყუარებასა თქვენსა, თუ ვინაჲ აღმოსცენდა ნერგი ესე საღმრთოჲ და ოდეს სადა, და მერმე უწყებად საკურველი იგი მოქალაქეობაჲ მისი და დიდებულებაჲ საკურველებათა და სასწაულთა მისთაჲ. და რამეთუ არა სხუათაგან თხრობელსა, გინა სსუსგან სმენილსა მოქვნე აღწერად, არამედ რომელსა თუთ თუალითა მხელველ ვიქმენ, იგი აღვწერო, რამეთუ სიყრმითგან შეუდეგ მე წმიდასა მას, ვითარცა შვილი ერთგული, სადაცა იგი არნ და სადაც წარვალნ“.

როგორც ვხედავთ, ყველა ამ ტექსტების თხრობისა და გაგებინების დონე ერთნაირია.

ახლა შევადაროთ ამ ტექსტების თხრობისა და გაგებინების დონე იოანე პეტრიწის ნაშრომის ბოლოსიტყვაობიდან ამოღებულ ზემოთ წარმოდგენილ ფრაგმენტებს. დამეთანხმებით, რომ ამ ბოლო სამი სხვადასხვა ტექსტის შინაარსი – ყველაფერი გასაგებია, ხოლო იოანე პეტრიწის თხრობის შინაარსი ნახევარი გაუგებარია, ამიტომ საჭიროებს თარგმნას. იოანე პეტრიწი კი არ არის მხოლოდ რიგითი პატრიოტი, რომელსაც გული სტკივა თვისტომის განვითარების დონეზე, არამედ ისაა უგანათლებულესი პიროვნება, რომელსაც პრეტენზია აქვს მის ეპოქამდე მდაბიოთა ენად დარჩენილი ქართული ენის რეფორმისა.

რა დასკვნა შეიძლება გააკთოს აქედან ობიექტურმა მკითხველმა და მკვლევარმა?

X საუკუნის წინარე ხანისად მიჩნეული წერილობითი წყაროები, შესრულებული ქართულ ენაზე, არცერთი არ არის XII საუკუნეზე ადრინდელი და ფალსიფიცირებულია იმ მღვდელმსახურების მიმდევართა მიერ, რომელთაც ზედმეტად გაუტკბათ ქართლის ჰეგემონობა, ჰედონიზმს მიეცნენ და, შემდგომ, რუის-ურბნისის კრების განაჩენი და გაკრეჭვა დაიმსახურეს.

წმნიდა წერილები იოანე ლაზის უშუალო მონაწილეობითა და მეთაურობით, უეჭველია, ითარგმნა იბერიულ ენაზე, რომელსაც გრამატიკულ საშუალებათა სიმდიდრითა და შეუდარებელი გამომსახველობითი უნარით, თამამად შეიძლება ითქვას, დღესაც მეტოქე არა ჰყავს მსოფლიოში და მას წმინდა წერილების უზადოდ თარგმნა, ნამდვილად, არ გაუჭირდებოდა. აქედან კი, შეიძლება, წმ. წერილები ეთარგმნათ ქართულ ენაზე, მაგრამ არაუადრეს XI საუკუნისა.

გონიერ მკითხველს, უეჭველად, დაებადება კითხვა: როგორ შეიძლებოდა, ფარნავაზის ეპოქიდან, ცამეტსაუკუნოვანი სამწიგნობრო-ლიტერატურული ტრადიციების მქონე ენა იოანე პეტრიწის ეპოქამდე მდაბიოთა ენად დარჩენილიყო, როცა ისეთი პოტენციალის ყოფილა, რომ პეტრიწის ეპოქიდან რუსთაველის ეპოქამდე, ერთ საუკუნეში, შეძლო ერთ-ერთ კლასიკურ ენად ქცეულიყო მსოფლიოში?

ეს კითხვა ადრეც დავსვი, მაგრამ არავინ პასუხობს.

როცა გაეცნობა ამ წერილს, სუსტად მოაზროვნე პატრიოტმა შეიძლება ანტიქართველობა დამაბრალოს, მაგრამ გონიერი ქართველი აუცილებლად მიხვდება, რომ ლეონტი მროველის ნახევრადცრუ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ზე დაყრდნობით იბერიულ მონაპოვართა წაშლის მცდელობა და მტკიცება ფარნავაზის დროიდან ქართული ენის სამწიგნობრო და სახელმწიფო ენად არსებობაზე, ერთი მხრივ, დაუმსახურებელ უპირატესობას აძლევს სომეხ ერს და ქართველების წინაპრად წარმოაჩენს, რაც ტერიტორიული პრეტენზიების საფუძველს აძლევს მათ; მეორეს მხრივ, როცა გარე სამყარო, სახელმწიფოს სახელწოდებით – საქართველო – XIV საუკუნემდე არ იცნობს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2000, აფხაზეთის განმარტება), ამასთან, იბერიული მოდგმის ხალხი, გარდა ქართლელებისა და, შეიძლება, კახელებისა, XIX საუკუნემდე თავს ქართველად არ თვლიდა, რაზეც წუხდა ერის მამა – ილია ჭავჭავაძე (მიზეზი მათი იბერიელობა იყო), მიუხედავად ამისა, შეიძლება ილიას არ ჰქონოდა ინფორმაცია ამის შესახებ, მაგრამ მას შემდეგ რაც ამ მიმართულებით ფართო გზა გაგვიკვალეს ცნობილმა მეცნიერებმა: ივანე ჯავახიშვილმა, ალექსანდრე ცაგარელმა, იოსებ ყიფშიძემ, ექვთიმე თაყაიშვილმა, შოთა ძიძიგურმა და აკაკი შანიძემ, არმენოფილ მროველის დაკრულზე ჯიუტად ცეკვას ქართულისა არაფერი სცხია რა, აშკარად არმენული სუნი უდის.

ისტორიის უმოწყალოდ გაყალბების შედეგია, რომ „ქართველი ერი დღეს დიდი საფრთხის წინაშე დგას! მისი ერთი ნაწილი, საკმაოდ ენერგიული, აქტიური და უნარიანი მილიონნახევარი ქართველი უცხოეთში დამკვიდრდა და როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, მათგან მხოლოდ უმცირესობა აპირებს უკან დაბრუნებას.

მეორე ნაწილი კი შინაემიგრანტის დამცირებულ მდგომარეობაში იმყოფება და სახელმწიფოსგან მინიმალურ მზრუნველობას მოკლებულს თვალი გაქცევაზე უჭირავს.

იმის გაფიქრებაც კი შემაძრწუნებელია, რომ მალე პარლამენტი გვარების შეცვლის კანონს მიიღებს, რაც მექანიკურად ეროვნების შეცვლასაც გამოიწვევს“ (თ. ქორიძე, – ჟ-ლი „ისტორიული მემკვიდრეობის“ რედაქტორი, გ-თი „ილორი“ №104, 2011 წ.).

ეს პროცესი კანონის მიღების გარეშეც ძალზე ეფექტურად და ინტენსიურად მიმდინარეობს. პროფ. იაკობ ახუაშვილის ცნობით, 2008 წელს 1599-მა არაქართველმა გადაიკეთა და ქართული გვარი მიიღო, 2009 წელს – 231-მა, 2010 წელს კი – 2399-მა (იხ. გ-თი „საქართველო და მსოფლიო“, №12 (103), 2011, გვ. 5). ამას აკეთებს ის უცხო ეთნოსი, რომელიც ჭიანჭველასავით მრავლდება და, განსაკუთრებით საქართველოში. შემსწრე ვარ იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ზურაბ ჟვანიასა და მიხეილ სააკაშვილის მოსვლის შემდეგ წყნეთში ერთმა სომეხყოფილმა ალალად განაცხადა: მალე ჩემს ძველ გვარს დავიბრუნებო. მაგრამ ისინი, როგორც ჩანს, უფრო „გონივრული“ სტრატეგიული გეგმით მოქმედებენ.

ყოველივე ეს ჰბადებს ეჭვს: ხომ არ იყო ლეონტი მროველი გვარგადაკეთებული არაქართველი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართველი ერის გადაშენებას და ხომ არ არის ყველა ის მეცნიერი, რომელიც, ფარულად თუ ღიად, გააფთრებული ებრძვის კოლხურ-იბერიულ ფესვებს, გვარგადაკეთებული არაქართველი, რადგან იბერები „ქართველ პატრიოტთა“ მოღვაწეობით ქართულ წყაროებში ისეა წაშლილი, რომ თითქოსდა, არასდროს არსებულა. ასეთ შემთხვევაში გარე სამყაროს და, მით უმეტეს, აგრესიული მეზობლების თვალში, მართლაც ჩანს „ქართველები, – როგორც ევროსასამართლოში გამოაცხადეს, თავისი აგრესიის გასამართლებლად, რუსმა აგრესორებმა 2008 წლის აგვისტოს აგრესიის შემდეგ, – გაურკვეველი წარმომავლობის ერად“ და ის ჩვენი შეცდომების გამოსწორებას კი არ შეუდგება, არამედ ისარგებლებს ჩვენი გონებრივი სისუსტით და ამ სამოთხის სადარ მიწაზე ცხოვრებას არ გვაპატიებს, ამიტომ არც ჭიტლაყის ამორტყმას მოგვერიდებიან და არც სულში ჩაფურთხებას.

**კუკური ფიფია,**
**ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი,**
**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ცეკვის დიდი სიყვარული



ფოლკლორული ხელოვნება, ხალხის წიაღიდან გამოსული უმშვენიერესი ფენომენია. მათ შორის აღსანიშნავია ქართული ცეკვის ცეცხლოვანი ტემპერამენტი, განუმეორებელი დახვეწილი მოძრაობები. რაც ქართული ჯიშის, გენის აპოთეოზი თუ მისი სულიერი ბრწყინვალების სიცხადეა.

გარკვეულწილად დღევანდელობაში მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ძველი სახელმოხვეჭილი მოცეკვავეების კვალდაკვალ მოდის ახალი თაობა, მოზარდების მოსაწონი სიცოცხლით სავსე პლეადა. აბაშის მუნიციპალიტეტში, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ სახელგანთქმულ, ლეგენდად ქცეულ მოცეკვავეთა ანსამბლ **„ჰარირას“** მესვეურებს მრავალი ნიჭიერი თაობა აღუზრდია.

ამ წერილში მინდა გამოვყო ქ. ზუგდიდში ჩატარებულ ქორეოგრაფიულ კონკურსზე სახალხო სანიმუშო ანსამბლად წოდებულ **„ქილორის“** სოლისტი 2002 წლის 24 თებერვალს ქ. აბაშის ერთ-ერთ თვალსაჩინო ოჯახში დაბადებული, პატიოსანი და შრომისმოყვარე მშობლების, ბებიის, ბაბუის და სანათესაოს გარემოცვაში აღზრდილი მოცეკვავე გიორგი ბზიავას წარმატებები. რომლის ქართული სულიერების ჩამოყალიბებაში გარემომ დიდი როლი ითამაშა, განსაკუთრებით დაუვიწყარია მის მიერ მარიამ თოფურიასთან და რატი ბოკუჩავასთან ერთად შესრულებული ცეკვა **„ქართული“**. რაც მათი ხელმძღვანელის, შესანიშნავი მასწავლებლის, საქართველოს ქორეოგრაფთა საუკეთესო ხუთეულში აღიარებული ქორეოგრაფის ანზორ თორდიას უდავოდ დიდი დამსახურებაა, რომლის სახელთანაა აგრეთვე დაკავშირებული, თავისი ძმა ზაურ თორდიასთან ერთად ანსამბლ „ჰარირას“ ხელმძღვანელობა და ანსამბლის სახელოვანი გამოსვლები.

გიორგი ბზიავას ქართული ცეკვის დიდი სიყვარული, თავდაუზოგავი შრომა, დისციპლინირებულობა აღმოჩნდა ის წინაპირობა ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში მიღწეული წარმატებებისა. სხვადასხვა ფესტივალებზე მაყურებელთათვის შთამბეჭდავი, ღირსშესანიშნავი გამოსვლები ანსამბლ **„ქილორის“** შემადგენლობაში. ოვაციები და სიყვარული, ერთხმად აღიარება ყველაზე დიდი ჯილდო იყო იმ მრავალრიცხოვან ჯილდოს შორის, რაც ანსამბლის ბრწყინვალე გამოსვლებმა დაიმსახურა. ის და ანსამბლის წევრები მისაბაძი მაგალითი ხდება თანატოლებისა და უმცროსი თაობისთვის.

საოცარი, მნახველთათვის ფრიად დასამახსოვრებელი იყო მათი გამოსვლა ინტელექტუალურ ტელეგადაცემა **„ეტალონში“**. იმავე გადაცემის პროექტით, თბილისის ფილარმონიის სცენაზე განსაკუთრებულად დამაგვირგვინებლად წარმოჩნდა მარიამ თოფურიას, გიორგი ბზიავასა და რატი ბოკუჩავას მიერ შესრულებული ცეკვა **„ქართული“**.

დაუვიწყარი ოვაციები და ერთი შეხედვით დაუჯერებელი ფაქტი, რომ აბაშას ჰყავს ქართული ცეკვის ასეთი შესანიშნავი შემსრულებელნი. მათ გამოსვლას, საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს, პრესტიჟულ სცენაზე თან სდევდა განცვიფრება და აღფრთოვანება, ცნობილ ხელოვანთა გამოსვლით განებივრებული თბილისელი მაყურებლებისაგან.

გიორგი ბზიავას წარმატებული გამოსვლებისას ანსამბლ **„ქილორის“** შემადგენლობაში, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირისაგან მიღებული აქვს სხვადასხვა ფესტივალებზე მრავალი ჯილდო. ამ კავშირისაგან საერთაშორისო ფესტივალებზე გუნდთან ერთად მიენიჭა ლაურეატის წოდება. ქ. ფოთში გამართულ ფესტივალ „ლაზიკა-2015“-ზე ქართული ცეკვის ლეგენდამ, დიდებულმა მოცეკვავემ ფრიდონ სულაბერიძემ ცეკვა **„ქართულის“** უბადლო შესრულებისთვის გიორგი ბზიავას პირადად გადასცა ლაურეატობის დიპლომი. სიტყვიერად კი წინსვლა და წარმატება უსურვა. მას ასევე, ლაურეატობის წოდება მიენიჭა ანსამბლთან ერთად ქ. ქობულეთში გამართულ ფესტივალ-კონკურსზე **„ზღვის ჰარმონია“**. აღებული აქვს დიპლომები საბავშვო და ახალგაზრდულ ქორეოგრაფიულ ფესტივალზე წარმატებული მონაწილეობისთვის, ფესტივალ **„სამეგრელო ქორეოგრაფიულ ფერხულში“**, საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალ **„ქობულეთი 2016“**-ში მონაწილეობისთვის და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისთვის. და ასევე სხვა ფესტივალებსა თუ კონკურსებზე მიღებული ჰქონდა აღიარება და დიპლომები.

საამაყოა ყველასათვის გიორგი ბზიავას სახელოვანი გამოსვლები, ასევე აღსანიშნავია აბაშაში ჩატარებული ყოველი სადღესასწაულო კონცერტი იქნება თუ სხვა ღონისძიება ფინალურ ეტაპზე ის საქართველოს დროშით ხელში, ვაჟკაცური შემართებით სცენაზე გამოჩნდება და მაყურებელს პატრიოტულ, დაუვიწყარ აღტაცების გრძნობას უღვივებს. გიორგის სახიდან სჩანს საქართველოსა და მისი სულიერი სიცხადის, მისი განუმეორებელი ფოლკლორის დიდი სიყვარული.

მინდა წარმატება, ჯანმრთელობა და სიხარული დაჰბედებოდეს მასთან ერთად მთელ მომავალ თაობას. ყოველივე ეს ყოფილიყოს საქართველოს გადარჩენისა და წინსვლის საწინდარი.

**მალხაზ გრიგოლია**

*თურაშაულის პატრონი, ტყეში ემებდა პანტასა*

# სტალინის პასუხი კოკა-კოლას და მიტროფანე ლაღიძე – ლიმონათების გენიოსი

***რაში გვჭირდება "კოკა-კოლა" და სხვა უცხოური საწამლავები, როცა გვაქვს უებარი სამამულო წარმოების ლაღიძის წყლები?***

ქართულ ორიგინალურ და დიდი ისტორიის მქონე პროდუქტზე საუბრისას, რომელსაც თან ახლავს ბავშვობისა და ძველი თბილისის ნოსტალგია, ალბათ ყველას "ლაღიძის წყლები" გაახსენდება.

"ვისურვებდი, რომ ლაღიძის წყლები და სახაჭაპურე, რომელიც დაკარგა რუსთაველის გამზირმა, მოვახერხოთ და ბიზნესის უფლებების სრული დაცვით, გამოვისყიდოთ და განვაახლოთ. ეს არის ბევრი თბილისელის სურვილი. ეს მნიშვნელოვანი იქნება ტურისტებისა და იმ ადამიანებისთვის, ვისაც ახსოვს და განსაკუთრებული მოგონებები აკავშირებს "ლაღიძის წყლებთან", – განაცხადა რამდენიმე დღის წინ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.

ვინ იყო მიტროფანე ლაღიძე?

პირველი ქართული უალკოჰოლო სასმელის წარმოება მიტროფანე ლაღიძის სახელს უკავშირდება. ის 1869 წელს, ქუთაისის მაზრის სოფელ ჭოლევში, აზნაურის ოჯახში დაიბადა. ჯერ კიდევ 14 წლის იყო, როცა ქუთაისში აფთიაქში დაიწყო მუშაობა, სადაც ნიჭიერი ბიჭი დიდი ყურადღებით სწავლობდა ხილეული წყლების წარმოების მეთოდს.

1900 წელს, ქუთაისის ლიმონათის წარმოების ბაზაზე, მან ხილეულის სასმელების წარმოების ამხანაგობა შექმნა, სადაც ნედლეულის ხარისხს, სასმელების წარმოების ტექნოლოგიების დაცვას და მათ დასამზადებლად ნატურალური წვენების გამოყენებას დიდ ყურადღებას აქცევდა. უალკოჰოლო სასმელების დამზადებაში გარკვევის შემდეგ მიტროფანე ლაღიძემ შეძლო და ამავე წელს ქუთაისში უალკოჰოლო სასმელების მაღაზია გახსნა.

1902 წელს ქუთაისელი ფარმაცევტი გერმანიასა და საფრანგეთს ეწვია, სადაც მან ხილეულის წყლის წარმოების მეთოდი და ტექნოლოგია შეისწავლა, რომელიც შემდეგ თავის წარმოებაში დანერგა.

მიტროფანე ლაღიძის სახელს, "ლაღიძის წყლების" გარდა, სხვა დიდი საქმეებიც უკავშირდება. როგორც ცნობილია, მისი ინიციატივით, ქუთაისში აშენდა ელექტროსადგური, რომელმაც პირველად მისცა ქუთაისს ელექტროგანათება. ამ ისტორიული ფაქტით ქუთაისის საზოგადოება აღფრთოვანებული დარჩა. ამის შესახებ 1904 წელს გაზეთი "ივერია" წერდა:

"ბატონ მიტროფანე ლაღიძის ქარხანამ კარგი საქმე გააკეთა, ჯერ იყო და ქუთაისის თეატრი გაანათა ელექტრონით და ახლა კი ქალაქის ქუჩებსაც ანათებს. ეს აგერ ერთი კვირაა, რაც მთავარი ქუჩა სობორისა და ბულვარის გარშემო ელექტრონის ფარნებითაა განათებული".

ლაღიძემ საფრანგეთიდან მიიღო მაცივარ-დანადგარები ხელოვნური ყინულის მისაღებად, რომელიც დაამონტაჟა ელექტროსადგურის მახლობლად კვების საჭიროებისათვის. ეს იყო დიდი სიმძლავრის ქარხანა, რომლის გამოშვებული პროდუქციით, ქუთაისის გარდა, ამარაგებდა ფოთის ნავსადგურის სამაცივრო მეურნეობასაც.

ლიმონათის ჩამოსასხმელად საქართველოში მან შუშის ბოთლები შემოიტანა და მომავალი ბრენდისთვის ეტიკეტიც შეიქმნა. ეტიკეტზე გამოსახული ჩიხტიკოპიანი ქალი, მიტროფანეს დედა იყო. ეტიკეტზე დართული იყო საინტერესო წარწერაც:

"მოითხოვეთ ყველგან. გემო და სუნი საამური აქვს. გაუფრთხილდით სიყალბეს". "გინდა იყო ლამაზი? დალიე ლაღიძის წყალი!" – ასე იზიდავდნენ გამყიდველები ადგილობრივ თუ უცხოელ ტურისტებს.

მიტროფანე ლაღიძის ეს წამოწყება არ გამოჰპარვია იმ დროინდელ ხელისუფლებასაც. ბრენდი, რომელიც ძალიან მალე თბილისის განუყოფელ ნაწილად იქცა, ძალიან მოსწონდა სტალინს.

"1952 წელს აშშ-ის პრეზიდენტ ჰარი ტრუმენს სტალინისთვის 100 ბოთლი "კოკა-კოლა" გამოუგზავნია. სტალინს პოლიტბიუროს წევრები შეუკრებია და სასმელით გამასპინძლებია. პარტიული ლიდერები აღფრთოვანებული დარჩენილან მისი გემოთი. გადაწყდა, რომ საპასუხო საჩუქრად ამერიკაში "კოკა-კოლაზე" ბევრად გემრიელი გაზირებული სასმელი გაეგზავნათ. ახალი, ყველასგან განსხვავებული სიროფის შესაქმნელად მოსკოვში 83 წლის მიტროფანე ლაღიძე გამოიძახეს. იმ დროისათვის "ლიმონათების გენიოსს" უკვე ასზე მეტი რეცეპტი ჰქონდა შექმნილი. მიტროფანეს ლიმონათს ამერიკაში ისეთი ფუროორი მოუხდენია, რომ ტრუმენი ამერიკაში მისი შეტანით დაინტერესებულა. საბჭოთა კავშირში ამ გაცვლას "ჩვენი პასუხი "კოკა-კოლას" უწოდეს.

ცნობილი ფაქტია ისიც, რომ "ლაღიძის წყლებით" მოხიბლულმა ფრანკლინ რუზველტმა იალტის კონფერენციის შემდეგ 2 ათასი ბოთლი ქართული უალკოჰოლო სასმელი გაიყოლა სამშობლოში.

"1900 წლიდან საქართველოში მე შემოვიღე საუკეთესო ნატურალური წყლების, წვენებისა და სიროფების დამზადების ახალი მეთოდები, წესები და რეცეპტურები, რომლის წესით დამზადებული წყლები, ხარისხის მხრივ, მოწონებულ და ღირსეულად შეფასებულ იქნა ფართო საზოგადოების მიერ. ამ რეცეპტურით დამზადებული წყლები, როგორც გემოთი, ისე სურნელოვნებით საამურია და ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა იმიტომ, რომ ჩემი მეთოდით დამზადებულ სასმელებში არ იხმარება არავითარი სინტეტიური ესენციები და ქიმიკატები. აღნიშნული სასმელები არაერთხელ გავგზავნე სხვადასხვა გამოფენაზე, როგორც რუსეთში, აგრეთვე საზღვარგარეთაც და ყველგან ჩემი რეცეპტით დამზადებული სასმელები მოწონებული იქნა. მაგალითად, 1913 წელს, პეტერბურგის ჰიგიენურ გამოფენაზე მაღალი და განსხვავებული ხარისხის ხილეული სასმელების დამზადებისთვის დიდი ოქროს მედალი მივიღე. აგრეთვე, სხვადასხვა გამოფენაზე მივიღე პატარა ოქროსა და ვერცხლის მედლები ხილეულის წყლების საუკეთესო ღირსებისა და ხარისხისთვის. – წერს ლაღიძე ერთ-ერთ წერილში.

იუმორისტული ჟურნალი "ტარტაროზი" წერდა:

***"უკვე დაიწყო სიცხე, დგება ბუღი და ალი,***
***რა გვეშველება, თუ კი არ ვსვით ლაღიძის წყალი".***

ლაღიძის ლიმონათით არა მხოლოდ ქართველი პოეტები, უცხოელებიც იხიბლებოდნენ. ლაღიძის წყალს ლექსები მიუძღვნეს აკაკი წერეთელმა, სერგეი ესენინმა, ევგენი ევტუშენკომ და სხვებმა. ვენასა და პეტერბურგში ლაღიძის წყლები ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

მიტროფანე ლაღიძის ყოველ ახალ წამოწყებას მხარს უჭერდა მისი მეუღლე ოლიმპიადა ვახანია. წყვილს 5 შვილი ჰყავდა.

მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე მიტროფანე ლაღიძე 1960 წლის 2 იანვარს გარდაიცვალა, დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს პანთეონში. დიდი ქველმოქმედის გარდაცვალებასთან ერთად, შეიცვალა კომპანიის მდგომარეობაც.

**ეკა გაბახაბაძე**



# კოლხეთი

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

პლინიუს უფროსის მიერ განმეორებული „მოაზროვნეთა'' მიერ შეთხზული მარშრუტი იმდენად ზღაპრულია, რომ ლეგენდის რეალობას სერიოზული ეჭვის ქვეშ აყენებს, თუმცა არგონავტების ისტორია აშკარად რეალური ჩანს, რამეთუ ეს მათი შვილების თაობა იბრძვის ტროადაში ბერძენთა მხარეზე, იგივე აქილევსის სახით.

„გისტრიის ქალაქები რომაული მოქალაქეობით (შემდეგია): ეგიდა, პარანტიი, როდესღაც დაარსებული კოლხების მიერ კოლონია პოლა. ახლანდელი პიატას-იულია, ტერგესტიდან 105 მილი. მასზე შემდეგ უცებვე ქალაქი ნესაკტიი და მდინარე არსია, ახლანდელი საზღვარი იტალიისა. პირდაპირი მანძილი ანკონიდან პოლამდე 120 მილი“ (იქვე-129)

„მათი მიწაწყალი გადაჭიმული არის სიგრძეზე მიდიიდან ვიდრე ღადირთამდე ჩრდილოეთისაკენ, ხოლო სიგანეზე მდინარე პოტამატიდან ვიდრე მასტუსიამდე, აღმოსავლეთისაკენ. მათი ქვეყნები ტომების მიხედვით ასეთია: ლიხნიტისი, მიდია, ადრიაკე, საიდანაც მოდის სახელწოდება ადრიატიკის ზღვა, ალბანია, გალლია, ამაზონისი, იტალია, არმენია დიდი და მცირე, თუსკენე, კაპპადოკია, ლისიტანია, პაფლაგონია, მესსალია, გალლატია, კელტისი, კოლხიდა, სპანგოლია, ინდოეთი, იბერია, აქაია, დიდი ესპანეთი, ბოსპორენე, მეოტისი, დერრისი, სარმატია, ტავრიანისი, ბასტარნისი, სკვითია, თრაკია, მაკედონია, დალმატია, კოლხისი, თეტტალისი, ლოკრისი, ბეოტია, ეტოლია, ატიკა, აქაია, პელოპონესი, აკარნანია, ეპირიტოსი, ილლირისი“

(გეორგიკა; ტომი IV, I ნაწილი. პასქალური ქრონიკები გვ 8-9. თბილისი-1941წ)

რასაკვირველია „პასქალური ქრონიკები“ კრებსითი ხასიათის ცნობაა, შედგენილი ასეთივე სახის ძველი ცნობებისაგან. შეუძლებელია კომპილაციის ავტორს მოსთხოვო შეუმცდარობის გარანტია, რამეთუ ვერც მისი ცოდნა იქნება მსოფლიო გეოგრაფიისა უზადო, რომ პოლიტიკური წარმონაქმნები მკაცრად გვერდიგვერდ და ზუსტად იქნეს დაფიქსირებული. ასევე არ და ვერ გამოირიცხება ერთი და იმავე სუბიექტის განმეორების შემთხვევაც, რომლის მიზეზი ასევე ცნობების მრავალრიცხოვნობა, ქრონოლოგიური დიდი სხვაობა და შეკრებითობა ჩანს.

1) ამაზონისი – აშკარად ჩანს ამ წარმონაქმნის განთავსება არა სწორ ადგილას – ის კაბბადოკიასა და პაფლაგონიას შორის უნდა იყოს დასახელებული.(თუმცა ამ ტომის ადრიატიკაში მითითებას გარკვეული საფუძველი უნდა გააჩნდეს)

2) თუსკენე – ეს ანტიკურ მწერლების მიერ ხშირად ნახსენები თემისკირა უნდა იყოს, თუმცა ეს აშკარა დუბლირებაა, თემისკირა და ამაზონისი – ეს ერთი და იგივეა.

3)ლისიტანია – ეს აშკარად ლუზიტანია უნდა იყოს, დღევანდელი პორტუგალია.

4) მესსალია – მოსინეკთა გაერთიანება, ქართველური ტომისა.

5) კელტისი – სავარაუდოა, რომ ავტორი აქ კენების ტომს გულისხმობს სინოპასთან, თუმცა უკვე დიდი ხნის უკან მიგრირებულს.

6)სპანგოლია – სავარაუდოდ, მცირე ესპანეთი, იგივე პორტუგალია (რადგან მოხსენიებულია დიდი ესპანეთი, აქვე უნდა იყოს მცირე ესპანეთიც, პორტუგალია. აშკარა დუბლირებას აქვს ადგილი, ეტყობა სხვადასხვა ცნობებში ერთი დაიმავე პოლიტიკური წარმონაქმნის სხვადასხვა დასახელების გამო.

7) აქაია – შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე არსებული დასახლება.

8) კოლხიდა – კენების, იბერების, აქაიელების და ინდების გვერდით აბსოლუტურად სწორად მოხსენიებული კოლხეთი

9) თეტტალისი – აქ აშკარად თესალია უნდა იგულისხმებოდეს.

10) ...და კოლხისი ვინ უნდა იყოს, თრაკია, მაკედონია, თესალია, დალმატიას შორის მოხსენიებული? რასაკვირველია პასქალური ქრონიკების ავტორის მიერ ნასარგებლები ცნობებიდან ერთ-ერთი ამ სახელით აღნიშნავს იმ რეგიონს, რომელიც ზემოთ ნახსენებ ადგილას მდებარეობს.

11) ...და ავტორი აქვე აღნიშნავს ეპირს, რომელიც მას სხვა, კოლხისის სახელით უკვე მოხსენიებული უჩანს....(ავტორის ცნობები დამატებითი შესწავლის საჭიროებას მოითხოვს უცილობლად)

12) ინდოეთი – ეს სხვადასხვა ანტიკური წყაროების მიერ მოხსენებული თეთრი ინდები უნდა იყვნენ, მთის ინდები, ფხოვი და რომელთა შესახებ ასეთი ცნობებიც არსებობს:

„იბერები – ტომის სახელია და იბერია-ქვეყნისა. არის აგეწთვე სხვა იბერიაც, დასავლეთისა, და რომელსაც ისპანიაც ეწოდება. კონსტანტინე დიდის დროს მოინათლნენ შინაგანი ინდები, იბერები დ არმენიელები“

(გეორგიკა, ტომი IV, ნაწილი II; სვიდას ლექსიკონი, გვ-318. თბილისი 1952 წ)

ფაქტიურად, შესაძლებელია კოლხეთის თემა ამოწურულად ჩავთვალოთ კიდეც, თუმცა მოძიებული მონაცემები არ იქნება ზედმეტი მკითხველთათვის;

„მებრძოლი სულისკვეთების ყმაწვილმა თესალმა, ტომით თესპროტმა თანამემამულეების დიდი მასით და იარაღის ძალით დაიპყრო ის რეგიონი, რომელიც ახლაც იწოდება მისი სახელის მიხედვით თესალიად, ხოლო ადრე ერქვა მირმიდონთა ქვეყანა“ (ვალლეი პეტერკული: რომის ისტორია, წიგნი I-III)

თუ ზემოთ მოყვანილ მტკიცებულებას გავიხსენებთ (იხ პელაზგები), რომელიც უარყოფს მედეას და ათენის მეფის ცოლქმრობის უსაფუძვლო მითს, ამტკიცებს, რომ მედეა ბრუნდება კოლხეთში, და თან მიყავს აღსაზრდელად შვილი თესალი, იბადება კითხვა: საიდან აღმოჩნდა თესალი თესალიაში? (დღევანდელი თესალონიკის რეგიონი).

პასუხიც საკმაოდ მარტივი და გამოკვეთილი ჩანს: თესპროტია-მოლოსია-ეს ეპირია, ხოლო ეპირი-კოლხეთყოფილი...

იოანე ცეცესათვის, მე-12-ე საუკუნის ისტორიკოსისათვის, აიეტისგან დამალული კოლხების მიერ დაარსებული ქალაქი პოლა უკვე ეპირში მდებარეობს.

„პოლები ქალაქია ეპირში, დაარსებული იმ კოლხების მიერ, რომლებიც მედეას დაედევნენ და ვერ შეიპყრეს. ხოლო აიეტის შიშით იქვე დასახლდნენ და ქალაქი დაარსეს, რომელსაც კოლხური ენით პოლები ეწოდება, ხოლო „პოლა“ კოლხურად ლტოლვას ნიშნავს, როგორც ამბობს კალიმაქე.“

(გეორგიკა, ტომი VII, იოანე ცეცე, გვ.37, თბილისი).

პოლა კოლხურად გაქცევას ნამდვილად არ ნიშნავს. სიტყვა დამალვასთან-ფოლა-სთან ძალზე ახლოს დგას (ფაქტიურად იდენტური სიტყვებია, ქართველური ფოლა ლათინური ალფაბეტის პოლაა) სავარაუდოა, რომ ისინი აიეტის რისხვას აქ, (ტრიესტას ყურეში, დღევანდელი ქალქი პელა) დაემალნენ და ამისთვის დიდი მოხერხების გამოჩენა არც დასჭირვებიათ, მათ მხოლოდ მეგრულის კოლხური კილო-კავი ლაზურზე გაცვალეს!

კოლხებს ლაზურ ტომად თვითონ იოანე ცეცე აცხადებს. (იქვე).

ცხადია, ეპირში კოლხები, განსაკუთრებით აიეტისგან გამოქცეულები, არ დასახლებულან და იოანე ცეცეს სიტყვები კოლხების აქ ჯერ კიდევ დასწრებულობის აშკარა ნიშანია.! უფრო მეტიც, იმავე იოანე ცეცეს განცხადებით:

„იმ კოლხთაგან, რომლებიც მათ (არგოს) დაედევნენ, ერთნი კერევნეს მთებში დასახლდნენ, სხვები კიდევ ილირიადასა და აფსირტეს კუნძულებზე, ზოგიერთები კიდევ ფეაკიაში“. (იქვე).

მკითხველს შევახსენებთ, რომ კერევნის მთები – ტრაპეზუნდის ზემოთ აღმართული მთიანი სისტემებია, ილირიადა და აფსირტეს კუნძულები ადრიატიკის ზღვაში, ხოლო ფეაკები, ისევ იოანე ცეცეს სიტყვებით, იონიის კუნძულებზე მცხოვრებნი არიან (ეპირთან უშუალო სიახლოვეს). რატომღაც იოანე ცეცეს ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობა ქართველი მეცნიერების ყურადღების გარეშე რჩება. არადა ეს ციტატა იოანე ცეცესი აშკარად მიგვანიშნებს, რომ ჯერ კიდევ მის თანამედროვე (მე-12-ე საუკუნე) ილირიკასა და აფსირტიდებზე კოლხური და ლაზური ელემენტი (მათ შორის სალაპარაკო ენაც) დომინანტურია!

საინტერესოა, რომ ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი პახიმერე, ტრაპიზონის იმპერატორს კომნენოსს ლაზს ეძახის,შესაბამისად, მთელ მის საგვარეულოს, ფაქტიურად, ლაზად თვლის (იქვე, გვ.74).

საინტერესოა ამავე პერიოდის ბიზანტიელი მოღვაწის ნიკიფორე გრიგორასის განცხადება, რომ:

„მაშინ ზოგიერთები დამარცხებული იყვნენ, სხვები კიდევ თავისი ნებით დაემორჩინენ და ამგვარად მიემხრნენ მას, გარდა ალექსი კომნენოსისა, რომელიც კოლხიდის ქვეყანას (ტრაპეზუნტს, ლაზისტანს, ავტორი) ფლობდა და იმის გარდა, რომელიც ევროპაში განაგებდა თესალიასაც და იმასაც, რასაც ძველად ეპირს ეძახდნენ, – ეს იყო ანგელთა გვარიდან მიხეილ კომნენი... მიითვისეს ძალაუფლება და დღემდე ფლობენ მას და თავიანთ შვილებს და შვილთაშვილებს გადასცეს იგი, ვითარცა რაღაცა მამისეული მემკვიდრეობა (იქვე, გვ.174).

ის, რომ ბერძენთა მიერ ლაზებად შერაცხული საგვარეულოს ერთი წარმომადგენელი მართავს ტრაპზონის იმპერიას (ბიზანტიელთა თქმით, ლაზისტანს, კოლხეთს), ხოლო მეორე ძმა ეპირს და თესალიას, დაშორებულს პირველიდან თითქმის ორი ათასი კილომეტრით და არამცთუ მართავს, არამედ სამემკვიდრეოდ გადასცემს შვილთა შვილებს, როგორც წინაპრისეულ მემკვიდრეობას, აშკარად მიანიშნებს კოლხური წარმოშობის კომნენთა გვარის მემკვიდრეობით უფლებებზე როგორც ერთ, ისე მეორე პოლიტიკურ წარმონაქმნზე.

ის, რაც ჩვენთვის დღეს კვლევის საგანს წარმოადგენს, კომნენთათვის და მისი თანამედროვე ქართველთათვის იმთავითვე ცნობილი ისტორია ჩანს. ეპირი-ეს ყოფილი კოლხეთია, თესალია-აღმოსავლეთის და დასავლეთის პელაზგყოფილებით დასახლებული ტერიტორია (იხ, პელაზგები)

ეს უკანასკნელი მიგნება აშკარად სპობს იმ შეთავსებლობას აპოლონ როდოსელის პოემაში, რომელსაც ვერც მისმა წინამორბედებმა და ვერც მისმა მიმდევრებმა შესაბამისი ახსნა ვერ მოუძებნეს: ესაა არგონავტებისა და კოლხების გამოჩენა ადრიატიკის ზღვაში. ახსნა საკმაოდ მარტივია და ზედაპირზევე დევს: ცბიერმა ბერძნებმა სწორად განსაზღვრეს, რომ მედეას მოტაცებას აუცილებლად მოჰყვებოდა მდევრის დადევნება. ღია ზღვაში ბერძნების სწრაფმავალი „არგო“ აშკარად ნელმავალი გამოჩნდებოდა კოლხების მსუბუქ ნავებზე-რომაელთა და ლიბურნთა ნავების პროტოტიპეპზე. ღამის სიბნელეში ბერძნებმა გეზი ადრიატიკის ზღვის სიღრმეებისაკენ, დასავლეთისაკენ აიღეს, საბერძნეთის მიმართულების საწინააღმდეგოდ. მადევარმა კოლხებმა იონიის ზღვისკენ გაცურეს, კონტინენტალური საბერძნეთის მიმართულებით. დიდი მანძილის გაცურვის შემდეგ მიხვდნენ ელინთა მიერ გამოყენებულ ცბიერებას, რომ ისინი ასე შორს ვერ მოასწრებდნენ გაცურვას. კოლხური არმადა შემობრუნდა და საპირისპირო მიმართულებით, ადრიატიკის ზღვის სიღრმისაკენ გააგრძელეს დევნა. დევნა ორივე შემთხვევაში ნაპირის თვალსაწიერის გაყოლებით ხდებოდა (იმ დროისთვის და გაცილებით გვიანაც ცურვა კაბოტაჟური იყო და მხოლოდ ნაპირის გაყოლებით ხორციელდებოდა). შესაძლებელია, სწორი კვალი ილირიის სანაპიროზე მცხოვრებმა თანამოძმეებმა ზანებმა ან ზიხებმაც მიანიშნეს, რომელთაც არ გამოეპარებოდათ უცხო კონფიგურაციის ხომალდის ილირიის სანაპიროსთან ცურვა..

როგორც ზემოთ ვთქვით, ელინ-კოლხთა შეხვედრა ტრიესტის ყურეში მოხდა, სადაც მედეას ძმა აფსირტე ღალატით იქნა მოკლული.

მისია შეუსრულებელმა კოლხებმა აიეტის შიშით უკან დაბრუნება გადაიფიქრეს. ქალაქი პოლა დაარსეს, ხოლო ელინები იონიის ზღვაში და სამშობლოში, სავარაუდოდ, ადრიატიკის ზღვის დასავლეთის სანაპიროს გაყოლებით ჩავიდნენ. გარდა იმისა, რომ ადრიატიკის ზღვის სამხრეთი სანაპიროთი დაბრუნება ელადაში გამართლებულია კოლხთაგან უსაფრთხოების თვალსაზრისით, არსებობს სხვა მოტივიც: მედეას სურს განწმენდა მიიღოს მამიდამისის, კირკესაგან, რომელის ადგილსამყოფელი მას ეცოდინებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მისგან მიუწვდომლად შორს არ ცხოვრობდა:

„გაცილებით უკეთესად კირნზე (კორსიკაზე) იხედება კუნძული ეფალია (ელბა) რომელიც უფრო ახლოსაა მატერიკთან, ისე რამდენადაც განლაგებულია მისგან თითქმის 300 სტადიონზე და ასეთსავე მანძილიდან კირნიდან... ეფალიაზე არის ნავმისადგომი არგოსი, როგორც ამბობენ, ხომალდ არგოს სახელის მიხედვით. ეს ამ უბეს მოადგა იაზონი, კირკეს ადგილმდებარეობის მაძიებელი, იმიტომ რომ მედეამ მოინდომა ქალღმერთის ნახვა... ასეთი მითიური ისტორიები ამყარებს ჩემს მტკიცებულებას, რომ ჰომეროსს ყველაფერი არ გამოუგონია“ (სტრაბონი, წიგნი V; II-6)

მედეა, რომელიც განწმენდას საკუთარი მამიდისაგან, კირკესაგან ელის, ეძებს მას ადრიატიკიდან არც ისე შორს, ტირენეის ზღვაში! აბსოლუტურად რეალისტური ჩანს ჰომეროსისეული ვერსია კირკე-მედეას ნათესაობის შესახებ, რომელიც სტრაბონს ზღაპარი ჰგონია!

ვერც ერთ შემთხვევაში მედეას არ ეცოდინებოდა და ვერ მიაგნებდა კირკეს ადგილსამყოფელს ტირენეის ზღვის კუნძულზე, თუ თავად მედეას საცხოვრისი პონტოს (შავი) ზღვა იქნებოდა! იმ დროისათვის, ნავიგაციის გარიჟრაჟისათვის, შესაბამისი რუქების უბრალოდ არ არსებობის გამო ეს წარმოუდგენელი იყო!

....და კიდევ, ელადიდან ლტოლვილი მედეა კოლხეთში დაბრუნდა(2) მედეას მეორე ქორწინებიდან შეეძინება შვილი, მედოსი(სავარაუდოდ არასწორი ცნობით ათენის მეფისაგან) რომელიც თავისი სახელობის სახელმწიფოს აარსებს. რატომღაც მედოსის სახელთან მიდიის სახელმწიფოს აკავშირებენ, რომელსაც კოლხეთიდან ათასეული კილომეტრი აშორებს, თანაც მედეას შვილს მედოსი ჰქვია და არა მიდოსი. არა ერთხელ არის აღნიშნული მედების ტომი მაკედონიისა და ეპირის სიახლოვეს სხვადასხვა ისტორიკოსების მიერ, რაც, სავარაუდოდ, მედეას ვაჟთან, მედოსთან არის დაკავშირებული. (სხვა თემაა,და სავარაუდოც კი, რომ მიდიის სამეფო დააფუძნეს ევროპიდან აზიაში მიგრირებულმა მედებმა, მედეას შთამომავალმა) ეპრთან და უკვე აქ მცხოვრებ თესპროტებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მათივე მეზობელი ამპრაკიოტები, რომელთაც მდინარე აქერონტი ჰყოფთ. მდინარე ტალღებს იონიის ზღვისკენ მიაქანებს.

სავარაუდოა, რომ ამავე მდინარე აქერონტის სანაპიროზეა საძებარი კოლხთა უპირველესი დედაქალაქი კუტაიაც!

... და ცხადი ხდება, თუ რატომაა ეგზომ სახიფათო ელინთათვის კოლხეთის სამეფოში მგზავრობა! აქ მთავარი მანძილი კი არა ჩანს, არამედ ის ურთიერთობა, რომელიც ჩამოყალიბებული ჩანს ელინთა და კოლხთა შორის: გულუბრყვილობაა ვიფიქროთ. რომ ამ უკანასკნელთა გამყოფ მდინარეს შემთხვევით ჰქვია სახელად აქერონტი, რაც მკვდრების მდინარეს ნიშნავს! ამ მდინარის მეორე ნაპირზე მოხვედრა ელინურ ეპოსში, გარდაცვალებას ნიშნავს! სავარაუდოდ ამ მეთოდით იცავს თავს კოლხეთი ელინთა ექსპანსიისაგან, რომლებმაც კოლხების თვალწინ შესძლეს აღმოსავლეთის პელაზგიის გაელინება! გაელინებული პელაზგებისა და ელინთა პირველი შეღწევა დასავლეთის პელაზგების სამკვიდროში ის პრეცედენტი გახდა, რომელსაც მოკლე დროში ამ უკანასკნელთა ელინიზაციაც მოყვა (გარდა იმათი, ვინც გაერიდა ელინიზაციის პროცესს და ახალი სამშობლო მოძებნა, უკვე შავ ზღვაზე. ამ უკანასკნელთა მიერ ახალი სივრცეების ათვისების პერიოდი ჩანს ჰეროდოტეს ისტორიაში ასახული)

**ზურაბ ჭკადუა,**

***(გაგრძელება შემდეგ ნომერში)***

# ქართველების კიდევ ერთი ეტაპი მეორე მსოფლიო ომიდან



უკვე წელიწადზე მეტია, AMBEBI.GE-ს მკითხველს მეორე მსოფლიო ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული ოჯახის წევრების შესახებ ვაწვდით ცნობებს... არაერთმა მათგანმა იპოვა წინაპრის საფლავი ან უბრალოდ მიაგნო მასზე ცნობებს... ამჯერად, მეორე მსოფლიო ომში დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების სამძებრო კომისია 2016 წლის მუშაობის შემაჯამებელ შედეგებს აქვეყნებს, რომლის გარკვეულ ნაწილსაც ჩვენს მკითხველს გავაცნობთ...

*დოჩვირი ლიკანდრო (ან ნიკა) დაბადებული 1902 წელს, ომში გაიწვიეს 1942 წლის 11 ნოემბერს. მეუღლე ლუდმილა კონსტანტინეს ასული. უგზო-უკვლოდ დაიკარგა 1944 წლის იანვარს. ტყვე ჩავარდნის შემდეგ, გადაყვანილი იყო სამხედრო ჰოსპიტალში (რომლის მისამართი მითითებული არ არის) ოფიციალურად მისი დაკარგვა დასტურდება 1947 წლის 22 აპრილს...*

*აბსავა მიხეილი კელამატის (ან კლიმენტის) ძე. დაბადებული 1907 წელს, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბედიაში. დედა, — ევდოკია აბსავა... დაიკარგა ტყვეობაში 1942 წელს, ხარკოვში. შემდეგი მონაცემებით, სამხედრო ბარათზე ეწერა "ლეგიონერი", მსახურობდა გერმანულ არმიაში. შემდეგ მისი შესახებ მონაცემები არ მოიძებნა...*

*აბშილავა იულანი ანდრეის ძე. დაბადებული 1919 წლის 10 მარტს. დაიღუპა 1941 წლის 7 ნოემბერს, ვიტცენდორფში. დასაფლავებულია ძმათა სასაფლაოზე...*

*ახალაია როდიონი ევგენის ძე, დაბადებული სოხუმში 1906 წელს. ტყვედ ჩავარდა 1941 წლის 10 იანვარს, ბელოზერკის ტყვეთა ბანაკში...*

*ადამია ავქსენტი, დაბადებული 1916 წელს (დაბადების მისამართი მითითებული არ არის) დაიღუპა ტყვეობაში 1942 ლუკენვალდში.*

*ალახანოვი მუჰამედი, ქვეითი, დაბადებული 1898 წელს გაგრაში, ჰყავდა 5 შვილი... დაიღუპა 1943 წლის 17 მარტს, როსტოვში.*

*ბონდარენკო ბორის ფომას ძე, დაბადებული 1897 წლის 18 აგვისტოს, მეუღლე თამარა ბონდარენკო, დაიკარგა ტყვეობაში. ბორის ბონდარენკო დაიღუპა ტყვეობაში 1943 წლის 28 ივნისს, ჰამერტშეინში, დასაფლავებულია საერთო სასაფლაზე...*

*გაბუნია ერმოლაი (ან ერმილე), დაბადებული 1921 წლის 25 სექტემბერს, ოჩამჩირის რაიონში. თან ჰქონდა, გერმანული არმიის ბარათი (ჩრდილოკავკასიის ლეგიონი), დაიღუპა 1944 წლის 21 მაისს საფრანგეთში.*

ასევე, მათთვის ვინც დღემდე ეძებს მეორე მსოფლიო ომის დროს ოჯახის უგზო-უკვლოდ დაკარგულ წევრებს, ვაქვეყნებთ ნომერს, **+7 940 990 28 44** რომელზეც შეგიძლიათ მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით გაგზავნოთ, თქვენი წინაპრის მონაცემები – სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების წელი თვე და რიცხვი, გაწვევის თარიღი, სამხედრო ნაწილის ნომერი; ბოლო წერილის თარიღი.

**ლალი პაპასქირი**
**AMBEBI.GE**

# მცირე, მაგრამ აუცილებელი განცხადება

ზოგიერთს აინტერესებს თუ რას ვფიქრობ მე იურა ღვინჯილიაზე...

საჯაროდ ვპასუხობ: პროვოკატორია! დამატებით იმასაც ვიტყვი, რომ მარგალოფობი ტარიელ ფუტკარაძეც პროვოკატორია! ღვინჯილია და ფუტკარაძე არის ორი უკიდურესობა! ადრეც ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ვიტყვი: ქართული საზოგადოებრიობის „ტარიელ-ფუტკარაძიზაცია" და „იურაღვინჯილიაზაცია" ერთნაირად საშიშია ერთიანიეროვნული ორგანიზმისათვის! ორივე არის სიმახინჯე და ორივე მათგანი თავიანთი იდეური თანამოაზრებითურთ უნდა მოიკვეთოს საზოგადოებამ! ამავე დროს კიდევ ერთხელ და უკვე მერამდენედ მივმართავ ხელისუფლება-მთავრობას, რომ აუცილებელია დაუყონებლივ შეიქმნას სპეციალური და კომპენტენტური კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს კოლხურ-იბერიულ (ქართველურ) ენათა დაცვა-განვითარების უზრუნველსაყოფად საჭირო კომლექსურ ღონისძიებათა პროგრამა! მიმაჩნია, რომ ეს არის პრობლემათა გადაწყვეტის ოპტიმალური გზა და საშუალება!..

გაუმარჯოს ერთიან და აღორძინებულ კოლხა-იბერიას!

გაუმარჯოს ზოგადეროვნულთან ერთად მეგრულ, ლაზურ და სვანურ თვითმყოფადობა დაცულ საქართველოს!..

**ზურაბ კვარაცხელია,**
ზუგდიდი

# გაზეთი „ილორი" 77 წლის იუბილეს ულოცავს სახელოვან მამულიშვილს, ბატონ ნუგზარ შარიას!



ჩანაწერი, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, ორი წლის წინ გაგვიკეთებია, როცა ბატონი ნუგზარი 75 წლის გახდა:

**– ჩვენო საყვარელო ბატონო ნუგზარ – ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, დღეს დილას დავეშვი ქუთაისის აეროპორტში და ახლა შემიძლია ერთი დღის დაგვიანებით, მაგრამ გულით მოგილოცოთ ლამაზი იუბილე!**

**– უამრავი ვინმე იხდის იუბილეს და რასაკვირველია, ეს, ყველა მათგანის პირადი ნებაა, მაგრამ მცირედნი არიან მათ შორის გამორჩეულნი, როცა სადღეგრძელოების და სუფრასთან დატრიალებული დითირამბების იქით, მეორე დღეს, „პახმელიაზე" გამოსვლის გარდა, არაფერი რჩებათ მოსაგონარი იუბილარის მესუფრეებს!**

**თქვენ, – გამორჩეულთა შორის გამორჩეული იუბილარი ბრძანდებით ნუგზარ ბატონო!**

**– უთუოდ დიდი სამუშაო ექნება თქვენს მეისტორიეს!**

**რამდენიმე კვირის წინ, თბილისის მერს, ბატონ დავით ნარმანიას წერილი მივწერეთ. მიმაჩნია მკითხველისთვის საინტერესო იქნება იგი და ამონარიდს ამ წერილიდან აქაც გამოვაქვეყნებთ:**

**„...ერთმა საგანგებო შემთხვევამ, რომლის შემსწრე ამ რამდენიმე წლის წინ გავხდით, გადგვაწყვეტინა თქვენთვის ამ წერილის მოწერა.**

**2014 წელს, დოკუმენტურ კინოფილმზე „რეზო ჩხეიძის მოგზაურობა საქართველოში" მუშაობისას, ზუგდიდში დავგეგმეთ ჩასვლა.**

**ბატონ რეზოს, ჩვენდა გასახარად, ცნობილ ქართველ კინოხელოვანებთან ერთად, ბატონი ნუგზარ შარია ჩამოჰყვა, რამაც დიდი ქართველი რეჟისორის, ბატონი რეზო ჩხეიძის ჩამოსვლით გამოწვეული მაყურებლის სიხარული გააორმაგა.**

**არ მოვყვები იმის აღწერას, თუ რა ხდებოდა ბატონი რეზო ჩხეიძისა და ნუგზარ შარიას – „ოსტატისა და შეგირდის" ერთად გამოჩენისას, ანაკლიასა და ზუგდიდში, ქალაქის ბულვარში და დადიანების სასახლე-მუზეუმში, კინოდარბაზ „ატრიუმში"... ეს დიდი თემაა, მაგრამ იმას კი ვერ ავუქცევ გვერდს რა ხდებოდა დარბაზში ბატონი ნუგზარის გამოსვლისას – ორმოცდასამი წლის შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებულ ნუგზარ შარიას დადიანების სასახლეში დაწყებული საუბრის სიმძაფრე დარბაზშიც შემოჰყვა. სამურზაყანოში დაბადებულს და „ენგურის ნაპირებზე" გაზრდილს, თვალწინ მშობლიური თაგილონი დაუდგა, სადაც მამა-პაპათა საფლავებთან მისვლა აუკრძალეს – ზეცისკენ ხელებაპყრობილმა მაყურებელს „იქნებ, ბიჭო, პაპა იყო შენი, საფლავშიაც ბორკილები ედო!" რომ წაუკითხა, ჩამოსულ სტუმრებსაც განუახლა აფხაზეთის ტრაგედიით გამოწვეული მოუშუშებელი იარა, თორემ ადგილობრივებს მას რა დაავიწყებს!..**

**ოვაცია და ცრემლები მანამ გაგრძელდა ვიდრე ბატონი რეზო ფეხზე ადგა და დარბაზი სმენად იქცა – „...ყველა გამომსვლელს და სტუმარ -მასპინძელს გულითად მადლობას ვწირავ, რაც შეეხება ნუგზარის გამოსვლას, მე იგი უთქმელადაც ჩამესმოდა მუდამ... ამ ბოლო დროს, საქართველოში, ცნობილი ხელოვანების ვარსკვლავების ჩადგმა დამკვიდრდა მათი ასპარეზი ადგილების თვალსაჩინო ალაგას. როგორც ვატყობ, ვერც მე და ნუგზარი გადავურჩებით ამ სასიამოვნო „განაჩენს" და, თუ ეს ასე უნდა მოხდეს, მაშინ დავიბარებდი – ჩემი ვარსკვლავის გვერდით, ჩემი ერთგული მოწაფისა და მეგობრის ნუგზარ შარიას ვარსკვლავი ჩაიდგას!.."**

**უსასრულო ოვაციები მოჰყვა ქართული კინოს პატრიარქის, ბატონი რეზო ჩხეიძის სამადლობელ სიტყვა-ანდერძს!..**

**ვიღაცამ იხუმრა – „ეს ოვაცია, ენგურს გაღმა, შარიების ოდაბადეს მიწვდებაო უთუოდ!"**

**ბატონო დავით, ჩემამდე მოვიდა ხმა, რომ ბატონი ნუგზარის ვარსკვლავის ჩადგმის საკითხი გააქტუალურდა და სწორედ ამიტომ გადავწყვიტე თქვენთვის მომემერთა – ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, თუ დროს მოძებნით და მცირე დროით შეხვედრას დამინიშნავთ, საინტერესო მოსაზრებებს მოგაწვდით ამ თემაზე. საქართველოში ვიქნები 12 თებერვლამდე."**

**სამწუხაროდ, პასუხი დღემდე არ მიმიღია.**

**რას ვიზამთ, „თბილის ქალაქის თავი" მეტად დაკავებული კაცია, ვერ მოიცალა ალბათ!**

**სამაგიეროდ უამრავი ადამიანი გილოცავთ ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ, მეც ვუერთებ მათ ჩემს ხმას!**

**თბილისი, 2016 წლის 20 თებერვალი.**

ამ წერილის დაწერიდან ორი წელი გავიდა და 17 თებერვალს ბატონი ნუგზარი 77 წლის გახდა!

საქართველოში, რამდენიმე მამულიშვილს თუ გაახსენდა, ალბათ, ბატონი ნუგზარის საიუბილეო თარიღი... ჩვენ კი, იგი არ დაგვვიწყებია!..

არ დაგვვიწყებია, იმიტომ, რომ, ნუგზარ შარია და ენგურს გაღმა საქართველო, დღეს, ისევე შორია, როგორც „ენგურის ნაპირებზე" გაზრდილი ბიჭი, რომელიც, ნუ იტყვით და – ენგურის, მტრის ხელით დაშორებული, ორივე ნაპირის გამაერთიანებელ ერთადერთ დესპანად რჩება!

ორი კვირის წინ უმძიმესი ოპერაციები გადაიტანა ბატონმა ნუგზარმა, რომ იტყვიან – სამართებლის პირზე გაიარა მისმა ჯანმრთელობამ, მაგრამ – ღმრთის მადლით, იგი შეურყეველი დარჩა და ჩვენი სამშობლოს სამსახურში ბოლომდე გასალევად კვლავ შეუდგა ჟამთასვლასთან ჭიდილს!

როგორც ბატონი ნუგზარის თანამეცხედრემ, სერბმა ქალბატონმა სოფიამ გვახარა – ბროდვეის თეატრს არ დავიწყნია ნუგზარ შარიას 77-ე იუბილე და მას კვლავაც მოელიან მისი კოლეგები და ერთგული მაყურებელი!

ზემოთ ვახსენე – „რას ვიზამთ, „თბილის ქალაქის თავი" მეტად დაკავებული კაცია, ვერ მოიცალა ალბათ!"

თბილისის მერს პრობლემებს და საზრუნავს რა გამოულევს, მაგრამ იმედს გამოვთქვამთ – ბატონი კახი კალაძე საგანგებო ყურადღებით მოეკიდება აშშ-ს ოთხი ყოფილი პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულის საქართველოში, საქართველოს სახალხო არტისტის, გერმანიის სახალხო არტისტის, ისრაელის დროშის საპატიო მფლობელის, ბროდვეის თეატრის არტისტის, საქვეყნოდ ცნობილი ჩვენი თანამემამულის, ბატონ ნუგზარ შარიას დამსახურების დაფასებას და დიდი ქართველი რეჟისორის ბატონ რეზო ჩხეიძის დანაბარები მისი ვარსკვლავის გვერდით ნუგზარ შარიას ვარსკვლავის ჩადგმაც აღსრულდება!

ჩვენ კი, გაზეთ „ილორისა" და მისი ერთგული მკითხველების სახელით კიდევ ერთხელ ვულოცავთ 77 წლის იუბილეს და ხანგრძლივ ჯანმრთელობას და შემოქმედებით წარმატებას ვუსურვებთ ბატონ ნუგზარ შარიას!

**დავით ქობალია,**
**როლანდ ჯალაღანია**

# “ერთპირი იყო მთელი ქვეყანა და ერთ ენაზე მეტყველი”

*გაგრძელება წინა ნომრიდან*

განვაგრძოთ ძიება:

„მარგალაინი“ წარმოადგენს უმსხვილეს ღვინოს წარმოების რეგიონს საფრანგეთში. „მარგალაინე“-ს ჩვენ ვკითხულობთ წარწერაზე, მაგრამ ფრანგულად იგი ასე გამოითქმის – „შატო მაროჟალია“. მაროჟალია არის იგივე მაროგალია, იგივე მარგალაინე, რადგან „გ’’-ფრანგულში „ჟ“-თი იცვლება, ამის უნიკალური დასტურ სიტყვაა – გიორგი-ჟიორჟი-ჟორჟ.

მარგოს კომუნა მდებარეობს ბორდოს რეგიონში. ოფიციალურმა ღვინოს დეგუსტატორებმა მას ძველთაგანვე მიანიჭეს Premier Grand Cru Classé, რაც უმაღლესი ხარისხის კატეგორიის მიეკუთვნებას ნიშნავს. აღსანიშნავია რომ ეს ღვინო არის წითელი და ამ ყურძენის ჯიშს ჰქვია – მარგალია. აქაც ძლიერ დომინირებს მარცვალი „რგ“.

ოდნავ თემიდან გადავუხვიოთ და შევიხედოთ ისტორიულ შრეში:

1) ეგვიპტის ფარაონი – რამზეს II-ეს კარზე ყოველი სადილის დროს აუცილებელი იყო მხოლოდ ერთი ჯიშის თევზის გამოტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მზარეული ძლიერ ისჯებოდა. ამ თევზის სახელი იყო – მარგალია. აქაც მარცვალი – „რგ“

2) დღემდე დაწერილ არს, რომ ბერძნები საქართველოს გეორგიას და ქართველებს გეორგიანელებს გვეძახიან.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ამ სიტყვებშიც ფიგურირებს ქვა-მარცვალი „რგ“, მეორეთი კი მინდა გაგიმხილოთ, რომ ეს სახელი ჩვენთვის ინდოევროპული მოდგმის ბერძნებს კი არ დაურქმევიათ, არამედ თვით ძირძველმა ქართველებმა, რომელნიც სახლობდნენ დღევანდელი საბერძნეთის ტერიტორიაზე. ამაზე ორი ფაქტი მეტყველებს: ის რომ სიტყვებში – გეორგია და გიორგია დომინირებს წმინდა ქართული წინსართები: სვანურ-მეგრული „გი“ და „გე“, რაც მიწას (დედამიწას) ნიშნავს, ხოლო თვით სიტყვა გადმოგვცემს ინფორმაციას რომ, ის ნიშნავსო – მიწათმოქმედებს. დიახაც, რომ სწორი მინიშნებაა, მაგრამ მოდით და პირდაპირ წავიკითხოთ სიტყვა იმ ენაზე თუ რა ენაზეც შეთხზეს ის თითქოს და ინდოევროპელმა ბერძნებმა. საქმე იმაში გახლავთ, რომ ძვ. ქართულ ენაზე (მეგრულით) სიტყვა გიორგ+ია სიტყვა სიტყვით ნიშნავს – დამრგველთა-ს ქვეყანას!!!! ხოლო იქ მცხოვრებთ კი დამრგველები, ანუ მარგალები.

და ამასთან ერთად თუ გავიხსენებთ, რომ კოლხეთში ოქროს საწმისის წასაღებად არგონავტები მოვიდნენ, საბერძნეთის ქალაქ „არგოდან“?, მაშინ ვნახავთ, რომ აქ რაღაც მთლად რიგზე არაა. გამოდის, რომ ისევ ჩვენმა ნათესავმა წაგვართვა ოქროს საწმისი, თუ გავეცით?.. (როგორც ხედავთ აქ ისეთი საქმეები იხსნება, რომ ჯავახიშვილი, ბერძენიშვილი და ჯანაშიას ისტორიის გაცოცხლება კაცს მაყვლის ჭამად მოგეჩვენება. ჩვენ უფრო ღრმა და კოლოსალურ ინფორმაციასთან გვაქვს საქმე და კიდევ მასში არის რაღაც ისეთი, რამაც საუკუნეებს გაუძლო...

ცნობილია, რომ ბოტანიკაში ნებისმიერ ხეს ჰქვია სახელი მისი ნაყოფიდან გამომდინარე: ვაშლი – ვაშლისა, მსხალს – მსხლისა და ა.შ. მაშინ რატომ არის ასეთი არა ადეკვატური დამახასიათებელი სიტყვები?

რატომ არ ჰქვია ყურძენისას – ყურძენი? და რატომ არა მის პლანტაციას – ყურძნარი? ვაზის პლანტაციას ვაზიანი? ან კიდევ ვაზვნარი? და რა შუაშია კიდევ ერთი სიტყვა – ვენახი?

და საერთოდ: ან კიდევ რატომ ჰქვია მდინარე მტკვარს სახელი – კურა (დაწესებული პრინციპით ტოპონიმური სახელები არ ითარგმნება), საქართველოს გრუზია, გეორგია? (ამ თემებზე შემდგომში ვისაუბრებთ).

ეხლა დავახასიათოთ ყურძნის სიმბოლოს მნიშვნელობა: ყურძენი, ქრისტიანულ იკონოგრაფიაში გამოისახება როგორც ჯვარი და ეს ჯვარი გამოისახება სწორედ რომ ვაზის ლერწმით, ისე როგორც ჩვენი წმინდა ნინოს ჯვარი. ღვინო კი-ქრისტეს სისხლად.

ყურძნის მტევანი ქრისტიანობაში განიხილება, როგორც გადარჩენისა და აღორძინების ემბლემად, ამიტომ მას გამოსახავდნენ ძვ. ქრისტიანთა სარკოფაგებზე, ფრესკებზე და უფრო გვიან ეკლესიის ვიტრაჟებზე. როგორც ჭშმარიტი სიმბოლო ყურძენი მიგვანიშნებს ჭეშმარიტ ქრისტეს სწავლებას, ეს აშკარად ჩანს სახარებაში იოანეს მეტაფორულ შედარებაში: „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, და მამაჩემი მევენახეა.“(იოანე, თ.15)

ცნობისათვის; ვაზი პირველი მცენარე იყო, რომელიც ნოემ ჩარგო არარატის მთაზე. ეს მთა დღეს სომხეთის ტერიტორიაზე იმყოფება. მისი ნამდვილი დასახელება კი არის – არარათი. ანუ ყველაფერი დაიწყო არარათი-ო. ქართულად ზღაპრები იწყება ასე რიგად „იყო და არა იყო რა“ ეს მისტიური აზრის მომცემი წინადადება გადმოგვცემს ღმერთის მიერ სამყაროს გაჩენის პროცესს. ვინაიდან როცა ღმერთი იწყებდა შექმნას მაშინ არარა იყო რა. ე. ი. მან არარათი დაიწყო შექმნა და ნოემაც, როგორც ღმერთმა კაცთა შორის, დაიწყო არარას შექმნა ვაზის დარგვით. არარა +თი (წილს, ოჯახს ნიშნავს). ბიბლიაში არა ერთჯერაა დაფიქსირებული სიცოცხლის დაწყების ეტაპად ვაზის დარგვის მომენტი:

მარკოზი 12:1-12: და დაიწყო მათთან იგავებით ლაპარაკი: „კაცმა ვაზი ჩაყარა, ღობე შემოავლო, საწნახელი ამოკვეთა და შიგ კოშკი ჩადგა”.

მათე 21:33-46: „მოისმინეთ სხვა იგავი: იყო ერთი სახლის პატრონი, რომელმაც ვაზი ჩაყარა, გარს ღობე შემოავლო, შიგნით საწნახელი ამოკვეთა და კოშკი ააგო, მიწისმუშაკთ ჩააბარა და წავიდა”.

ლუკა 20:9-19: დაუწყო ხალხს ამ იგავის მოყოლა: „ერთმა კაცმა ვაზი ჩაყარა და მიწისმუშაკთ ჩააბარა. თვითონ კი სხვა ქვეყანაში წავიდა კარგა ხნით”.

როგორც ვხედავთ ბიბლიაში ერთხმად გადმოგვცემენ, თანაც რამოდენიმეჯერ სხვა და სხვა პერიოდში ადამიანის სიცოცხლის წამოწყების ეტაპად ვაზის ჩარგვას. აპოკრიფებში და სხვა საეკლესიო წერილებში კი ედემის ბაღის პირველ მცენარედ ვაშლის მაგიერ მოხსენიებული ვაზი....

ამაში არის ერთი დიდი მინიშნება – საიდუმლო. აბა გავერკვეთ თუ რა არის ეს საიდუმლო.

ვიცით, რომ არსებობს უამრავი პროფესია; მეთევზე, ბოტანიკოსი, აგრონომი, მფრინავი და ა.შ. მოცემულ შემთხვევაში კი ნოე გამოდის აგრონომი, „ნოემ პირველი რაც გააკეთა დარგო ვაზი“ ხოლო თუ დავაკონკრეტებთ ის გამოდის ვაზის ხის დამრგველი. ეხლა ეს სიტყვა რევერსით გადავიტანოთ 4000 წლის უკან და წარმოვთქვათ იმ ენაზე რა ენაზეც ესაუბრებოდა უფალი ნოეს, თუ ვინ განუწესა მას ეს მისია კაცობრიობის წინაშე და რა ენაზე მოინათლა იგი ამ საიდუმლო პროფესიით. ეხლა თქვენს წინაშე გადაიშლება დიდი საიდუმლოება უფლისა, კერძოდ თუ ვინ არის მისი რჩეული ერი და ვის დაანთლა კაცობრიობის მწყემსობა. პირდაპირ გეტყვით დამრგველი 8000 წლის წინანდელი სიტყვით არის – მ ა რ გ ა ლ!!!

ამ სიტყვა-(ქვამ) იგორა, იგორა და დღემდე უცვლელად, ერთი ასოს დანაკლისის გარეშე მოვიდა. აბა თუ ვინმე მეტყვის დედამიწის ზურგზე არის თუ არა ეროვნება, რომელსაც რაიმე პროფესიის აღმნიშვნელი სახელი ჰქონდეს, მითუმეტეს, ასე კონკრეტული და განსაზღვრული საქმიანობით?

ე.ი. გამოდის რა? ნოე იყო დამრგველი-მარგალი? არადა ყველა არგუმენტი ამას ამტკიცებს და კიდევ მინდა ბოლოსთვის კიდევ ერთი საიდუმლო გაგანდოთ. იმ მთას სადაც ნოემ ვაზი დარგო, დღეს არარატი ჰქვია, ხოლო უცხოეთის ისტორიულ წყაროებში (ჩვენ ხომ არაფერი გვიწერია) ეს მთა მოიხსენიება, როგორც მთა – „ლუბარია“. არა, ეს სუფიქსი-„ია“ ხომ მაინც დაგაინტრიგებს კაცს. საქმე იმაშია, რომ ძვ. ქართულად (მეგრულად) ლუბას ეძახიან მკერდის ნაწილს გულის ჩათვლით. ანუ დღესაც არის გამონათქვამი „ლუბაშ ალახუნაფალ“ ანუ გულში ჩასასმელი-ო. ამას მეგრელი იტყვის, საყვარელ ადამიანზე და მას მიუჩენს ყველაზე უკეთეს ადგილს თავის სხეულში – გულში. „ლუბა +რე+ია>>> ლუბარია. და შემდეგ უკვე ამ სიტყვიდან არის სლავურად სიყვარული, რადგან გულში მხოლოდ ყველაზე საყვარელ ადამიანს იხუტებენ.

შევკრიბოთ ზემოთ მოყვანილი სიტყვები და დავალაგოთ: არგო (კომუნნა საფრანგეთში), მარგალაინე (ღვინო, წარმოებული არგოში), აგრონომი (პირველი ბიბლიური საქმიანობა რასაც კი ადამიანი აკათებს) და მარგალ (პირველი ბიბლიური პროფესია, რომელიც უფალმა მიანიჭა ადამიანს).

### ვერნახი

“მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი თქუენთვის მიცემული; ამას ჰყოფდით მოსახსენებლად ჩემდა” (ლკ. 22,19). მერე უფალმა აიღო სასმისი ღვინით, გააზავა იგი წყლით, აკურთხა ისევე, როგორც პური, ახალი, განსაკუთრებული კურთხევით “და მოიღო სასუმელი, და ჰმადლობდა და მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგან ყოველთა. ესე არს სისხლი ჩემი, არა სახე, არა გახსენება სისხლისა, არამედ ჭეშმარიტი და ნამდვილი ჩემი სისხლი ახლისა აღთქმისაი მრავალთათვის. ყველასათვის, ვინც კი ისურვებს შეუდგეს ცხონების საქმეს, დათხეული მისატევებლად ცოდვათა.” ასე დაწესდა საიდუმლო სერობაზე პირველი ლიტურგია იესო.

განხილვა: სისხლი ადამიანისა წითელი ფერისაა და ბუნებრივია აქ საუბარია მხოლოდ წითელი ჯიშის ყურძნის ღვინოზე. დღეისათვის საქართველოში შემორჩენილია წითელი ყურძნის ჯიშთაგან მხოლოდ ერთი სახეობა, რომელიც არის სწორედ რომ წითელი და მისი სახელიც ამომავალი სიტყვა-გასაღებია აქ საძიებო სიტყვისა – ვენახი. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამეგრელოს წითელი ყურძნის ჯიშის სახელია – ვერნახი !!! რომელიც შემდეგში დაიკოდა და გახდა – ვენახი. ამ სიტყვას – ვენახი, აქვს კიდევ დუბლიკატი, კერძოდ ძვ.ქართული სიტყვა – ბინეხი, მაგრამ ეს სხვა დროს იყოს...

აი რას გვეუბნება ბიბლია იოანეს სახარებაში:

1. მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, და მამაჩემი მევენახეა.

2, ჩემს ყველა ლერწს, რომელსაც არ გამოაქვს ნაყოფი, მოჭრის, და ყველას, რომელსაც გამოაქვს ნაყოფი, გაწმენდს, რათა მეტი მოისხას.

3. თქვენ კი უკვე გაწმენდილნი ხართ სიტყვით, რომელიც გითხარით.

4. დარჩით ჩემში და მე დავრჩები თქვენში. როგორც ლერწი თავისთავად ვერ გამოიღებს ნაყოფს, თუკი არ შერჩა ვაზს, ასევე თქვენც, თუკი არ დარჩებით ჩემში.

5. მე ვარ ვაზი, ხოლო თქვენ ლერწები ხართ, ვინც ჩემში რჩება, ხოლო მე მასში, დიდძალი ნაყოფი გამოაქვს; ვინაიდან უჩემოდ არაფრის ქმნა არ შეგიძლიათ.

6. ვინც არ დარჩება ჩემში, ლერწამივით გადაიგდება და გახმება; შემდეგ კი აგროვებენ, ცეცხლში ყრიან და იწვის.

7. თუ დარჩებით ჩემში და ჩემი სიტყვები დარჩება თქვენში, ყველაფერი, რასაც ისურვებთ, ითხოვეთ და გექნებათ.

8. ამით იდიდება მამაჩემი, თუ გამოიღებთ უხვ ნაყოფს და იქნებით ჩემი მოწაფენი.

რატომღაც ძველი ქართულით ვაზის ნაცვლად გამოყენებულია – სიტყვა ვენახი.

„მე ვარ ვენაჴი ჭეშმარიტი, და მამაჲ ჩემი შემოქმედი არს.“

ბარემ ერთი საჭოჭმანო საკითხიც დავსვათ თავის ადგილას.

„ვით მარგალიტი ობოლი, ხელით-ხელ საგოგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები“

ჩვენ ასე გვიწერია წიგნებში, რომ ბერძნულად საქართველოს – გეორგია, ხოლო ქართველებს გიორგიანელები ჰქვია. აი საოცრება თუ გინდა. აქაც „რგ“ მარცვალი არ შორდება ამ სიტყვას. არადა რა საერთო აქვთ საბერძნეთის სახელდებას და ბერძნულად ქართველთა დასახელებას შორის, როდესაც ორივე სიტყვაში ფიქსირდება „რგ“ მარცვალი“? თანაც ბერძნულად გეორგია და მიწათმოქმედებას ნიშნავსო. მოკლედ რაც უფრო ვუღრმავდებით დიდი მუხის ფესვებს, მით უფრო აშკარა ჩნდება სიტყვის არსი და მისი წარმომავლობა. მიწათმოქმედებას კი აგრონომია რომ ჰქვია უცხო არ არის მგონია. ხოლო გეორგია და გიორგია კი ორივე წმინდა ქართული სიტყვებია. რატომ? იმიტომ რომ წინარე ქართულ ენებში სვანურსა და მეგრულში „გე“ და „გი“ მარცვალი მიწას – დედამიწას ნიშნავს, ხოლო მარტო მეგრულად კი სიტყვა გიორგ+ია პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს დამრგველს. უფრო ზუსტად –გიორგ(დარგე) +ია(შვილი). ხოლო ამ დამრგველ პროფესორს კი ჰქვია – ძვ. ქართულით – მარგალ!!! დღევანდელი ქართულით კი – (მეგრელი).

რატომ მონათლეს პელაზგებმა მათი იმ დროინდელი სამყოფო ადგილი სიტყვა – საბერძნეთით?

1) საბერძნეთი. სა+ბერძნ+ე+თი-სა (ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი წინსართია + ბერძ (ანაგრამული პრინციპით ნიშნავს ბრძენს) + ე (ადგილის მითითებაა)+ თი (წილი, ოჯახი). მოკლედ რომ ვთქვათ ბრძენთა საცხოვრისი.

2) ბერძენი. ბერი – ღვთის მსახურს ნიშნავს (ბერ მონაზონი), ბერი (აგრეთვე ასაკში შესულ, მოხუცი ადამიანის დამახასიათებელი ტერმინია), ბერი (ლაზურად ვაჟიშვილს ჰქვია), იბერია კი საქართველოს და ბოლოს: სიტყვის მეორე ნაწილი – „ძენი“ კი ზემოთ ჩამოთვლილთა შვილობილობას ამტკიცებს. იბერთ+ძენი!!!

თუ დავუმატებთ იმას რომ კოლხეთში ოქროს საწმისის წასაღებად საბერძნეთიდან მოვიდნენ არგონავტები, რომელნიც გამოსულ იყვნენ ქალაქ არგოდან? მაშინ საცნაური ხდება ერთი ფრიად მნიშვნელოვანი და მრავალსაუკუნოვანი ხავსმოდებული საიდუმლო. კერძოდ ის, რომ იმ დროს დღევანდელი საბერძნეთის ტერიტორიაზე სახლობდნენ ჩვენივე ჯიშის ხალხი (პელაზგები), რომელთაც შექმნეს იქ ცივილიზაცია, მათვე მონათლეს სახელად – საბერძნეთი და იმ გადმოსახედიდან დაარქვეს საქართველოს – გიორგია.

რას ნიშნავს სიტყვა პელაზგი?

ეს ტერმინი მოიგონეს ევროპელებმა გარკვეული ეთნოსის სახელწოდებად. იცოდნენ მათ, რომ იმ ადგილას და არა მარტო საბერძნეთის ტერიტორიაზე (არ განვავრცობ თემას) სანამ თავად დასახლდებოდნენ, ბინადრობდა დიდად განვითარებული და დომინანტი ხალხი ლაზები. და რადგანაც ისინი წინარე ცივილიზაციის შემქმნელები იყვნენ, უბრალოდ სიტყვის წინ დაუმატეს წინსართი „პრე“, რაც წინარეს (ძაან გვიანდელს, შორეულს, აქამდელს) ნიშნავს. პრე-ლაზ-გ-ი>> პელაზგი.

ეხლა განვიხილოთ, თუ რა საერთო აქვთ სიტყვებს ბერძენი და ყურძენი.

როგორც ვხედავთ სურათი ნათელია: ყურ+ძენი, ბერ+ძენი.

ამ ორ სიტყვას აშკარა მსგავსება სიტყვის ბოლოშია და ეს ერთობა გამოისახება ასე – „ძენი“. ზემოთ გავარკვიეთ, თუ რას ნიშნავს „ბერი“, ვიცით აგრეთვე, რომ ერთად აღებული სიტყვა – ბერძენი, იბერთა ძეობას ნიშნავს (და არა მარტო), ეხლა გავარკვიოთ თუ რა საჭირო იყო რომელიღაც ხე მცენარის მახასიათებელ სიტყვაში ადამიანი ერთ-ერთი ორგანო – ყური?

ამისათვის მივუბრუნდეთ ისევ ბიბლიას (სადაც ძევს უკიდეგანო საიდუმლო ინფორმაცია).

გავიხსენოთ ქრისტეს ღალატის საღამო, როცა იუდამ გასცა იესო და მას რომაელი ჯარისკაცი მიუახლოვდა:

1) ...ხოლო სიმონ-პეტრეს მახვილი ჰქონდა; იშიშვლა, დაჰკრა მღვდელმთავრის მონას და მარჯვენა ყური ჩამოათალა„ (იოანეს სახარ. 18-10)

2) „იმიტომ დავიბადე და იმიტომ მოველ ამ ქვეყნად, რომ ჭეშმარიტება ვიმოწმო. ყველა, ვინც ჭეშმარიტებისაგან არის, ყურს უგდებს ჩემს ხმას. (18-37).

**დავით თორდია,**

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# „როცა რუსს ეთამაშები, შეაგინე, ანერვიულდება და ადვილად აჯობებო"



დღევანდელი სპორტული მოგონებების მთავარი გმირი გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი მურთაზ ხურცილავა ბრძანდება. ბატონ მურთაზს სტაჟიანი გულშემატკივრების წინაშე განსაკუთრებული წარდგენა არ ესაჭიროება. ერთს დავძენდი. ყოფილი საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრებს, მისი არსებობის დროს ორი ქართველი კაპიტანი ჰყავდა. ალექსანდრე ჩივაძემდე ამ საპატიო მისიას დიდი ხნის განმავლობაში მურთაზ ხურცილავა ასრულებდა.

სახელგანთქმული ფეხბურთელი საკუთარ ბიოგრაფიას თავადვე გაიხსენებს.

„გეგეჭკორის, დღევანდელი მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში დავიბადე და გავიზარდე. ფეხბურთის გარდა არაფერი მაინტერესებდა და უნდა გენახათ, სუნთქვაშეკრული რომ ვუსმენდი რადიორეპორტაჟებს! თუმცა, მარტო მე კი არა, მთელი სოფელი ასე იყო. მაშინ ვერც კი ვიფიქრებდი, რომ გაივლიდა დრო და ჩემი კერპების მხარდამხარ ვითამაშებდი.

წლების შემდეგ საქართველოს თასის ფინალში ჩვენი „სალხინო" და ზუგდიდის „დინამო" შეხვდა ერთმანეთს, იმ დროს უკვე „სალხინოში" ვთამაშობდი. ერთი კვირის თავზე სახლში დეპეშა მოგვივიდა: პირადად ანდრო ჟორდანია მიბარებდა ახალგაზრდა მოთამაშეების შეკრება-შერჩევაზე! ჟორდანიას სახელი იმ წლებში ყველას პირზე ეკერა – ფეხბურთის მოყვარულთათვის ის ლეგენდა იყო!

იმ შეკრებაზე პირველი შეხვედრა სოხუმის „დინამოსთან" ჩავატარე. თამაშის შემდეგ ბიჭები გასახდელში ვსაუბრობდით, უცბად თენგიზ მაჭავარიანი შემოვიდა (ის წლების განმავლობაში თბილისის „დინამოს" ადმინისტრატორი იყო) და მითხრა: „ხურცილავა, დროზე, ჟორდანია გიბარებს"! ცივმა ოფლმა დამასხა! მასთან რომ შევედი, მამაშვილურად მომმართა, აქ ნუღარ გაჩერდები, წადი, მალე „დინამოში" დაგიბარებთო. ყურებს არ ვუჯერებდი, თავი სიზმარში მეგონა!

მაშინ „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში იოლად ვერ მოხვდებოდი – ეს პატივი კარგი თამაშით და მუხლჩაუხრელი შრომით უნდა დაგემსახურებინა. მეც ეტაპობრივად ვუახლოვდებოდი საოცნებო გუნდის ბირთვს: ჯერ რესპუბლიკის ნაკრებში მოვხვდი და 1959 წელს საკავშირო სპარტაკიადაზე ვიასპარეზე; ერთი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრების მაისურით იტალიაში, სან რემოს თასზე გამოვედი... იმ წლებში, მეტწილად, ნახევარდაცვაში ვთამაშობდი, მაგრამ ნელ-ნელა დაცვაში გადამიყვანეს. სანამ „დინამოს" პირველ შემადგენლობაში ჩავირიცხებოდი, ლამის ერთი წელიწადი „სალხინოში" ვთამაშობდი.

თავდაპირველად დაცვაში ჩემი პარტნიორი გივი ჩოხელი იყო, თუმცა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ მე ვიყავი მისი პარტნიორი. სამწუხაროდ, მის მხარდამხარ მცირე ხანს ვითამაშე – ღვიძლმა შეაწუხა და მალე დაასრულა კიდეც კარიერა. მისი წასვლის შემდეგ ცხონებული ჯემალ ზეინკლიშვილი დადგა ჩემს გვერდით – ბრწყინვალე მცველი გახლდათ. იცით, „დინამოში" ახალმისული ულვაშებს ვატარებდი და მეტსახელი „ბურძგლა" სწორედ ჯემალმა შემარქვა.

დიდ ფეხბურთში პირველ ნაბიჯებს რომ ვდგამდი, ერთმა მითხრა, როცა რუსს ეთამაშები, შეაგინე, ანერვიულდება და ადვილად აჯობებო. ეს „რჩევა" პირველად მოსკოვის „სპარტაკთან" „გამოვიყენე" – ჩემს წინააღმდეგ სევიდოვი თამაშობდა და მეც, რაც კი რამე სალანძღავი სიტყვა ვიცოდი, ყველაფერი მივაყარე. შენც არ მომიკვდე, ვითომც არაფერი – უფრო მაგრად ათამაშდა. საბოლოოდ ისევ მე „გავფუჭდი", ის კი პირიქით, მაღიზიანებდა: „მიდი მურზიკ, აბა მაჩვენე რის მაქნისი ხარო"... ის დღე იყო და ის დღე – სევიდოვის შემდეგ მეტოქეებისთვის უხეშად არასდროს მიმიმართავს.

1964 წელს თბილისის „დინამო" საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. პირველობა გუნდის ძირითად მოთამაშედ დავიწყე, მაგრამ ოქროს მედალი მაინც არ შემხვდა. სტარტზე 8 შეხვედრაში ვითამაშე და შემდეგ ბრმა ნაწლავის ოპერაცია გავიკეთე. დავბრუნდი და კიდევ ერთხელ არ გამიმართლა – კიევის „დინამოსთან" მატჩში კუნთი გამიწყდა. ახლა მის მოშუშებას მოვუნდი ნახევარი წელი... მოკლედ, სეზონის დიდი ნაწილი გამიცდა. მაშინ ასეთი წესი იყო – თუ ფეხბურთელი მატჩების გარკვეულ რაოდენობას არ ჩაატარებდა, მედალს ვერ იღებდა. მეც ამიტომ დავრჩი ოქროს გარეშე.

1964 წლის სეზონი მიხაილ იაკუშინის ხელმძღვანელობით დავიწყეთ, მაგრამ ჩემპიონის მედლები გავრილ კაჩალინთან ერთად მოვიპოვეთ. მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ იმ „ოქროს გუნდის" შენება სწორედ იაკუშინმა დაიწყო. კაჩალინი ძალიან კარგი, განათლებული და კულტურული კაცი იყო, მაგრამ მიმაჩნია, როგორც მწვრთნელი, ის იაკუშინზე სუსტი იყო.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თბილისის „დინამო" და მოსკოვის „ტორპედო" თამაშობდნენ. ჩვენი მატჩები ყოველთვის საინტერესო იყო. იცით რა მაგარი ფეხბურთელები ჰყავდათ ტორპედოელებს? ედუარდ სტრელცოვი, ვალერი ვორონინი, ვალენტინ ივანოვი, ბორის ბატანოვი, ნიკოლაი მანოშინი... რომელი ერთი ჩამოვთვალო?

ედუარდ სტრელცოვი ძალიან დიდი მოთამაშე იყო, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ მსოფლიო დონის ვარსკვლავი გახლდათ! ნათლად მახსოვს ჩვენი პირველი დაპირისპირება: 1965 წელს დავდექით ერთმანეთის პირისპირ – ის ახალი გამოსული იყო ციხიდან. წარმოიდგინეთ, კაცს 7 წელიწადი გაუცდა და იმდენად ძლიერი იყო, რომ მალე არათუ „ტორპედოს" ძირითადში, ნაკრებშიც დაიბრუნა ადგილი!

შეგიძლიათ დაასახელოთ ფეხბურთელი, რომელიც „დინამოდან" გულნატკენი არ წავიდა? რომელი ერთი ვთქვა – შოთა იამანიძე, სერგო კოტრიკაძე თუ მიშა მესხი? მეც მაიძულეს გუნდიდან წავსულიყავი, დამეტოვებინა კლუბი, რომელსაც 15 წლის მანძილზე ყოველდღე ერთგულად ვემსახურე! ოფიციალური მიზეზი არ გაინტერესებთ? თურმე, თანაგუნდელები ჩემთან საერთო ენას ვეღარ პოულობდნენ!

ცხადია, ყველამ მალე გაიგო რომ მურთაზ ხურცილავა „დინამოდან" წავიდა. არ დაგიმალავთ, შემეხმიანნენ კიევიდან და მოსკოვიდან – ასაკის კვალობაზე კარგი პირობებიც შემომთავაზეს, მაგრამ საქართველო არ დავტოვე. 1975 წლის დარჩენილი დრო პირველ ლიგაში ვითამაშე ქუთაისის „ტორპედოს" მაისურით. ეს გადაწყვეტილება ჩემი მეგობრის, ცხონებული გურამ ფანჯიკიძის რჩევით მივიღე – ის მაშინ ქუთაისში მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ „ტორპედოში" თავს ნორმალურად ვგრძნობდი, „დინამოდან" ჩემს გაშვებას მაინც ვერ შევეგუე და წლის ბოლოს კარიერაც დავასრულე.

უცნაურია, მაგრამ ფეხბურთიდან ჩემი გაცილების ცერემონიალი მხოლოდ ორი წლის შემდეგ გაიმართა: თბილისში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა და ჩვენმა „დინამომ" ითამაშეს. სწორედ ამ შეხვედრის წინ გადავეცი ნაკრების კაპიტნის სამკლაური ევგენი ლოვჩევს.

არ მიყვარს ამ თემის გახსენება, რადგან სხვა თუ არაფერი, როგორც კაცს, გული მწყდება: 1968 წელს „მილანი" მიწვევდა. მათ კარგად ახსოვდათ ჩემი თამაში ნაკრებში და საკმაოდ დიდ თანხასაც მიხდიდნენ, მაგრამ იმ დროს ამაზე ვერც ვიფიქრებდი. ჩემი თავი ჯანდაბას, ერთხელაც იქნებოდა, გავიპარებოდი სასტუმროდან და მერე რამენაირად ფეხს მოვიკიდებდი, მაგრამ წარმოგიდგენიათ აქ რა დღე დაადგებოდათ ჩემიანებს? 60-იან წლებში ხალხს ქურდობისთვის ხვრეტდნენ და „სამშობლოს მოღალატის" ოჯახს რას უზამდნენ, ხომ წარმოგიდგენიათ?!

ყველა დიდ საერთაშორისო ტურნირზე მითამაშია ოლიმპიადიდან დაწყებული მსოფლიო ჩემპიონატით დასრულებული, მაგრამ ფიფას ოქროს თასის გათამაშებას არაფერი შეედრება – უმაღლესი დონის შეჯიბრებაა, მხოლოდ რჩეული გუნდები და მოთამაშეები ასპარეზობენ, სტადიონები პირთამდე სავსეა, განწყობა – ენითაუწერელია! მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში უკვე გამარჯვებაა, ტურნირის მოგებაზე ხომ არაფერს ვამბობ!

## აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო პესტიციდის გამოყენების ინსტრუქცია

სურსათის ეროვნული სააგენტო მცენარეების მავნებლების, მათ შორის განსაკუთრებითაზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სხვადასხვა მეთოდებს გვთავაზობს. გარკვეული ინსტრუქციაა დასაცავი როგორც მექანიკური ხაფანგების მოწყობის ასევე პესტიციდების მოხმარებისას. ამჯერად გთავაზობთ ერთ-ერთი ქიმიური პრეპარატის, ბიფენტრინის მოხმარების წესებს, რომელსაც სურსათის ეროვნული სააგენტო აქვეყნებს:

ბიფენტრინი წარმოადგენს მაღალეფექტურ, ფართო სპექტრის, კონტაქტურ-ნაწლავური მოქმედების ინსექტიციდს. გამოიყენება ფოთლის მავნებლების, მათ შორის აზიური ფაროსანას, ყურძნის ჭიის, ტკიპების, ბუგრების, ნაყოფჭამიების, ხვატრების, ხოჭოების, მავნე კუსებურას და სხვა მავნებლების წინააღმდეგ ვაზში, ხეხილში, ბოსტნეულში, მარცვლეულში, პარკოსნებში.

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბიფენტრინით წამლობა ტარდება სხვადასხვა შემასხურებელი მოწყობილობის მეშვეობით, მათ შორის სპეციალური ზურგსაკიდი შემასხურებელი აგრეგატით.

ზურგსაკიდი აპარატებით მრავალწლიანი ნარგავების და ერთწლიანი ნათესების შესხურება ხდება რეკომენდებული ხარჯვის ნორმიდან გამომდინარე: ხარჯვის ნორმა – 0,3-0,6 ლიტრი ჰექტარზე. კონცენტრაცია – 0,3% (10 ლიტრ წყალზე 30 მლ. პრეპარატი).

პრეპარატის გამოყენებისას დაცული უნდა იქნას რეკომენდებული ლოდინის პერიოდი მოსავლის აღებამდე: 30 დღე მრავალწლიან კულტურებზე, 20 დღე მარცვლეულზე და 15 დღე ბოსტნეულსა და პარკოსნებზე.

## რატომ აზიანებს კბილებს ტკბილი სასმელი და მჟავე საკვები

ხილის ჩაიმ და არომატიზებულმა სასმელებმა შეიძლება დააზიანოს კბილების მინანქარი და საბოლოო განადგურებამდეც კი მიიყვანოს. ამ დასკვნამდე მივიდნენ ლონდონის სამეფო კოლეჯის მეცნიერები, რომლებმაც შეისწავლეს 300 ადამიანის კვების რეჟიმი, რომელთაც ჰქონდათ კბილების ცვეთის მაღალი მაჩვენებელი.

ხილის ჩაი, შაქრიანი სითხეები, წონის დასაკლები ფხვნილები და სხვა არომატული დანამატები შეიცავენ მჟავას რომლებიც ზიანს აყენებენ კბილებს.

**„კბილების ეროზიის რისკი იზრდება თუ ასეთ სასმელებს მივირთმევთ ყლუპ-ყლუპად და დიდი ხანი ვიჩერებთ პირის ღრუში“,** – ამბობს ლონდონის სტომატოლოგიური უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი, დოქტორი სირშა ოტული.

**გაზეთ "ილორისათვის" ფინანსური დახმარების მსურველებს შეუძლიათ გადმორიცხონ თანხა შემდეგ საბანკო ანგარიშზე:**

**ს.ს „ლიბერთი ბანკი“**

**ანგარიშის ნომერია: GE79LB0711188020717000**

**ანგარიშის №ვალუტაში: GEL / USD / EUR – მულტი სავალუტო ანგარიში**

**მფო: 220101480**

**მიმღები ბანკის დასახელება და მისამართი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“**

**ი. ჭავჭავაძის გამზირი 74**

**თბილისი, 0162, საქართველო**

**მიმღები ბანკის swift კოდი: LBRTGE22**

**ანგარიშის მფლობელი (მიმღები): ანზორი დანელია,**

**ტელ. 571 22 66 34**

## იუმორი

**შაბათობაზე მისულ ინსტიტუტის თანამშრომლებს ორგანიზატორმა ბარები ჩამოურიგა. ებრაელი მეცნიერ-მუშაკი დგას და ბარს უკირკიტებს.**

**– რას უყურებ მაგ ბარს. მიდი და იმუშავე.**

**– მოტორს ვეძებ! – უპასუხა ებრაელმა.**

**– შე სულელო, სად გინახავს მოტორიანი ბარი?**

**– შენ კი სად გინახავს ებრაელი ბარით?**

* * *

**შვილი მამას ფულს სთხოვს. მამა აძლევს და თან ეუბნება:**

**– შვილო, იცი, რომ შენს ასაკში აბრაამ ლინკოლნი ფულს თავისი შრომით შოულობდა?**

**– ვიცი, მამა, და კიდევ ისიც ვიცი, რომ აბრაამ ლინკოლნი შენს ასაკში ამერიკის პრეზიდენტი იყო.**

* * *

**მარო ეკითხება მიხოს:**

**– მიხავ, ბარტერი რა არის?**

**– აი, შენ რომ კეთილებს შემაგინებ, მე კიდენა – დედასა!**





**სასწაულმოქმედი პრეპარატები "დომენტოლი" და "გაგენოლი" მუდამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში**

დომენტი გაგნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*მკურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.*

*კოორდინატებია:* თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48




მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან



ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge